

საქართველო ევროპულ სამყაროში

ბექან ჯავახია

**საქართველო და ქართველები
ადამ ოლქარიუსის
მოგზაურობის წიგნში**

**თბილისი
2005**

გვიანი შუა საუკუნეებიდან, ბიზანტიის დაცემის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო მისთვის უცხო ისლამური სახელმწიფოების გარემოცვაში აღმოჩნდა იგი მაინც ცდილობს არ დაკარგოს კავშირი ქრისტიანულ ევროპასთან, ასევე ძლიერია ევროპელთა სწრაფვა აღმოსავლეთისაკენ, სადაც მათი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბუნებრივი მოკაშირეა საქართველო. წინამდებარე ნაშრომი, რომელიც დიდი ხანია მზადაა და გარკვეული მიზეზების გამო მისი გამოცემა დაგვიანდა ეხება გერმანელი სწავლულის ადამ ოლგარიუსის ცნობებს საქართველოსა და ქართველების შესახებ (XVI-XVII სს.) ადამ ოლგარიუსი, ერთ-ერთი იმ ევროპელ ავტორთაგანია, რომლის ნაშრომსაც დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ისტორიის შესასწავლად.

ადამ ოლგარიუსის მოგზაურობის წიგნი პირველია იმ სერიიდან, რომელიც ჩვენ გვაქვს მომზადებული. სერია – „საქართველო ევროპულ სამყაროში“ ასეთი სახით ვცდილობთ გამოვცეთ დღემდე შეუსწავლელი როგორც დასავლეთ ევროპულ მოგზაურთა სხვა წიგნები, ასევე შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპულ ქრონიკებსა და სხვა საისტორიო წყაროებში დაცული ცნობები საქართველოს შესახებ, ამ სერიაში განსაკუთრებული ყურადღება გვსურს დაეთმოს, როგორც ევროპელთა წარმოდგენების შესწავლას საქართველოს შესახებ, ასევე დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებისა და ბიზანტიის ურთიერთობას საქართველოსთან; ამ ქრისტიანულ სახელმწიფოთა საერთო მახასიათებელთა გამოვლენასა და შესწავლას.

წიგნი განკუთვნილია ისტორიკოსებისა და საქართველოს გარე სამყაროსთან მიმართების საკითხებით დაინტერესებულ მკითხველისათვის.

რედაქტორი – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნინო ჩიქოვანი

რეცენზენტები – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნანა გელაშვილი

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი გორჩა საითიძე

© ბ. ჯავახია, 2005

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2005

ISBN 99940-32-70-4

სარჩევი

შესავალი	4
თავი I. XVI-XVII საუკუნეების საქართველოს დასავლეთ ევროპული წყაროები	7
ა) ადამ ოლეარიუსი და მისი მოგზაურობის წიგნი	7
ბ) XVI-XVII ს-ის I მესამედის ევროპული წყაროები	19
თავი II. ქართველი ხალხის ირანულ დამავრობელთა წინააღმდეგ ბრძოლის ისტორიიდან	24
თავი III. საქართველოს სოციალური ისტორიიდან (ქართული ახალშენები ირანში, XVII საუკუნის I მესამედი)	38
თავი IV. ქართველები ირანის სახელმწიფოებრივ- ადმინისტრაციულ და სამხედრო სარგებელზე	55
საქართველო ევროპულ რუკებზე	98
დასკვნა	104
წყაროები და ლიტერატურა	105

XVI საუკუნის და XVII საუკუნის I მესამედის შესახებ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს XVII საუკუნის გერმანელი სწავლულისა და დიპლომატის ადამ ოლეარიუსის მოგზაურობის აღწერის წიგნი – „ახალი განვრცობილი აღწერა მოსკოვისა და სპარსეთის მოგზაურობისა, რომელიც მოეწყო რუსეთის მეფესთან და სპარსეთის შაჰთან ჰოლშტაინის ელჩობის გაგზავნის გამო“ Olearius A. Vermehte Neue Beschreibung Der Moscovitischen und Persianschen Reyse, so durch Gelegenheit einer Holstainischen Gesandschafft an den Russischen Zaar und Konig in Persien geschehen. – Schleswig, 1956.

ადამ ოლეარიუსმა XVII საუკუნის 30-იან წლებში რუსეთის სახელმწიფოზე გავლით ირანში იმოგზაურა. ამ მოგზაურობის აღწერამ მას დიდი სახელი მოუპოვა. ადამ ოლეარიუსს მისი თანამედროვენი „ჰოლშტაინის პლინიუსს“ უწოდებდნენ. დიდი გერმანელი მწერალი იოჰან ვოლფგანგ გოეთე მალალ შეფასებას აძლევს ადამ ოლეარიუსის მოგზაურობის აღწერას აღმოსავლეთის ყოფისა და ზნე-ჩვეულებების შესასწავლად (265, 212).

წინამდებარე ნაშრომის მიზანია ადამ ოლეარიუსის დასახელებული თხზულებიდან საქართველოს და ქართველთა შესახებ არსებული ცნობების ამოკრება, მათი შედარება ჩვენთვის ხელმისაწვდომ სხვადასხვა საისტორიო წყაროსთან და მათი სათანადო ანალიზი.

ჩვენი მიზანია ა. ოლეარიუსის თხზულებიდან არა მხოლოდ ცალკეული ფაქტების მოტანა, არამედ ამ ფაქტების განხილვა კონკრეტულ ისტორიულ მოვლენებთან კავშირში.

ადამ ოლეარიუსის თხზულების სხვადასხვა წყაროთან შედარებად შესაძლებლობა მოგვცა გვემსჯელა ჩვენს ლიტერატურაში დღეისათვის სადისკუსიო საკითხებზე საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის, ირან-საქართველოს ურთიერთობისა და ირანის სამხედრო და პოლიტიკურ სარბიელზე ქართველების მოღვაწეობის ზოგიერთი მომენტების შესახებ და დაგვეზუსტებინა ზოგიერთი ისტორიული თარიღი და ფაქტი.

ადამ ოლეარიუსის თხზულების შესწავლასთან ერთად შესაძლებელი ხდება სამეცნიერო ბრუნვაში შემოვიტანოთ საქართველოს ისტორიის კიდევ სხვა ევროპულ საისტორიო წყაროები. ნავსებით დასაშვებია, ყველა ეს წყარო პირველხარისხოვანი მნიშვნელობისა არ იყოს, არც ზოგიერთი ავტორი იყოს თვითმხილველი მოვლენებისა და

სესხულობდეს სხვა მოგზაურთა თხზულებებიდან, მაგრამ, რადგანაც ჩვენამდე ყველა მოგზაურის თხზულებას სრული სახით არ მოუღწევია, ეს წყაროები არ კარგავენ თავიანთ განსაკუთრებულ მნიშვნელობას. ეს ლიტერატურა, ჩვენთვის კიდევ იმით არის საინტერესო, რომ აქედან ვიგებთ როგორი იყო საქართველოზე წარმოდგენა ევროპაში. ამგვარ წყაროებზე მუშაობისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ მისი ნაკლიც, სახელდობრ: უცხოელ მოგზაურს, რომელიც ზელება მისთვის სრულიად უცხო და ახალ გარემოში, სურვილი აქვს ასახოს თავისი დაკვირვებები და შთაბეჭდილებებიც. იგი ხშირად ვერ ერკვევა ზოგიერთი მოვლენის არსში, რომელიც დაკავშირებულია ხალხის ზნე-ჩვეულებებთან და ტრადიციებთან. ხშირად აღწერს და ანზოგადებს ხოლმე შემთხვევით მოვლენებს. ამიტომაც საჭიროა ამ მასალების მიმართ ფრთხილი და კრიტიკული მოპყრობა. „უცხო მოგზაურის ცნობა — მიუთითებს მ. პოლიევქტოვი, — წარმოადგენს მნიშვნელოვან წყაროს მხოლოდ მისი სრული გამოყენებისა და მისდამი მკაცრი კრიტიკული მიდგომის შემდეგ“ (266,3).

აღამ ოლეარიუსის ნაშრომი, როგორც საქართველოს ისტორიის წყარო, საგანგებოდ არავის უკვლევია. მისი თხზულებიდან ცალკეულ ცნობებს საქართველოს შესახებ ყურადღება მიაქცია ვ. გაბაშვილმა (115), გ. ჟორდანიამ (157; 158), კ. კუციაამ (141; 144; 143), შ. რევიშვილმა, (159; 160), დ. კაციტაძემ (134; 136; 137), მ. ტიკაძემ (170) და თ. ნატროშვილმა (153).

ა. ოლეარიუსის მოგზაურობის წიგნი წარმოადგენს XVII საუკუნის რუსეთის ისტორიის შეუდარებელ წყაროს. აკად. მ. ტიხომიროვის შეფასებით, ა. ოლეარიუსის ნაშრომს აქვს ყველაზე დიდი მნიშვნელობა იმ თხზულებებს შორის, რომელიც განეკუთვნება XVII საუკუნის რუსეთის სახელმწიფოს ისტორიას. — „ა. ოლეარიუსის ნაშრომს განვრცობილობით, სიზუსტით და გადმოცემის სიცხადით არ შეედრება XVII საუკუნის არცერთი ნაშრომი“ (236, 197).

ა. ოლეარიუსის ნაშრომის შესწავლა რუსეთში პეტრე პირველის დროიდან დაიწყო. ამ ნაშრომს, როგორც ძვირფას წყაროს რუსეთის სახელმწიფოს ყოფისა და ცხოვრების შესასწავლად, მაღალ შეფასებას აძლევენ ისტორიკოსები: ვ. ბერზი (199), ფ. ადელუნგი (247), ნ. კოსტომაროვი (212), ვ. კლოუნევი (211), პ. ბარსოვი (45), ი. ლაშნიუკოვი (228), ს. სოლოვიოვი (233), დ. ცვეტაევი (242), ს. ბელოკუროვი (198), ა. ლოვიგინი (46), დ. უსოვი (238), მ. ფენომენოვი (239), ვ. ბარტოლდი (197), ა. პლატონოვი (225), ვ. სნეგირიოვი

(231; 232), ი. ბოროზდინი (200), ე. ზევაკინი (206), მ. პოლიევქტოვი (226), ვ. ალექსეევი (209), მ. ალპატოვი (192) და სხვა.

უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთს ზემოთდასახელებული ისტორიკოსთაგან, გარდა პ. ბარსოვისა და ა. ლოვიგინისა, არ უცდიათ ა. ოლეარიუსის წიგნში რუსეთის შესახებ არსებული ცნობების სრული სახით გადმოცემა და მისი ფართო შეფასება. ისინი მხოლოდ ცალკეულ საკითხებს შეეხნენ ან ზოგადად შეაფასეს ნაშრომის ღირებულება.

აღამ ოლეარიუსის თხზულების მნიშვნელობა განუზომელია აღმოსავლეთის ისტორიის მკვლევართათვის. ისტორიკოსები ჯ. მალკომი (287), ვ. ბარტოლდი (197), ი. პეტრუშევესკი (221), ზ. იამპოლსკი (245), ს. პეღინი (273), ვ. ჰინცი (277), ა. გაბრიელი (261), ფ. კოხვასერი (281, 282), ნ. ფალსაფი (302) და გ. პომაიონი (278) მას ერთ-ერთ უძვირფასეს და სანდო წყაროდ მიიჩნევენ.

ა. ბიბიჩაძის აზრით, ა. გრიფიუსის „ქეთევან დედოფლის“ ერთ-ერთი წყარო სპარსელთა ზნე-ჩვეულების შესახებ უნდა იყოს ა. ოლეარიუსი (103). ა. ოლეარიუსის მოგზაურობის წიგნი წარმოადგენს წყაროს სხვა ევროპული გამოცემებისათვისაც.*

გერმანელი სწავლულის ა. ოლეარიუსის ნაშრომის საფუძველზე შეიქმნა გერმანიასა და რუსეთში რამდენიმე ისტორიული რომანი.**

* Geschpäche in dem Reiche derer Todten, Hundert und dreizende Eritrevue, zwischen den Türckischen Kaiser, Beiazethi und dem Persianischen Schach Sefi I. – Leipzig, 1727; Umständliche Nachrichten von Persien, worinnen dieses Königreich und die demselben einverleibte Provinzien, nach ihren Große Beschaffenheit, Handel und Wandel, Stadthaltern und Beamten, Landes Verfassung, Kirchen, Policey und Finanz-Wesen, Harem und Königlichen Serreil U. Beschreiben, ingleichen ein kurzer Lebenslauf Schach-Abbas und dessen Nachfolgern in Regierung von 1600 bis 1727. – Berlin, 1728; Herkunft Leben und Thaten, des persianischen Monarches, Schach Nadyr, vormals Kuli-chan genannt, samt vielen historischen Erzählungen und Nachrichten. Aus glaubwürdigen Autoribus, und gepflogener eigener Correspondenz, sorgfältigst zusammen getragen von Pitander von der Quelle, samt einer Vorrede Herrn Joh. Cristain Clodii. – Leipzig, 1738.

** Wangenheim F. Paul Flemming, oder die Gesandtschaftreise nach Persien. – Leipzig, 1892, Wilhelm Ernst Asbeck. Die Brücke nach Ispahan. – Leipzig, 1937. Kurt Arnold Findeson. Der östliche Traum, Ein Roman von Freundschaft, Liebe und große Fahrt. – Leipzig, 1940. Снегиров В.Л. Похождение Бернарда Шварца, М. 1928, Снегиров В., Потерпевшие крушение в стране щёлка и роз, М. Л. 1930.

XVI-XVII საუკუნეების საქართველოს
დასავლეთ ევროპული წყაროები

ა) ადამ ოლეარიუსი და მისი მოგზაურობის წიგნი

XVII საუკუნის გერმანელი სწავლულის და დიპლომატის ადამ ოლეარიუსის ბიოგრაფია კარგად არის შესწავლილი. მისი ბიოგრაფიის შესწავლისათვის, გარდა საარქივო მასალისა, რომელიც მოიპოვება გოტორპში, კილში, კოპენჰაგენში და ლაიპციგში, მეტად მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ფლენსბურგელი იოჰან მოლერის ნაშრომი, რომელიც შეეხება შლეზვიგ-ჰოლშტაინის ლიტერატურას (289). ი. მოლერი თითქმის თანამედროვე იყო ადამ ოლეარიუსისა. იგი გარდაიცვალა 1725 წელს. მისი ნაშრომი შესრულებულია ლათინურ ენაზე. 1785 წელს გამოვიდა გერმანულ ენაზე ადამ ოლეარიუსის თანამოქალაქის, ამერსელბენში მცხოვრები ე. გროსეს ნაშრომი – ადამ ოლეარიუსის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ (268). ავტორი გაეცნო ადამ ოლეარიუსის შესახებ არსებულ საარქივო მასალას; პ. ჰაბერმანი წერს, რომ სწორედ ე. გროსემ ჩაუყარა საფუძველი ახალ კვლევას ადამ ოლეარიუსის შესახებ (270). ადამ ოლეარიუსის ბიოგრაფიის შესწავლისათვის ღირსშესანიშნავია აგრეთვე, რ. ნაუმანისა (290) და ფ. რატცელის (292) გამოკვლევები.

ადამ ოლეარიუსს ფრიად მნიშვნელოვანი გამოკვლევა მიუძღვნა დოქტორმა პაულ ჰაბერმანმა (270).

1971 წელს ტიუბინგენში დ. ლომაიერმა გამოაქვეყნა მონოგრაფია – „ადამ ოლეარიუსის ცხოვრება და შრომები“ (286), რომელიც შედგება სამი თავისაგან: I თავი ეთმობა ადამ ოლეარიუსის ბიოგრაფიას, II თავში ცალკეა განხილული მისი მოგზაურობის აღწერა, III თავი კი მიძღვნილია ოლეარიუსის შრომების ახალი გამოცემებისადმი, ნაშრომს ერთვის ა. ოლეარიუსის მიერ დაწერილ შრომათა სია და ბიბლიოგრაფია.

ამას გარდა, ადამ ოლეარიუსის შემოქმედებას და მის აღმოსავლეთში მოგზაურობას მიეძღვნა სხვა მრავალი გამოკვლევა (275; 276; 281; 282; 283; 297; 263; 266; 259; 248).

ადამ ოლვარიუსი დაიბადა 1599 წელს საქსონიის ქალაქ აშერსლენში, ლარიბი თერძის ოჯახში.* მისი ნამდვილი გვარია ოელშლეგერი (Ölschleger). „ოლვარიუსი“ მისი გვარის ლათინიზირებული ფორმაა, როგორც ეს მიღებული იყო იმ პერიოდის მეცნიერთათვის. ადამ ოლვარიუსმა ბავშვობა სილარიბეში გაატარა, მამა ადრე გარდაიცვალა (გარდაიცვალა 1625).

ა. ოლვარიუსმა 1620 წელს დაამთავრა შშობლიურ ქალაქში აშერსლენის წმინდა სტეფანეს გიმნაზია და სწავლა განაგრძო ლაიპციგის უნივერსიტეტში თეოლოგიის ფაკულტეტზე, სადაც იგი დიდი გულმოდგინებით სწავლობდა ლიტერატურას, ფილოსოფიას, გეოგრაფიას, მათემატიკას, ასტრონომიას და მედიცინას. 1627 წელს დაამთავრა ლაიპციგის უნივერსიტეტი ფილოსოფიის მაგისტრის ხარისხით. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ლაიპციგში, ჯერ წმინდა ნიკოლოზის გიმნაზიაში, შემდეგ კი წმინდა თომასის სკოლაში; 1632 წელს აირჩიეს ლაიპციგის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის ასესორად. ლაიპციგში მან გამოაქვეყნა შრომები მათემატიკაში, ფიზიკაში, ასტრონომიაში. 1630 წელს დაიბეჭდა ნაშრომი ასტრონომიაში მზის დაბნელების შესახებ – „მოკლე მოგონება და ცნობა დიდი საშიში მზის დაბნელების შესახებ, რომელიც 1630 წელს მანისის თვის უკანასკნელ დღეს შეიძინა ნახევარზე ჩვენთან, ლაიპციგში მოხდა“.

ადამ ოლვარიუსი წერდა ასევე ლექსებს. ლაიპციგში მოღვაწეობის პერიოდში იგი დაუახლოვდა ცნობილ პოეტს ჰაულ ფლემინგს.

ოცდაათწლიანმა ომმა (1618-1648) გერმანიაში მუშაობის მძიმე პირობები შეუქმნა მეცნიერებს. ამან აიძულა ა. ოლვარიუსი დაეტოვებინა ლაიპციგი და თავშესაფარი სხვაგან ეძებნა. 1633 წელს იგი გადასახლდა პოლშტაინში, სადაც შლეზვიგ-პოლშტაინის ჰერცოგმა ფრიდრიხ III-მ მიიწვია იგი თავის კარზე როგორც მათემატიკოსი და ასტრონომი.

1633 წელს პოლშტაინის ჰერცოგმა მოსკოვში ელჩობა გააგზავნა, რომლის შემადგენლობაში ა. ოლვარიუსიც შეიყვანა. დასაწყისში

* ზოგიერთი ავტორი ადამ ოლვარიუსის დაბადების თარიღად მიიჩნევს 1600 წელს. ავტორებს: ე. გროსეს, პ. ჰაბერმანს, პ. სკულას, ა. ოლვარიუსის დაბადების თარიღი უცნობად, დაუდგენლად მიაჩნდათ. მათთვის ცნობილი იყო მხოლოდ ნათლობის თარიღი 1603 წლის 16 აგვისტო. გერმანელი მეცნიერის დ. ლომაიერის აზრით, უფრო ზუსტი უნდა იყოს 1599 წელი (286, 3).

იგი ასრულებდა პოლშტაინის საელჩოს მდიენის, შემდეგში კი ელჩების მრჩეველის მოვალეობას. ელჩობის მიზანი იყო მეგობრული საეკონომიკური ურთიერთობის დამყარება ირანთან რუსეთის სახელმწიფო ტერიტორიაზე გავლით; ამიტომ მათ უნდა ეთხოვათ რუსეთის მეფისათვის მის სახელმწიფო ტერიტორიაზე გავლის უფლება.

1635 წელს ა. ოლეარიუსი დაბრუნდა მოსკოვიდან და იმავე წლის მიწურულს ხელმეორედ გაემგზავრა ირანში რუსეთის სახელმწიფოზე გავლით და მხოლოდ 1639 წელს დაბრუნდა ამ მოგზაურობიდან.

მოგზაურობიდან დაბრუნებული ა. ოლეარიუსი განაგრძობდა მოღვაწეობას პერციოგის კარზე. იგი ხელმძღვანელობდა გოტორპის კუნსტკამერას და საპერციოგოს ბიბლიოთეკას.

ა. ოლეარიუსი არ იშურებდა ძალღონეს გოტორპის კუნსტკამერის გამდიდრებისათვის. მთელი მოგზაურობის პერიოდში აგროვებდა მასალებს კუნსტკამერისათვის.

ასევე ღიღია ადამ ოლეარიუსის ღვაწლი გოტორპის ბიბლიოთეკის ახალი წიგნებით გამდიდრებაში. მას მოგზაურობიდან ჩამოუტანია უამრავი წიგნი და ხელნაწერი მსოფლიო სხვადასხვა ხალხთა ენებზე.

ა. ოლეარიუსი მუშაობდა მისი თანამედროვეების შრომებზე. 1649 წელს მან გამოსაქვეყნებლად მოამზადა და გამოსცა უახლოესი მეგობრის პაულ ფლეშინგის ლექსების კრებული.

ა. ოლეარიუსმა პირველად გამოაქვეყნა იოჰან ალბრეხტ ფონ მანდელსლოს თხზულება „მოგზაურობა აღმოსავლეთ ინდოეთში“ (78).

ა. ოლეარიუსმა 1646 წელს მანდელსლოს მიუძღვნა წერილები „მისი (მანდელსლოს – ბ.ჯ.) ინდოეთში მოგზაურობის შესახებ“.

ა. ოლეარიუსმა გამოსცა აგრეთვე პოლშტაინელი ი. ანდერსენის და ვ. ივერსენის მოგზაურობის აღწერა, რომელთაც 1644-1650 და 1655-1668 წლებში იმოგზაურეს აღმოსავლეთში.

ადამ ოლეარიუსს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს XVII საუკუნის გერმანული ლიტერატურის ისტორიაში. იგი წერდა ლექსებს, მუშაობდა მოგზაურობიდან ჩამოტანილ, აღმოსავლურ ენებზე შეთხზულ წიგნებზე და ხელნაწერებზე. გერმანულ ენაზე თარგმნა XIII საუკუნის ცნობილი ირანელი პოეტის – საადის,* „ვარდნარი“

* საადის წიგნი ა. ოლეარიუსს მოგზაურობის პერიოდში შამახიაში ერთ-ერთი ბერისაგან შეუძენია. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ა. ოლეარიუსამდე სულ ცოტა ხნით ადრე ფრიდრიხ ოქსებახს უთარგმნია საადის თხზულება გერმანულ ენაზე ფრანგული ენიდან (281).

(გოლესტანი), რომელიც გამოიცა 1654 წელს გოტორპში – (“Der Persianischen Rosenthal”). სპარსულიდან თარგმნისას, ა. ოლეარიუსს დიდი დახმარება გაუწია ჰაკვირდომ, სპარსეთის ელჩობის მდივანმა ჰოლშტაინში, რომელიც შემდეგ მოღვაწეობდა ჰოლანდიელ ორიენტალისტს იაკობ კოლიუსთან, ა. ოლეარიუსის ახლო მეგობართან.

საადის „გოლესტანს“, რომელიც რვა წიგნისაგან შედგება, ა. ოლეარიუსმა დაურთო არაბი ჰოეტის – ლოკამის ლექსებისა და იგავ-არაკების თარგმანი.

ა. ოლეარიუსს ეკუთვნის რამდენიმე ისტორიული ნაშრომი ჰოლშტაინის სამთავროს შესახებ. 1661 გამოაქვეყნა „შლეზვიგ – ჰოლშტაინის პერცოგის ფრიდრიხის დასაფლავების აღწერა“. 1666 წელს კი გამოსცა – „ჰოლშტაინის ქრონიკა“, რომლის სრული სახელწოდებაა: „ჰოლშტაინის ქრონიკის მოკლე წარმოდგენა ან მოკლე აღწერა ღირსშესანიშნავი ისტორიების, რომელიც შეიცავს 200 ანუ მეტი წლების სახელდობრ 1448-დან 1663 წლამდე ჩრდილოეთის ქვეყნების, განსაკუთრებით ჰოლშტაინის ამბებს“ (85), რომელიც ხელმოწერა გამოიცა ავტორის სიკვდილის შემდეგ 1674 წელს. 1665 წელს გამოაქვეყნა – „შლეზვიგ ჰოლშტაინის საეკლესიო წიგნი“, 1666 წ. გამოსცა გოტორპის კუნსტკამერის აღწერა. იმავე წელს გამოვიდა მისი ნაშრომი „გევიპტის დედოფლის კლეოპატრას ისტორიები“.

სამწუხაროდ, ა. ოლეარიუსს არაერთი ნაშრომი დარჩა ხელნაწერის სახით. მაგალითად, „არაბულ-სპარსულ-თურქული ლექსიკონი“ ა. ოლეარიუსი, რომელმაც სახელი გაითქვა მათემატიკისა და ფიზიკის ცოდნით, აგრეთვე, ლექსებითა და მოგზაურობათა აღწერით, წარმოადგენს XVII საუკუნის საუკეთესო სწავლულს. იგი 1651 წლიდან იყო გერმანელთა სამეცნიერო საზოგადოების Fruchtbringende წევრი.

ა. ოლეარიუსი იყო ავტორი გოტორპის სპილენძის გლობუსის, რომელიც მისივე მითითებით გააკეთა ანდრეას ბუშმა. 1713 წელს ეს გლობუსი პერცოგმა ქრისტიან-ავგუსტმა აჩუქა პეტრე პირველს, რომელმაც წაიღო პეტერბურგში. აქ ხანძრისაგან გლობუსი ძლიერ დაზიანდა, მაგრამ შემდეგ შეაკეთეს და დადგეს პეტერბურგის აკადემიასთან არსებულ სახლში (46; 270).

ადამ ოლეარიუსის ნაშრომი, რომელშიც მოცემულია ჩვენთვის საინტერესო ცნობები საქართველოს ისტორიიდან, წარმოადგენს მისი მოგზაურობის აღწერას აღმოსავლეთში და, კერძოდ, ირანში, რომელიც მოეწყო XVII საუკუნის ოცდაათიან წლებში.

ოცდაათწლიანი ომის პერიოდში, როდესაც გერმანია წარმოადგენდა ომის ასპარეზს, რამოდენიმე გერმანელი გაემგზავრა აღმოსავლეთისაკენ ელჩობაში, რომლის ინიციატორი და სულისჩამდგმელი იყო შლეზვიგ – ჰოლშტაინის პერცოგ ფრიდრიხ III.

1633 წლის 22 ოქტომბერს პერცოგმა ფრიდრიხ III გოტორპიდან მოსკოვში გამოისტუმრა ელჩობა, რომელსაც უნდა ეთხოვა რუსეთის მეფე მიხეილ თევდორეს ძისათვის გზა რუსეთის სახელმწიფოზე გავლით ირანში. ელჩობაში შედიოდა როგორც ჰოლშტაინის, ასევე ჰამბურგის სავაჭრო კაპიტალის წარმომადგენლები, რომელსაც მეთაურობდნენ ფილიპ კრუზიუსი* და ოტო ბრუგემანი**.

აღამ ოლეარიუსი დანიშნულ იქნა ელჩობის მდივნად, ხოლო მოგვიანებით – ელჩების მრჩეველად. გარდა ა. ოლეარიუსისა, ელჩობაში მონაწილეობას იღებდნენ XVII საუკუნის სხვა გამოჩენილი პირები: ლირიკოსი პაულ ფლემინგი***, გამოჩენილი მოგზაური იოჰან ალბრეხტ ფონ მანდელსლო, რომელმაც ირანიდან გზა ინდოეთში განაგრძო. ასევე ჰანს ჰოფმაისტერი ტრავემიოდენ****, რომელმაც თავისი

* ფილიპ კრუზიუსი დაიბადა 1598 წელს აისლენში, პროტესტანტი მღვდლის იოჰან კრუზიუსის ოჯახში, დაამთავრა ლაიპციგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

** ოტო ბრუგემანი იყო ჰამბურგელ ცნობილ ვაჭართა საგვარეულოდან. კოპენჰაგენის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში დაცული უნდა იყოს მასალები ფ. კრუზიუსისა და ო. ბრუგემანის მოხსენებების შესახებ – შლეზვიგ-ჰოლშტაინის პერცოგ ფრიდრიხ III წინაშე ირანში თავიანთი მოგზაურობის გამო (241).

*** ფლემინგის შემოქმედებაზე დიდი გავლენა მოახდინა მოგზაურობამ. გარდა იმისა, რომ მის შემოქმედებაში აისახა აღმოსავლეთის ხალხის ყოფაცხოვრება, მან დიდი გავლენა იქონია მის მეცნიერულ მოღვაწეობაზეც. იგი იყო ექიმი და აკვირდებოდა ფრანგული ავადმყოფობის წარმოშობის მიზეზებს. ამ საკითხზე მოგზაურობიდან დაბრუნებულმა დაიცვა დისერტაცია (De Ine Venera) – ეიდენში. გარდაიცვალა 1640 წლის 2 აპრილს, ჰამბურგში, 30 წლის ასაკში.

**** ჰანს ჰოფმაისტერს აქვს ასევე შედგენილი ამ მოგზაურობის აღწერა – უკან გზა, იგი ხელნაწერის სახით ინახება რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის და აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სანკტ-პეტერბურგის განყოფილებაში (Архив ИВ. АН. России. СПб –О. Опись 6, №25-1066 – Reisetagebuch Hans Hofmeisters von Trawemünde, von der Holsteinischen Gesardschaft nach Persien).

ჩვენ გაეცანით ამ ხელნაწერს, იგი შეიცავს 118 გვერდს (14X10), და წარმოადგენს დღიურს მოგზაურობისა ისპანიიდან (1637 წლის 21 დეკემბე-

მოგზაურობის დღიურები გააკეთა და ექიმი პარტმან გრამონი, რომელიც როგორც თვითონ ა. ოლგარიუსი მოგვითხრობს ეხმარებოდა მას რუკების ხაზვაში.

1634 წლის 29 მარტს ელჩობა ჩავიდა მოსკოვში და დაიწყო მოლაპარაკება რუსეთის მეფესთან. დეკემბრის თვეში ელჩებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის ძალითაც პოლშტაინის კამპანიას უფლება ეძლეოდა ევაჭრა ირანთან და ინდოეთთან რუსეთის სახელმწიფოზე გავლით 10 წლის ვადით. ამის საფასურად პოლშტაინს ყოველწლიურად უნდა მეფის ხაზინაში შეეტანა 600 000 დიდი ეფიმიკი.

მიიღო რა თანხმობა რუსეთის მეფისაგან, პოლშტაინის ელჩობა დაბრუნდა უკან სამშობლოში და 1635 წელს ხელმეორედ გაემგზავრა აღმოსავლეთისაკენ, ამჯერად ირანის შაჰთან, რათა მიეღო მისგან თანხმობა.

1637 წლის აგვისტოში ელჩობა ისპანში ჩავიდა. იგი შაჰმა ბრწყინვალედ მიიღო და 1637 წლის შემოდგომაზე უკან გამოისტუმრა. თან გამოაყოლა თავისი ელჩი პოლშტაინში – იმამ ყული ბეგი.

ეს კამპანია წარუმატებლად დამთავრდა, ვინაიდან პატარა პოლშტაინს არ აღმოაჩნდა შესაძლებლობა ამ პროექტის განხორციელებისათვის. მან ვერ შეძლო გადაეხადა მეფის ხაზინისათვის ის დიდი

რი) – ტარკუმდე (1638 წლის 2 მაისი); ხელნაწერში ვერ ვიპოვეთ რაიმე მნიშვნელოვანი ცნობები საქართველოს ისტორიისათვის. ჩვენი აზრით ზემოთდასახელებული ხელნაწერი არ უნდა იყოს ორიგინალური, იგი უნდა იყოს გადაწერილი, ვინაიდან ხელნაწერის პირველ გვერდზე აღნიშნულია 1813 წელი, ვის მიერ არის გადაწერილი არ არის აღნიშნული და არც საარქივო მასალის აღრიცხვის ჟურნალში არის ცნობილი თუ საიდან მოხვედა ეს მასალა არქივში.

ეფიმიკი – ეს არის რუსული თარგმანი მონეტის „ტალერისა“ და „ეკიუს“ სახელწოდებისა. როგორც ცნობილია, სახელწოდება „ეფიმიკი“ წარმოიშვა „ტალერის“ თავდაპირველი სახელისაგან – „იოახიმს ტალერისაგან“, ე.ი. ტალერისაგან, რომელიც XVI საუკუნის დასაწყისიდან კეთდებოდა ვერცხლისაგან, ეფიმიკი სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირი ღირებულებისა იყო (205, 87). ა. ოლგარიუსის ცნობით, ეფიმიკის ფასი იმ პერიოდში ყოფილა 50 კაპიკი.

თანხა, რომელიც განპირობებული იყო შეთანხმებაში*, ამავე დროს ირანთან ვაჭრობა არც ისე მომგებიანი აღმოჩნდა პოლშტაინისათვის, როგორც ფიქრობდნენ.

არსებობს ერთი საინტერესო ცნობა პოლშტაინის ელჩის ბრუგემანის გეგმის – რუსეთის სახელმწიფოს მიერ კასპიისპირეთის ოლქის დასაპყრობად.

„უკან მობრუნებისას გზაზე, რომანჩუკოვა** ბრუგემანთან საუბარში შეიტყო მისი გეგმა რუსეთის მიერ კასპიისპირეთის ოლქის დაპყრობის შესახებ. ამ გეგმით რუსეთს, პოლშტაინის შეიარაღებული და ფულადი მხარდაჭერით დამოუკიდებლად ან კიდევ ინგლისის, საფრანგეთის, დანიის, და ესპანეთის დახმარებით უნდა დაეპყრო კასპიისპირეთის ოლქები (გილანი, მაზანდერანი და ასტრახადი), მხედველობაში გილანელების დახმარება ჰქონდა, მათი სპარსეთის შაჰისადმი მტრული განწყობილების გამო. ასევე, მხედველობაში ჰქონდა მათი სამხედრო მოზადება და გილანის განიარაღება ლარბ შაჰის აჯანყებასთან (1639) დაკავშირებით. დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭებოდა პირკანის გასასვლელს, რომლითაც სპარსელებს მხოლოდ მცირეოდენი ძალის გადასროლა შეეძლოთ. ხელში ჩაიგდებდნენ რა ამ პუნქტს, შესაძლებელი იყო შაჰის ჯარის თავდასხმის შეჩერება გილანზე. ბრუგემანის აზრით, კასპიისპირეთის ოლქების ხელში ჩაგდება რუსეთის ზაზინას მისცემდა დიდ მოგებას აბრეშუმის წარმოებით, თევზჭერით, საზღვაო ნაოსნობითა და სხვა შემოსავლით. (გილანში და მაზანდერანში კონცენტრირებული იყო 50%-ზე მეტი ირანის აბრეშუმის შემოსავალი). ჩაიგდებდა რა ამ ოლქს, რუსეთი ლახვარს ჩასცემდა ირანს, ხელში ჩაიგდებდა მთელი ირანის აბრეშუმით ვაჭრობას“ (206).

* ამაზე მეტყველებს 1640 წლის 5 დეკემბრის სიგელი, რომელიც რუსეთის მეფემ მიხეილ თევდორეს ძემ გაუგზავნა დანიის მეფეს ქრისტიან IV (43, 705-706).

** ალექსი საბას ძე რომანჩუკოვი, რომელიც 1636 წელს დაინიშნა პოლშტაინის საელჩოს გამცილებლად ირანში. ა. რომანჩუკოვს უწარმოებია ამ მოგზაურობის ჩანაწერები. (ЦГАДА, фонд. 77, год 1636, дело № 1 – Статейной описок Российского посланника Алексея Романчукова бывшего в Персии с Голштинским послом, 124 გვ.).

ავტორის ეტყობა ჩაწერა უწარმოებია დღიურის სახით – 1637 წლის ივნისიდან – 1638 წლის თებერვლამდე, ჩვენ გავეცანით ამ საარქივო მასალას, მაგრამ იგი არ შეიცავს საყურადღებო ცნობებს ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესახებ.

პატარა პოლშტაინმა ვერ შეძლო თავისი ამოცანების განხორციელება აღმოსავლეთში. მისი ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა იყო ირანიდან რუსეთის გზით ნელლი აბრეშუმის შემოზიდვა. ევროპის სახელმწიფოები ყოველმხრივ ცდილობდნენ ხელი შეეშალათ ამ კომპანიისათვის. როგორც ა. ოლეარიუსის თხზულებიდან ჩანს, განსაკუთრებით პოლანდიელები აქტიურობდნენ, რადგანაც მათ ევროპის სხვა სახელმწიფოების კონკურენციისა და სავაჭრო ფაქტორების დაკარგვის ეშინოდათ. ყოველივე ეს და პოლშტაინის ეკონომიური სისუსტე იყო ძირითადი მიზეზი კამპანიის კრახისა და არა ბრუგემანის თვითნებობა და უნიჭობა, როგორც ამას მიუთითებდა გერმანელი ისტორიკოსი ვ. პინცი (275, 409).

ეს მოგზაურობა ჩვენთვის მეტად საინტერესოა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ ელჩობის მდივანი იყო ადამ ოლეარიუსი, რომელმაც შეადგინა მოგზაურობის აღწერა, სადაც ვხვდებით საინტერესო ცნობებს საქართველოს შესახებ.

ადამ ოლეარიუსმა მოგზაურობის აღწერა პირველად გამოიცა გოტორპში 1647 წელს გერმანულ ენაზე – „ფრიად სასურველი აღწერა ახალი აღმოსავლური მოგზაურობისა, რომელიც მოეწყო სპარსეთის შაჰთან, პოლშტაინის ელჩობის გაგზავნასთან დაკავშირებით“ (80).

ფ. ადელუნგი (247, 95) ადამ ოლეარიუსის თხზულების პირველ გამოცემას შეცდომით, 1646 წლით ათარილებს. ნ. კოსტომაროვის აზრით (212, 11) ფ. ადელუნგი შეცდომაში შეიყვანა იმან, რომ წიგნის თავფურცელზე გამოცემის თარიღი 1646-დან 1647 წლად იყო გადასწორებული. 1646 წელს წიგნი დასაბეჭდად იქნა ჩაბარებული და იმავე წელს დაიბეჭდა თავფურცელი, მაგრამ გამოიცა 1647 წელს. მიუხედავად იმისა, რომ პ. ბარსოვმა დამაჯერებლად დაასაბუთა, რომ წიგნის პირველი გამოცემის თარიღი (1647) მ. ა. ალპატოვი მანც 1646 წელს ასახელებს ა. ოლეარიუსის თხზულების პირველი გამოცემის თარიღად (192, 88).

მეორე გამოცემა ადამ ოლეარიუსის მოგზაურობის წიგნისა გამოვიდა 1656 წელს სახელწოდებით – „ახალი განვრცობილი აღწერა მოსკოვისა და სპარსეთის მოგზაურობისა, რომელიც მოეწყო რუსეთის მეფესთან და სპარსეთის შაჰთან პოლშტაინის ელჩობის გაგზავნის გამო“. ეს გამოცემა განსხვავდება პირველი გამოცემისაგან. იგი ავტორმა შეავსო სხვადასხვა მასალებით და ასევე შეასწორა სტილისტურად. 1656 წლის შემდეგ ა. ოლეარიუსის მოგზაურობათა წიგნი ავტორის

სიცოცხლეშივე გამოვიდა რამოდენიმეჯერ — 1661, 1663, 1671 წელს. ეს გამოცემები არის განმეორება 1656 წლის გამოცემისა, მათში მხოლოდ უმნიშვნელო შესწორებებია ზოგიერთი ტექსტობრივი შეცდომისა. რადგანაც 1656 წლის გამოცემა არის თვითონ ავტორის მიერ გადამოწმებული და ასევე ყველაზე მდიდარი თავისი გაფორმებით, რუკებით და სხვა მასალებით, იგი ითვლება საუკეთესოდ.

მეხუთე გამოცემა გამოვიდა 1696 წელს გერმანიაში ქალაქ ჰამბურგში, რომელსაც თან ერთვის იოჰან ალბრეხტ ფონ მანდელსლოს მოგზაურობა აღმოსავლეთ ინდოეთში, იურგენს ანდერსენისა და ვოლკორტ ივერსენის მოგზაურობა აღმოსავლეთში, რამდენიმე სტატია აღმოსავლეთის ისტორიისა და გეოგრაფიის შესახებ.*

ეს გამოცემები მდიდრულადაა გაფორმებული სხვადასხვა ჩანახატებით, ქალაქების ხედებით, რუკებით, გამოჩენილ ისტორიულ პირთა პორტრეტებით და ა.შ. ილუსტრაციების უმეტესობა შესრულებულია თვითონ ა. ოლეარიუსის მიერ, ნაწილი კი მისი თანამგზავრის ელჩობის ექიმის, ჰარტმან გრამონის მიერ. ასევე დიდი ღვაწლი მიუძღვის ამ თხზულების გამოცემაში მხატვარ ავგუსტ იონს, რომელიც ა. ოლეარიუსის მიერ ჩამოტანილი მასალებით სარგებლობდა. შემდეგი გამოცემა გერმანულ ენაზე გამოქვეყნდა 1929 წ-ს და 1959 წელს ბერლინში, მაგრამ ეს გამოცემები სრული არაა, ამოღებულია ზოგიერთი თავი.

1976 წელს გამოცემულ კრებულში „მეფეთა მეფის სახელმწიფოში“ (279), ენგელბერტ კემფერის, კარსტენ ნიბურისა და ჰაინრიხ ბრუგშის მოგზაურობების აღწერასთან ერთად შევიდა ნაწყვეტები ა. ოლეარიუსის მოგზაურობის წიგნიდან. უკანასკნელი სრულყოფილი გამოცემა ა. ოლეარიუსის მოგზაურობის აღწერისა გამოსცა დელფერ ჰებერლანდმა 1986 წელს.

ა. ოლეარიუსის მოგზაურობის აღწერა ითარგმნა სხვადასხვა ენაზე. გამოსვლიდან 12 წლის შემდეგ 1659 წელს იგი ფრანგულ ენაზე თარგმნა გამოჩენილმა ჰოლანდიელმა მწერალმა და დიპლომატმა აბრაამ ვიკფორმა. მან ორიგინალის ზოგიერთ ადგილებს დაუმატა ცნობები, რომელიც თვითონ მოუპოვებოდა.** შემდეგი თარგმანები ფრანგულ ენაზე გამოვიდა 1666, 1676 და 1727 წელს.

* 1661 წლის გამოცემა ზუსტი განმეორებაა 1656 წლის გამოცემისა და ამიტომ მას ცალკე გამოცემად არ მიიჩნევენ.

** აბრაამ ვიკფორი (Wicquefort) დაიბადა 1602 წელს, გარდაიცვალა 1682 წელს. წარმოშობით ჰოლანდიელი. ცნობილი დიპლომატი და ისტორიკოსი.

ა. ოლგარიუსის თხზულება ავტორის სიცოცხლეშივე ითარგმნა ინგლისურ, პოლანდიურ და იტალიურ ენებზე.

რუსულ ენაზე ა. ოლგარიუსის დასახელებული ნაშრომის სრული თარგმანი შეასრულა და 1870 წელს გამოსცა პავლე ბარსოვმა (45), როგორც მთარგმნელი მიუთითებს, ეს ყოფილა პირველი სრული თარგმანი ა. ოლგარიუსის ნაშრომისა, მაგრამ იგი სცდება, პ. პეკარსკის გადმოცემით, ა. ოლგარიუსის ნაშრომი რუსულ ენაზე სრული სახით უთარგმნიათ ჯერ კიდევ პეტრე პირველის დროს, რომელიც არ გამოცემულა.

პ. ბარსოვის თარგმანში არ არის თარგმნილი ლათინური გამოთქმები და ციტატები, რაც ბევრგან გვხვდება ტექსტში, ასევე არ არის თარგმნილი — მარგინალები (ველზე გაკეთებული შენიშვნები).

აღამ ოლგარიუსის თხზულების კიდევ ერთი რუსული თარგმანი გამოქვეყნდა 1906 წელს, ამჯერად თარგმანი შეასრულა ა. ლოვიაგინმა (46). მისი თარგმანი ითვლება საუკეთესოდ. ამ თარგმანში გასწორებულია რიგი შეცდომებისა, რომელიც გვხვდება პ. ბარსოვის თარგმანში. მაგრამ ეს გამოცემა არ არის სრული. მთარგმნელმა გამოტოვა რამოდენიმე თავი, რომელიც შეეხება ირანს, სწორედ ის ნაწილი, სადაც არის გადმოცემული ჩვენთვის საინტერესო ცნობები.

სხვადასხვა დროს ასრულებდა ნიდერლანდის პენსიონარის დე ვიტეს, კარდენალ მაზარინის და ბრაუნშვაიგ — ლიუმბერგის პერცოგის კარზე დიპლომატიურ მოვალეობას. მის კალამს ეკუთვნის არაერთი ისტორიული თხზულება. მან დაწერა „ნიდერლანდების ისტორია“, რომელიც მოიცავდა 1648-58 წლებს. აქ იგი აშუქებს ძირითად საერთაშორისო ურთიერთობებს (207, 244-246).

იმ დროს, როდესაც ა. ვიკფორი თარგმნიდა ოლგარიუსის დასახელებულ თხზულებას, მას ეჭირა ბრანდერბურგის კურფიურსტის რეზიდენტის თანამდებობა პარიზში.

პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერებში არის თხზულების ერთი ტომი, სადაც აღწერილია მოგზაურობა სპარსეთში; პირველი ნაწილი აქლია, კინაიდან შემონახულ ტომში ნუმერაცია იწყება 450 გვერდიდან, საიდანაც იწყება V წიგნი. ბიბლიოთეკის კატალოგში ეს ტომი მითითებულია უცნობი თხზულების თარგმანად. ეს ხელნაწერი მეტად მნიშვნელოვანია, კინაიდან იგი ამტკიცებს ჯერ კიდევ XVII საუკუნის ბოლოსა და XVIII საუკუნის დამდეგს ა. ოლგარიუსის ცნობილი თხზულების სპარსეთისა და რუსეთის შესახებ თარგმანის არსებობას ყოველგვარი შემოკლების გარეშე (220, 339).

საერთოდ, ა. ოლგარიუსი მძიმე ენით წერს. მის თხზულებაში ეხვდებით გამოთქმებს გერმანიის სხვადასხვა დიალექტზე, რაც თარგმნისას იწვევს გარკვეულ სიძნელეებს. ა. ოლგარიუსის ენის მრავალფეროვნება, ა. ლოვიაგინის აზრით, გამოწვეულია იმით, რომ იგი წარმოშობით იყო საქსონიიდან, სადაც ლაპარაკობენ ზემო გერმანულ დიალექტზე, მოღვაწეობდა პოლშტაინში, აქაც სხვა დიალექტზე საუბრობენ, დაქორწინებული იყო ესტლანდიელ ქალზე, ზოლო ელჩობისას, მის ირგვლივ შემოკრებილი იყო სხვადასხვა დიალექტზე მოლაპარაკე ხალხი (46, III).

აღამ ოლგარიუსის ნაშრომში გარკვეულ სიძნელეებს ეხვდებით აგრეთვე საკუთარი სახელების გადმოცემისას, განსაკუთრებით უცხოური სახელების გადმოცემისას, სადაც ავტორი არ იცავს ერთ პრინციპს.

ამჟამად 1870 წლის ოლგარიუსის თხზულების კ. ბარსოვისეული თარგმანი არის ერთადერთი სრული თარგმანი რუსულ ენაზე. იგი გადმოთარგმნილია 1663 წლის გერმანული გადმოცემიდან.

არა გვაქვს თხზულების თარგმანი ქართულ ენაზე. შ. რეიშვილმა ა. ოლგარიუსის დასახელებული თხზულებიდან ამოკრიბა ცნობები, რომელნიც საქართველოს და ქართველებს შეეხებოდა და თარგმნა ქართულ ენაზე, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მის მიერ ამოკრებილი ცნობები სრული არაა. იგი არ შეხებია მთელ რიგ ცნობებს ქართველების შესახებ (159; 160).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, აღამ ოლგარიუსი XVII საუკუნის საისტორიო მწერლობის ასპარეზზე გამოვიდა როგორც ფართო განათ-

* ა. ოლგარიუსის თხზულება რუსულ ენაზე ითარგმნებოდა XIX საუკუნის დამდეგიდან, მაგრამ მთარგმნელები თარგმნიდნენ მხოლოდ ნაწყვეტებს. ა. ოლგარიუსის თხზულების III წიგნის თარგმანი შეასრულა მიხაილოვმა 1859 წელს, რომელიც გამოქვეყნდა. "Архив исторических и практических сведений относящихся до России, издаваемый Калачевым, кн. III, М., 1859"-ში. ოლგარიუსის თხზულებიდან ნაწყვეტების თარგმანი გამოდიოდა სხვადასხვა დროს სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებში "Русский зритель" 1829, 4, 4, № 15-16; "Заволжский муравей" - 1834, №№ 4, 9, 12; Нижегородские губернаторские Ведомости, 1845, № 1, 2, 3; "День" 1864, № 2, 3; "Литературное краеведение", вып. II. Астрахань 1962, წიგნებში "Исторические Путешествия, извлечения из Мемуаров и записок иностранных и русских путешественников по Волге в XV-XVIII веках, составил В. Алексеев, Сталинград, 1963, გვ. 49-95.

ლების მქონე პიროვნება. ადამ ოლეარიუსი კარგი მცოდნეა ანტიკური საისტორიო მწერლობისა. სხვადასხვა ქვეყნების ისტორიის გადმოცემისას, იგი ეყრდნობა ისტორიულ ქრონიკებს და მოგზაურთა წიგნებს. ირანის ისტორია ადამ ოლეარიუსს გადმოცემული აქვს ძირითადად საკუთარი დაკვირვებებისა და სპარსული ხელნაწერების მიხედვით, რაზედაც ხშირად თვითონაც მიუთითებს. ირანის ისტორიის წყაროს წარმოადგენს XVI საუკუნეში ევროპაში გამოცემული შრომები — იოანეს დე ლაეტის მიერ შეკრებილი ცნობები ირანის შესახებ, რომელიც 1633 წელს გამოსცა ელზევირის გამომცემლობამ (77), ცნობილი იტალიელი ჰუმანისტის პიეტრო ბიზაროს შრომა „სპარსული სამყაროს ისტორია“ (57). აგრეთვე ცნობილი ავტორების ჰენრიკ პორსიუსის (87), ფრანგი იურისტისა და დიპლომატის გ. ბრისონიუსის (60) და იტალიელი გეოგრაფის ჯ. ბოტეროს (59) შრომები.

ირან-საქართველოს ურთიერთობის გადმოცემისას, ადამ ოლეარიუსის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ვენეციელი ტომაზო მინადლის ნაშრომი — „თურქ-სპარსელთა ომების ისტორია“ (79). ტომაზო მინადომ დიდი ხანი დაჰყო აღმოსავლეთში. იგი დასახელებულ წიგნში აღწერილი ამბების მოწმეა. მის შრომაში საკმაოდ ადგილი უჭირავს საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობის აღწერას და ქართველი ხალხის ბრძოლას ოსმალო და ყიზილბაშ დამპყრობლებთან წინააღმდეგ.

ადამ ოლეარიუსის მოგზაურობის წიგნიდან ჩანს, რომ იგი იცნობს აგრეთვე სხვა ავტორებს, რომელთა შრომებშიც არის ცნობები საქართველოს შესახებ. ესენია: სომეხი ავტორის ა. ჰაიტონის — „აღმოსავლეთის ისტორია“ (73). ევროპელ მოგზაურთა ა. ჰერბერშტაინის, პ. ტეიხერიას, ტექტენდერის, ჯენკინსონის, ფლეტჩერის, ჰერბერტის და სხვა ავტორთა შრომები.

ასეთია ძირითადი წყაროთმცოდნეობითი ბაზა ა. ოლეარიუსისათვის, ირანული წერილობითი წყაროებისა და ზეპირგადმოცემებთან ერთად.

XVI საუკუნეში ევროპაში გამოიცა მრავალი ისტორიული თხზულება, თუ მოგზაურთა აღწერა, რომელშიც მოცემულია ცნობები საქართველოსა და ქართველთა შესახებ (69; 88), რომელთაც შესაძლოა იცნობდა ა. ოლეარიუსი.

ბ) XVI-XVII ს-ის I მესამედის ევროპული წყაროები

წინამდებარე ნაშრომში განსაუთრებული ყურადღება მივაქცევთ ევროპულ წყაროებს, რომელთა შესწავლასაც ქართულ ისტორიოგრაფიაში გარკვეული ადგილი უჭირავს. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდია მ. თამარაშვილის დამსახურება ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე. მან რომის პროპაგანდა – ფიდეს არქივიდან და ევროპული მისიონერთა და მოგზაურთა შრომებიდან ამოკრიბა ცნობები საქართველოს შესახებ. ნაწილი ამ ცნობებისა გამოაქვეყნა წიგნში „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის ნამდვილის საბუთების შეტანითა და განმარტებებით XII საუკუნიდან ვიდრე XX საუკუნემდე“.

ქართველი ერის ისტორიის ევროპული წყაროების შესწავლაში დიდი წვლილი მიუძღვის გ. ყაზბეგს, ზ. ჭიჭინაძეს, მ. პოლივექტოვს, ნ. ორლოვსკაიას, ბ. გიორგაძეს, გ. ჟორდანიას, ი. ტაბაღუას, ე. მამისთვალიშვილს და სხვებს.

ირან-საქართველოს ურთიერთობათა ისტორიის განსახილველი პერიოდის შესახებ ცნობები უხვად არის მიმობნეული ევროპულ მოგზაურთა, დიპლომატთა და თავგადასავლის მაძიებელ მოგზაურთა თხზულებებში. აქ არ განვიხილავთ XVI საუკუნის ევროპულ წყაროებს ვინაიდან მათზე მივუთითეთ, როდესაც თხრობა გვექონდა ა. ოლეარიუსის თხზულების წყარომცოდნეობის ბაზაზე. ასევე არ შევუდგებით წყაროების კრიტიკულ მიმოხილვას, ვინაიდან მათ სანდობაზე და სიზუსტის შესახებ საუბარი საკითხების მიხედვით ადგილზე გვექნება.

ევროპული წყაროების უმეტესობა ეკუთვნის მისიონერებს და მოგზაურებს, რომელნიც ძირითადად ევროპის სახელმწიფოთა ელჩებს წარმოადგენდნენ ირანის შაჰის კარზე.

უმნიშვნელოვანესი ევროპული წყაროებიდან არის გერმანელ ავტორთა შრომები. 1621 წლის დასაწყისში ინდოეთსა და ირანში იმოგზაურა ჰაინრიხ ფონ პოსერმა (87). იგი იყო ისპაანში და აქვე შეხვდა პიეტრო დელა ვალეს. მან აღწერა ირანის დედაქალაქი და გადმოგვცა რამოდენიმე საინტერესო ცნობა ქართველთა შესახებ.

1819 წელს ვენის ეროვნულ ბიბლიოთეკაში აღმოჩნდა გერმანელი ვაჭრის დღიურები (61), რომელიც იმ ხანებში, 1623 წელს იმყოფებოდა ირანში. მის ნაშრომში არის აღწერილი ირანის ვაჭართა ფენა.

1684 წელს ირანში ჩავიდა გამოჩენილი მეცნიერი ენგელბერტ კემპფერი (76), რომელმაც აღწერა და დაასურათა თავისი მოგზაურობა; მისი შრომის ღირებულება უდავოდ დიდია ირანის შაჰის სოციალურ-პოლიტიკური წყობილებისა და ირან-საქართველოს ურთიერთობათა კვლევისათვის.

XVII საუკუნის ბოლოს იმყოფებოდა ირანში – გერმანელი ფრანც კასპარ შილინგერი, მან თავისი მოგზაურობის აღწერა გამოაქვეყნა პირველად 1707 წელს, ნიურნბერგში (90).

ქართველთა წეს-ჩვეულებების და ისპანში ქართველთა ახალშენის შესახებ ცნობები მოცემულია იოჰან გოტლიბ ვორმის (97) მოგზაურობის აღწერაში, რომელმაც ირანში 1717 წელს იმოგზაურა. გერმანულენოვანი წყაროებიდან ირან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის მოცემული პერიოდის მკვლევართათვის ყურადღებას იმსახურებს ავტორების ო. დაპერის, ი. ჰაპელის და ა. ჰაიდენფელდის თხზულებები (62; 70; 71).

გერმანელების მსგავსად ირანში სხვადასხვა დიპლომატიური მისია თუ თავგადასავლების ძიების სურვილი ამოძრავებდა ჰოლანდიელებს. XVII საუკუნის 50-იან წლებში სავაჭრო საქმეების მოსაგვარებლად ირანში ჩავიდა ჰოლანდიელთა ელჩობა, იოან კუნაესის მეთაურობით, რომლის მდივანიც იყო რ. სპელმანი, რომელთა შრომაში დაცულია ცნობები შირაზის ხანების შესახებ (75).

1671 წელს ირანში ჩავიდა ჰოლანდიელი მხატვარი და თავგადასავლის მაძიებელი ი. სტრეისი (53). ი. სტრეისი კარგად იცნობს ა. ოლეარიუსის ნაშრომს და ხშირად იმოწმებს კიდევაც ცნობებს იქიდან. მისი წიგნი მდიდარია ირანში გადასახლებულ ქართველთა შესახებ ცნობებით.

ქართველი ხალხის ყოფის შესახებ ცნობები უხვად გვხვდება ინგლისელ ავტორთა თხზულებებში, რომელთაგანაც განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ტ. ჰერბერტის თხზულება – „სპარსეთში 1627-1629 წლებში მოგზაურობის აღწერა“ (74). ტ. ჰერბერტი იყო წვერი იმ ელჩობისა, რომელიც ინგლისის მეფემ, ჩარლზ I-მა 1627 წლის მარტს ირანში გაგზავნა. იგი დიდად განათლებული პიროვნება იყო. აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ინგლისის პოლიტიკურ ცხოვრებაში. მის თხზულებაში არის სწორუპოვარი ცნობები შაჰის კარზე მოღვაწე ქართველებზე, ქართველ ვაჭრებზე და საერთოდ ირან-საქართველოს ურთიერთობის შესახებ.

ასევე დიდ ინტერესს იწვევს მეორე ინგლისელი მოგზაურის ჯონ ფრაიერის თხზულება (68). მისი თხზულება შეიცავს, საყურადღებო მასალას, რომელიც შეეხება ირანის პოლიტიკურ ისტორიას და ამ პოლიტიკურ ასპარეზზე წარჩინებული ქართველების მოღვაწეობას.

ინგლისურ ენაზე დაწერილი თხზულებებიდან დიდი ყურადღების ღირსია ა. შირლის ნაწარმოები, რომელიც შეიცავს ცნობებს შაჰ აბას I-ის საშინაო და საგარეო პოლიტიკის შესახებ. ძემები შირლები ერთხანს შაჰ-აბას I-ის კარზე მოღვაწეობდნენ და მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს აღავერდი ხანთან ერთად შაჰ-აბასის სამხედრო რეფორმის გატარებაში (89).

ქართული ისტორიოგრაფიისათვის უკვე დიდი ხანია კარგადაა ცნობილი XVII საუკუნის ფრანგი ავტორების თხზულებები, რომელშიც გადმოცემულია ეპიზოდები საქართველოს ისტორიიდან. ესენია: ჟან ტავერნიე და ჟან შარდენი. ამ ორივე თხზულებიდან ცნობები საქართველოს შესახებ თარგმნილია ქართულ ენაზე (29; 33). მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დასახელებულ თარგმანებში სრულად არ არის წარმოდგენილი ის ცნობები, რომლებიც გვაქვს ამ ავტორთა შრომებში ქართველთა შესახებ.

საქართველოს აღმოსავლეთის ქვეყნებთან ურთიერთობის ისტორიისათვის საინტერესო ცნობებია გაბნეული ფრანგი მოგზაურის ჟან ტევენოს თხზულებაში (93). ჟან ტევენომ იმოგზაურა აღმოსავლეთში 1663 წლიდან, იყო ისპაანში, და გარდაიცვალა 1667 წელს ირანში უკან მობრუნებისას.

1701 წელს ჩამოვიდა საქართველოში გამოჩენილი ფრანგი ბოტანიკოსი ჟან პიეტონ ტურნეფორი (94). მიუხედავად იმ მცირე დროისა, რომელიც მან საქართველოში დაჰყო, მან მოასწრო საკმაოდ მრავალფეროვანი და საინტერესო ცნობების შეკრება. ტურნეფორს „ლევანტში მოგზაურობის აღწერა“ აქვს ცნობები ქვეყნის პოლიტიკურ მდგომარეობაზე, ეკონომიკურ და სოციალურ ვითარებაზე, სარწმუნოებრივ და სამეურნეო ყოფაზე, სასამართლოზე და სამართლის წარმოებაზე, თბილისის აღწერა.

საქართველოს ისტორიის მკვლევართათვის მნიშვნელოვან ყურადღებას იმსახურებს ესპანური წყაროები, რომელიც ძირითადად, ისევე როგორც სხვა ევროპული წყაროები, არის მოგზაურთა თხზულებები. ესპანური წყაროებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია პედრო ტეიხერას, დონ სილვა დე ფიგუეროს (67) და დონ ხუან დე პერსი-

ას (65) შრომები. დონ ზუან დე პერსიას (იგივე ულუგ ბეგ ბაიათი) თხზულებიდან ცნობები საქართველოს შესახებ ქართველ მკითხელს გააცნო ბ. გორგაძემ (122).

დონ სილვა დე ფიგუერიამ რამოდენიმეჯერ იმოგზაურა ირანში 1602-1612 წლებში. მისი მოგზაურობის წიგნი ფრიად საინტერესო ცნობებს შეიცავს უნდილაძეების შესახებ.

პორტუგალიელი ანტონიო დე გოვეას თხზულებიდან (63) ვიგებთ საინტერესო ცნობებს საქართველოს მეფის სიმონ I-ის ალავერდი ზან უნდილაძის შესახებ (121).

ირან-საქართველოს ურთიერთობათა ისტორიის შესწავლისათვის ცნობების სიუხვით და სიზუსტით XVII საუკუნის ევროპულ წყაროებს შორის სწორუპოვარია პიეტრო დელა ვალეს თხზულება (64).^{*} პიეტრო დელა ვალეს თხზულებაში აღწერილი ამბები შეეხება ირანში ქართველთა დასახლებებს, ირანის შაჰის კარზე აღზევებულ ქართველ მოღვაწეებს თუ შაჰ აბას I მიერ საქართველოს აოხრებას და სხვა საკითხებს ირან-საქართველოს ურთიერთობის შესახებ.

XVII საუკუნის დასაწყისში საქართველოში მრავალი მისიონერი ბერი მოღვაწეობდა, რომელთაც დაგვიტოვეს თავიანთი მოგზაურობის დღიურები და ჩანაწერები, ეს დღიურები წარმოადგენს საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ უძვირფასეს წყაროს. მისიონერთა დონ პიეტრო ავიტაბილეს (5), დონ ჯუზეპე ჯედონე მილანელის (35), დონ კრისტოფორო დე კასტელის (21), დონიჯო კარლის (12), ლუი გრანჟეს (41) და არქანჯელო ლამბერტის (20) ცნობებს ქართველთა შესახებ, თარგმნილი არის ქართულ ენაზე მ. თამარაშვილის (128), ა. ჭყონიას და ბ. გორგაძის მიერ და მას დიდი ზანია იცნობას ქართველი მკითხველი.

ცნობების ნაწილს მისიონერთა შრომებიდან გავეცანით ბარტოლომეო ფეროს წიგნიდან (66). მისიონერთა ცნობები დაცულია თბილისში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის სახელმწიფო ხელნაწერთა ინსტიტუტის მიქელ თამარაშვილის ფონდში (1). ეს ცნობები მ. თამარაშვილს ამოუწერია მოგზაურთა თხზულებიდან და რომის პროპაგანდა ფიდეის არქივიდან. მ. თამარაშვი-

^{*} პიეტრო დელა ვალეს ცნობების ნაწილი საქართველოს შესახებ დაიბეჭდა ჟურნალ „ივერიაში“ 1879 წ. № 3-ში – „მოხსენება საქართველოზე პაპო ურბანუს მერვისადმი“, მაგრამ ეს თარგმანი არ მოიცავს პიეტრო დელა ვალეს რიგ ცნობებს, რომელიც შეეხება ირანში მცხოვრებ ქართველებს.

ლის ფონდიდან აუღია ძირითადად და უთარგმნია მისიონერთა ცნობები ბ. გიორგაძეს. მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთი ცნობები მას სრულადაც არ გამოუქვეყნებია, სახელდობრ, არ გამოუქვეყნებია პიეტრო ავიტაბალეს ყველა წერილი, რომელიც დაცული არის არქივში. ასევე ჯერჯერობით არ არის გამოცემული სრული სახით მ. თამარაშვილის არქივში დაცული მისიონერთა ჯუსტო პრატოს, ამბროჯო დელი ანჯოლის და არქანჯელო ლამბერტის ცნობები საქართველოს შესახებ.*

ირანის შაჰის კარზე მოღვაწე ქართველთა შესახებ ცნობები გაბნეულია იეზუიტთა ორდენის წევრის ფილიპე ტრინიტატეს აღმოსავლეთში მოგზაურობის აღწერაში (86).

ჩვენთვის ბევრ საინტერესო ცნობას შეიცავს „კარმელიტების ქრონიკა“ (56). სადაც აღწერილია სეფიანთა დინასტიის წარმომადგენლების ურთიერთობა ქრისტიანთან და მათ შორის ქართველებთანაც; შაჰ აბას I-ისა და შაჰ სეფი I-ის დამოკიდებულება საქართველოსთან, ალავერდი ხანი უნდილაძის და მისი ვაჟების მოღვაწეობა, იმამ-ყული-ხანის სიკვდილით დასჯა; ასეთივე ღირსშესანიშნავი ცნობები არის როსტომ მეფისა და ძმები სააკაძეების (როსტომ ხან, ალი ყული ხან და ისა-ხან) და სხვა შაჰის სამსახურში დაწინაურებულ ქართველთა შესახებ.

* ნაწილი ამ წყაროებიდან რუსულ ენაზე თარგმნეს და გამოაქვეყნეს პროფესორებმა გივი ჟორდანიამ და ზურაბ გამეზარდაშვილმა — Г. Жордания, З. Гамезардашвили, Римско-католическая мисия в Грузия.- Тбშიнსი, 1994.

ქართველი ხალხის ირანელ დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლის ისტორიიდან

აყ-ყოინლუს სახელმწიფოს დაშლის შედეგად ირანში ახალი ძლიერი სახელმწიფო ჩამოყალიბდა, რომლის დამაარსებელი იყო ისმაილი – არდებილის შეიხის სეფი-ედ-დინის* ჩამომავალი, სეფი-ედ-დინის სახელის მიხედვით ამ დინასტიას სეფიანების დინასტია ეწოდა.

სეფიანთა დინასტიის წარმომადგენლებმა ენერგიულად დაიწყეს ბრძოლა მახლობელ აღმოსავლეთში სრული გაბატონებისათვის. ამ ამოცანის განხორციელებისათვის იგი დაუპირისპირდა ოსმალეთს, რომელიც ამ პერიოდისათვის მახლობელ აღმოსავლეთში უძლიერეს ქვეყანას წარმოადგენდა.

საქართველო უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა ირან-ოსმალეთის წინააღმდეგობაში. ორივე სახელმწიფოს მეთაურებს მსგავსი მიზნები ამოძრავებდა საქართველოს მიმართ.

ა. ოლუარიუსის წიგნში მოთხრობილია ირანის სეფიანების დინასტიაზე XVI საუკუნის დასაწყისიდან. ა. ოლუარიუსი დიდ ყურადღებას უთმობს შაჰების სისხლიან საშინაო და საგარეო პოლიტიკას და, რასაკვირველია, დაკვირვებულ უცხოელს არ შეიძლებოდა გამორჩენოდა ყიზილბაშთა ლტოლვა ქართველთა მდიდარი ქვეყნის დასაპყრობლად და არ ასახულიყო მის მოგზაურობის წიგნში ქართველი ხალხის თავგანწირული ბრძოლა ყიზილბაშ და ოსმალთა დამპყრობთა წინააღმდეგ.

ა. ოლუარიუსთან ვხვდებით ცნობას სეფიანთა დინასტიის ფუძემდებლის, შაჰ-ისმალ I საქართველოში შემოსევის შესახებ, რასაც გერმანელი მწერალი შემდევნაირად გადმოგვცემს: „წავიდა (შაჰ-ისმაილი – ბ.ჯ.) საქართველოში, შეებრძოლა ამ ქვეყნის მთავარს, რომელსაც უწოდებენ სიმონ ფაშას (Simon Padscha), დაამარცხა იგი და ქვეყანას შეაწერა ხარკი. ყოველწლიურად უნდა მიერთმიათ მისთვის სამასი საპალნე აბრეშუმი“.

ამ ლაშქრობის შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. ისტორიკოსები ნ. ბერძენიშვილი და დ. გვრიტიშვილი, ქართულ საისტორიო წყაროებზე დაყრდნობით, სინამდვი-

* სეფი-ედ-დინი (1252-1334 წლები) – არდებილის შეიხი.

ლედ მიიჩნევენ თვით შაჰ-ისმაილის პირად მონაწილეობას საქართველოს ლაშქრობაში, ხოლო ისტორიკოსთა ნაწილი – დ. კაციტაძე, და რ. კიკნაძე, სპარსული საისტორიო წყაროებზე დაყრდნობით, უარყოფენ ამ ფაქტს – „XVI საუკუნის პირველ მეოთხედში საქართველოს თვით შაჰ-ისმაილი არ შემოსევია. იგი მხოლოდ ნახჭევანამდე მივიდა და შემდგომ დიე-სულთანი გამოგზავნა“ (113, 394) – წერს სპარსული ისტორიული წყაროების მიხედვით დ. კაციტაძე.

შაჰ-ისმაილი I საქართველოში ლაშქრობის საკითხზე საყურადღებოა ი. ჯავახიშვილის მოსაზრება. მას ხელთ ჰქონდა როგორც ქართული წყაროები, ასევე სპარსული ისტორიკოსის ზონდემირის თხზულება, რომლის თანახმადაც, საქართველოში შემოიჭრა არა შაჰ-ისმაილი, არამედ მისი სარდალი დიე-სულთანი. ზონდემირს ემოწმებიან სხვა. ჩვენთვის ცნობილი აღმოსავლური წყაროებიც. (ჰასან რუმლუ, ისქანდერ მუნში, შერეფხან ბითლისი).

როგორც ქართული წყაროების, ისევე ზონდემირის ნაშრომის მიხედვით ივ. ჯავახიშვილი ამ ლაშქრობას 1518 წლით ათარილებს (189, 224) ზონდემირის ნაშრომს ივ. ჯავახიშვილი ბ. დორნის თხზულებიდან (258, 330) გასცნობია, როგორც ამას თვითონ მიუთითებს (189, 224).

ბ. დორნის თანახმად, ზონდემირი მოწმობს, რომ ისმაილმა ნახჭევანში ყოფნის დროს 926 (1518) წელს გაგზავნა დიე-სულთანი ქართველების წინააღმდეგ (Nach Chondemir schickte Ismail bei seiner Ankunft im Nachtschuan im J. 962 = 1518 den Diw-Sultan gegen die Georgier) (258, 330).

ამრიგად, ბ. დორნი, ზონდემირის თხზულების მიხედვით საქართველოში შაჰ-ისმაილის ლაშქრობის თარიღად 1518 წელს ასახელებს. დ. კაციტაძე იმავე წყაროს მიხედვით ლაშქრობის თარიღად 927-1520-21 წელს მიიჩნევს.

„სწავლულ კაცთა“ მიერ შედგენილი „ახალი ქართლის ცხოვრების“ (10, 494) და ვახუშტი ბატონიშვილის (15, 398) მიხედვით შაჰ-ისმაილს ჯერ თავისი ამირსპასალარი ყარაფირი გამოუგზავნია „სპითა ურიცხეთა. კუალად შემდგომად მცირედისა წარმოგზავნა მიშკარბაში ელიასბეგ სპითა ურიცხეთა. და შემდგომად მათსა თვთცა წარმოვიდა“. ე.ი. შაჰს ჯერ თავისი ამირსპასალარი გამოუგზავნია, შემდეგ კი „თვითცა“ წამოსულა.

ქართულ საისტორიო წყაროებში შაჰ-ისმაილის ორი ლაშქრობა აღნიშნული (1518-და 1520-21).

ა. ოლქარიუსის თხზულებაში ისმაილის მხოლოდ ერთი შემოსევის შესახებაა საუბარი, ასევეა ფრანგი ვაჭრისა და მოგზაურის ჟან შარდენის თხზულებაში (33, 301) და სპარსულ და აღმოსავლურ ჩვენთვის ცნობილ წყაროებში. როდესაც გერმანელი მწერალი მოგვითხრობს შაჰ-ისმაილის ლაშქრობაზე, წერს: „შაჰ-ისმაილი შეებრძოლა ამ ქვეყნის (საქართველოს – ბ.ჯ.) მთავარს სიმონ ფაშას (81, 635), რაც გაურკვევლობას იწვევს.

ქართულ წყაროებში აღნიშნულია შაჰ-ისმაილის პირველი ბრძოლა ლუარსაბ მეფესთან, რომელიც 1527-1556 წლებში მეფობდა. „რაჟაშს ცნა მეფემან ლუარსაბ მოსვლა შაჰ-ისმაილისა, შეიყარა სიმრავლე სპითა თვისისა და დადგა ტფილისს... და რაჟაშს ესმა ისმაილს წყობად მოსვლა მეფისა ლუარსაბისა“ (13, 495), ამდენად აქაც შეუსაბამობას აქვს ადგილი, ვინაიდან შაჰ-ისმაილი 1524 წელს გარდაიცვალა, ხოლო ლუარსაბი 1527 წელს გამეფდა. ვ. გურუას აზრით, შესაძლებელია, ქართულ საისტორიო წყაროებში დამოწმებულ ამ ცნობებში საუბარია შაჰ-თამაზის პირველ შემოსევაზე (32, 335).

თედო ჟორდანიას გამოცემულ ქრონიკებში ლაშქრობის თარიღი – 1518 წელი – შეესატყვისება დავით მეფის მეფობის ხანას, რომელიც ამ პერიოდში მართლაც იჯდა ქართლის სამეფო ტახტზე.

„ქ. კ. სე: (1518) წამოვიდა ყენი ქართლისა ოხებად. მეფემან დავით თვისი შვილი გაუგზავნა“. ან – „ქ. კსა: სე: (1518) ყენი წამოვიდა ულუსითა საქართველოსა, საქრისტიანოთა ხატთა და ჯვართა ყველას ატყუებდეს, პატრონმა მეფემან დავით თავისი შვილი რამაზ თათარში გაგზავნა და ყენს წინ მიაგება და დაიხსნა საქრისტიანო“ (32, 335).

თუ მართლაც, საქართველოში შაჰ-ისმაილის ლაშქრობა მოეწყო 1518 წელს ან 1520-21 წლებში, როგორც ამას დ. კაციტაძე აღნიშნავს იგი უნდა მომხდარიყო სწორედ დავით (1505-1525) მეფობის ჟამს, რასაც, გარდა „ქრონიკებისა“, ვახუშტი ბატონიშვილი, ხონდემირი და სხვა სპარსული თხზულებებიც ადასტურებენ. ხოლო ადამ ოლქარიუსს სიმონი შეცდომით უნდა ჰქონდეს დასახელებული, ვინაიდან შაჰ-ისმაილი I (1502-1524) მმართველობის ხანაში საქართველოში ამ სახელის მქონე არც ერთი მმართველი არ გვხვდება.

დ. კაციტაძე თვით „სწავლულ კაცთა“ კომისიის მითითებას, რომ მას უსარგებლია სპარსული წყაროთი — „ესე ვითარად ეწყუნენ ქართველნი, რომე სიმხნე მათი სპარსთა ცხოვრებასა დიდად წერილ არსო“ მცდარად მიიჩნევს, ვინაიდან ამ წყაროს არსებობა პატივცემულ მკვლევარს სათუოდ მიაჩნია. „საქმე ისაა, რომ ამა თუ იმ ამბავს სპარსული წყაროები თითქოს ერთნაირად ასახავენ ხოლმე, მომდევნო თაობის ისტორიკოსები წინამორბედ ისტორიკოსთა მოთხრობებს იყენებენ და ძირითად საზეზში მას იმეორებენ; ასე რომ, შაჰ-ისმაილ I საქართველოში ლაშქრობის ისეთნაირი სპარსული წყაროს არსებობა, როგორი ცნობებიც ქართულ წყაროებშია, ძალზე საეჭვოდ გვეჩვენება. ვფიქრობთ, „სწავლულ კაცებს“ შაჰ-ისმაილის საქართველოში შემოჭრის ამბების აღწერისათვის ხელთ სპარსული წყარო არ უნდა ჰქონოდათ, — წერს დ. კაციტაძე (133, 389) მსგავს მითითებას ეხედებით ფრანგ ისტორიკოსთან ჟ. ლ. ბაკე გრამონთან, იგი წერს, რომ ვახუშტის მონათხრობი, რომლის თანახმადაც შაჰ ისმაილ I-მა პირადად მოაწყო ლაშქრობა დავითის წინააღმდეგ, გაძარცვა თბილისი და იქ ყიზილბაშური გარნიზონი ჩააყენა, არ მოწმდება სეფევიდური წყაროების მიხედვით, რომელთაც არაერთი საფუძველი არ ჰქონდათ გაჩუმებულიყვნენ ასეთი შემთხვევის გამო (249, 190-195).

მაგრამ ასეთი ცნობა — თვით შაჰ-ისმაილის პირადი მონაწილეობის შესახებ საქართველოს ლაშქრობაში გარდა ქართული მემკვიდრეებისა ა. ოლეარიუსის ნაშრომშიც არის დამოწმებული. ა. ოლეარიუსი თავის წყაროდ ასახელებს ჰაინრიხ პენის წერილის — კარდინალ დე საულისადმი და სპარსელ ავტორთა შრომებს, რომელთა ვინაობასაც არ უთითებს (Wie von solchen Kriegen in einem Schreiben Heintr. Penix, Welche damals im Lande, an den Cardinal de Saulis gar umbeständlich, gleich wie es die Perser auch Beschreiben Laonico Chalcondyla (de rebus gestis Turcar, p. 441) (81, 635).

ჩვენ გავეცანით გერმანელი ავტორის მიერ დასახელებულ ჰაინრიხ პენის წერილებს*, მაგრამ ვერ ვიპოვეთ ცნობა ისმაილ I-ის სა-

* *Heinrici Peniae Epistola ad Cardinalem Saulium de Gestis Ismaels contra Turcar — Persicorum Rerum Historia in XII libros. Autore Petro Bizavo, Antverpiae, 1582. გვ. 345-391. Heinrici Peniae ad Reverendissimum Cardinalem de Saulis de gestis Sophi Contra Turcar Epistola, — Laonico Chalcondyla Atheniensis. De Origine et Rebus gestis Turcarum, Libri Decem, Super e Greco in Latinum conuersi Conrado Clausero Tigurino, Basilae, 1583, გვ. 441-445.*

ქართველოში ლაშქრობის შესახებ. ამდენად სავარაუდო რჩება მხოლოდ სპარსული წყარო.

მართალია ზემოთ მოხსენიებული ავტორები დ. კაციტაძე და ჟ. ბაკეურამონი კარგად იცნობდნენ სეფიანების ირანის ისტორიის წყაროებს, მაგრამ მათ მიერ გამოყენებული წყაროები ვერ ამოწურავენ შაჰ-ისმაილ I-ის შესახებ არსებულ ლიტერატურას (234, 853-856).

ყურადსაღებია აგრეთვე, ნ. გელაშვილის გამოკვლევა, ანონიმი სპარსელი ისტორიკოსის თხზულებაში „ალამარიამე შაჰ-ისმაილ“ (ქვეყნის დამამშვენებელი ისმაილი) თხზულებაში დაცული ცნობების შესახებ (119), რომელშიც არის მითითება იმის შესახებ, რომ შაჰ ისმაილ I-მა პირადად მიიღო მონაწილეობა საქართველოს წინააღმდეგ ლაშქრობაში.

ცნობა შაჰ-ისმაილ I-ის შემოსევის შესახებ საქართველოში მოცემულია კარმელიტთა ქრონიკაში – 1520 წლის სექტემბერში სულთან სელიმის გარდაცვალების შემდეგ, შაჰ ისმაილმა ააოხრა და დაიმორჩილა საქართველო (56, 28).*

ცნობილი დიპლომატი და ისტორიკოსი ჯ. მალკოლმი ასევე მიუთითებს, რომ „სელიმის სიკვდილმა წაახალისა ისმაილი გადაელახა არაქსი და შეჭრილიყო საქართველოში, რომელიც მან ააოხრა. ეს იყო მისი უკანასკნელი ბრძოლა“ (287,13). ჩვენთვის უცნობია თუ რა წყაროთი სარგებლობდა ამ შემთხვევაში ჯ. მალკოლმი, თუმცა სავარაუდოა იყოს შაჰ აბას II-ის თანამედროვე ისტორიკოსის მუნეჯიმ ქემალ ხანის ნაშრომი (234,436), რომელზედაც მიუთითებს ავტორი შესავალში.(287,5)

ყოველივე ზემოთქმული იძლევა საფუძველს სადავოდ მივიჩნიოთ მოსაზრება იმის შესახებ, რომ შაჰ-ისმაილ I-ს არ მიეღოს მონაწილეობა აღმოსავლეთ საქართველოს ლაშქრობაში. ამ ლაშქრობის ამბები იმდენად ვრცლად არის მოთხრობილი „სწავლულ კაცთა კომისიის“

* ეს ცნობა დამოწმებული აქვს ე. მამისთვალისშვილს. იხ.: მამისთვალისშვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობა XV-XVI საუკუნეებში, გვ. 129. მაგრამ იგი დასაზუსტებელია, ვინაიდან ავტორის აზრით, 1520 წლის სექტემბერში ულაშქრია შაჰ ისმაილს საქართველოში. კარმელიტების ქრონიკებში კი გადმოცემულია, რომ 1520 წლის სექტემბერს სელიმ I გარდაცვალების შემდეგ (ცნობილია, რომ სელიმ I გარდაიცვალა 1520 წლის 21 სექტემბერს) ულაშქრია საქართველოში, და ეს შეიძლება მოდიოდეს 1520 წლის ბოლოს და შემდეგ პერიოდზე.

მიერ შედგენილ თხზულებასა და ვახუშტი ბატონიშვილის მატიანეში, რომ იგი ეჭვს არ უნდა იწვევდეს. ჩვენს ხელთ არსებული ქართული, ევროპული და აღმოსავლური წყაროების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ; რომ შაჰ-ისმაილ I-ის მონაწილეობით ლაშქრობა 1520-21 წლებში უნდა მომხდარიყო.

ადამ ოლეარიუსის გადმოცემა შაჰ-ისმაილის საქართველოში ლაშქრობის შესახებ ინტერესს მოკლებული არც იმითაა, რომ, როგორც ქართული წყაროები, ისე ხონდემირი გარკვევით არაფერს ამბობს შაჰის მიერ დაკისრებული ხარკის ოდენობაზე. ა. ოლეარიუსის ცნობით, შაჰ-ისმაილმა საქართველოს დიდი რაოდენობის ხარკი შეაწერა. ქართველებს სპარსეთის შაჰისათვის ყოველწლიურად 300 საპალნე აბრეშუმში უნდა მიერთმიათ.

შაჰ-ისმაილ I – ირანის შაჰის ტახტზე შეცვლა მისმა ძემ შაჰ-თამაზმა, რომლის მოღვაწეობის ერთ-ერთ, ყველაზე ღირსშესანიშნავ საქმედ ადამ ოლეარიუსი ქართლის მეფის სიმონის და მისი ძმის დავითის (შემდგომში დაუდ ხანი) ურთიერთობაში ჩარევას და აღმოსავლეთ საქართველოში მაჰმადიანი მმართველის დასმას მიიჩნევს. – ყველაზე ღირსშესანიშნავი, რაც მისი (შაჰ-თამაზის – ბ.ჯ.) მმართველობის პერიოდში გაკეთდა, წერს ა. ოლეარიუსი, – იყო ის რაც სომეხ მთავრებთან გააკეთა, რაზედაც მოგვითხრობს მინადუსი თავისი თხზულების – „თურქეთ-სპარსეთის ომები“ (Belli Turco – persici, Francofurti, 1601.) მეორე წიგნში, – მბრძანებლობდა სომეხი ლავასაპი (Lavassap), როდესაც იგი გარდაიცვალა, დარჩა ორი ვაჟი – სიმონი და დავითი. ანდერძის თანახმად უფროსს შვილს – სიმონს, ერგო მმართველობა. ამან აღაშფოთა დავითი. დავითმა თავის ირგვლივ შემოიკრიბა ყოველი ჯურის საზიზღარი ადამიანები, ძალით გამოსტაცა ძმას ხაზინა და ამ ფულით თავისი ძმის საწინააღმდეგოდ შეაიარაღა საკმაოდ მნიშვნელოვანი არმია. ძმის მზარდი ლაშქრით შემინებულმა მთავარმა სიმონ II, დახმარება სთხოვა შაჰ თამაზს, რომელმაც არ დააყოვნა, მაშინვე გამოგზავნა მასთან ერთი სპარსელი სარდალი 4000 ცხენოსნით და ასეთი შინაარსის ბრძანებით: თუ ის (სარდალი – ბ.ჯ.) დაატყვევებდა დავითს, წამოიყვანდა უკან (ირანში – ბ.ჯ.) იმ შემთხვევაში, თუ დავითი დასთანხმდებოდა მიეღო სპარსული რელიგია და თუ გაიკეთებდა წინადაცვეთას ის (დავითი – ბ.ჯ.) მმართველი უნდა გამხდარიყო. სარწმუნოებისაგან განდგომის ასეთივე წინადადება სარდალს ასევე უნდა მიეცა სიმონისათვის, თუკი ამის შემდეგ სურდა

დარჩენილიყო მამამისის ტახტზე. სპარსელები მაშინვე გაემართნენ საქართველოსაკენ, დავითი დაატყვევეს და შესთავაზეს ზემოთქმული პირობა. დავითი მაშინვე დათანხმდა განდგომოდა ქრისტიანობას და ყოფილიყო შაჰის მორჩილი, ოღონდაც კი მიეღო მმართველობა. რაც შეეხება მის ძმას — სიმონს, თავის დროებით მმართველობაზე მეტად სცემდა რა თავყვანს ქრისტიანულ სარწმუნოებას და ზეციურ სამეფოს, უარყო მისთვის შეთავაზებული პირობა, რის გამოც დააპატიმრეს, ჩაიყვანეს სპარსეთში და კაკაკის ციხეში დაამწყვდიეს. მოლაღატე დავითს კი წინდაცვეთის შემდეგ ეწოდა დაუღ ხანი და დანიშნულ იქნა მხოლოდ თბილისის მმართველად (81, 637-638).

უპირველეს ყოვლისა, უნდა გაირკვეს ის გარემოება, რომ ა. ოლეარიუსი ამ შემთხვევაში ქართველ მეფეებს სომხეთისად მიიჩნევს. ეს შეცდომა ავტორს ტომაზო მინადლის ნაშრომის „თურქთა და სპარსელთა ომები“—დან უნდა ჰქონდეს გადმოღებული.

ამ საკითხისათვის ყურადღება არ მიუქცევია პატივცემულ მკვლევარს შ. რევიშვილს. იგი ყოველგვარი კომენტარების გარეშე გადმოგვცემს ნაწყვეტს ამ ცნობიდან „სპარსელები, ოლეარიუსის ცნობით, საქართველოში მოსულან აგრეთვე შაჰ თამაზის მეუფების დროს. ამჯერად, მათი მიზანი ყოფილა, შეეპყროთ აქ თავშემოფარებული სომეხი დავითი, რომელმაც არეულობითა და შფოთით თავის ძმას სიმეონ II წაართვა მემკვიდრეობით მიღებული ტახტი. ორივე იყვნენ სომხეთის გავლენიანი თავადის ლავასაპის შვილები“ (159, 88). ამრიგად, შ. რევიშვილი ამ ცნობას ღირსშესანიშნავად მიიჩნევს იმდენად, რამდენადაც „სომეხი თავადების“ გამო შაჰ თამაზის მეუფების დროს საქართველოში მოსულან სპარსელები.

როგორც თვითონ ა. ოლეარიუსი მიუთითებს, მას ეს ცნობა ტომაზო მინადლის წიგნიდან აუღია, რაც თითქმის მთლიანად შეესატყვისება მინადლის გადმოცემას ლუარსაბ I შვილების — სიმონისა და დავითის კონფლიქტის ირგვლივ მინადლის ნაშრომში აღწერილ ამბებს (79, 54-58). ა. ოლეარიუსის ამ ცნობაში მოყვანილი პირები ლუარსაბ I შვილები — სიმონი და დავითია (დაუღ-ხანი), რომელთა შორის უთანხმოების შესახებ ცნობები გვხვდება როგორც ქართულ საისტორიო წყაროებში, ისე სპარსულენოვან ისტორიკოსთა შრომებში.*

* ანალოგიური ცნობა სიმონ მეფის შესახებ დაცულია კიდევ ერთ ირანულ ისტორიკოსთან მუჰამედ ნათანზისთან (117; 91-99).

როგორც ქართულ წყაროებში (ბერი ეგნატაშვილი (13, 512), ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი (10,512), ფარსადან გორგიჯანიძე (11, 218), აგრეთვე, ირანელ ისტორიკოსთა შრომებში (პასან რუმლუ (36, 37), ისქანდერ მუნში (19,24) აღნიშნულია, რომ პირველად დავითი ეახლა შაჰ თამაზს, გამაჰმადიანდა და შემდგომ ამისა გამოგზავნა შაჰმა ლაშქარი საქართველოში. არაფერია თქმული სიმონ მეფის თხოვნის შესახებ დახმარების თაობაზე, რაც სავესებით ეწინააღმდეგება ტომაზო მინადლის და ადამ ოლეარიუსის ცნობებს. ამდენად, ეს ცნობები სავესებით განსხვავდებიან დანარჩენი, აქამდე ცნობილი ცნობებისაგან.*

ა. ოლეარიუსი აქ არ ამთავრებს თხრობას ქართლის მეფის — სიმონისა და მისი ძმის დავითის შესახებ. „სიმონი, — განაგრძობს ა. ოლეარიუსი, — იყო მამაცი მებრძოლი. ამავე დროს განათლებული ბატონი. იყო ასევე კარგი პოეტი და ფილოსოფოსი. მან შესძლო დაემყარებინა ურთიერთობა შაჰის ვაჟთან ისმაილთან, რომელიც აგრეთვე იქვე იყო დაპატიმრებული. (ალამუტის ციხეში — ბ.ჯ.), მოიპოვა მისი სრული ნღობა და თვითონ (სიმონი — ბ.ჯ.) იმდენად დაუახლოვდა, რომ მუდმივი პატიმრობიდან თავის დახსნის მიზნით, რათა დაბრუნებოდა თავის ზღვს, თავის სამშობლოს, აღუთქვა ისმაილს, რომ მიიღებდა მაჰმადიანურ სარწმუნოებას, მხოლოდ და მხოლოდ გარეგნულად, რისთვისაც ისმაილი მას ღირსეულ საჩუქრებს და ბრწყინვალე მომავალს დაჰპირდა — გაათავისუფლებდა და დაუბრუნებდა სამეფოს. ისმაილი აღასრულებდა ამ დაპირებას, მის უდროვო სიკვდილს რომ არ შეეშალა ხელი. მაგრამ მან (ისმაილმა — ბ.ჯ.) ის მაინც მოასწრო რომ სიმონი გაანთავისუფლა ტყვეობიდან და შემდგომში, შაჰ ხუდაბენდეს მეფობისას, დანიშნულიქა მხედართმთავრად თურქების წინააღმდეგ (81, 638).

სავარაუდოა, რომ სიმონ მეფის შესახებ ეს დამატებითი ცნობებიც ა. ოლეარიუსს აღებული უნდა ჰქონდეს ტომაზო მინადლის დასახელებული ნაშრომიდან (79, 54-58).

* ქართლის ტახტის მემკვიდრე სომონისა და მის ძმას შორის კონფლიქტი აღწერილი აქვს ასევე პეტრო ბიზაროს — იხ.: Bizaro P., Persicorum Rerum Historia, Francofurti, 1601, გვ. 587. ტ. მინდოისა და ა. ოლეარიუსის გადმოცემა ემთხვევა პ. ბიზაროს ნააზივს, მაგრამ პ. ბიზარო განსხვავებით ამ ავტორებისაგან სწორად გვაძინობს მათს ეროვნულ წარმომავლობას.

შპ ხუდაბენდეს ზეობის დროს ოსმალეთის ლაშქართა მიერ სპარსელთა დიდი დამარცხება შემდეგნაირად აქვს აღწერილი ა. ოლეარიუსს: „ამ პერიოდში, როგორც მინაღუსი მოგვითხრობს, ერთ-ერთ ბრძოლაში მოკლეს 5000 სპარსელი, ხოლო 3000 სპარსელი ტყვედ წაიყვანეს და ყველას თავები დააყრვეინეს. თურქმა მხედართმთავარმა ბრძანა, რომ ყველა სპარსელის მოჭრილი თავები ერთ ადგილზე მოეგროვებინათ, დაეწყოთ ერთიმეორეზე და აეშენებინათ გალაენის ანუ კელისის მსგავსი რამ. მოჭრილ თავებს შორის მჯდომარე თურქმა მხედართმთავარმა აუღიენცია გაუმართა ერთ ახალგაზრდა ქართველ ბატონიშვილს“ (81, 638).

ამ ცნობიდან მეტად მნიშვნელოვანია, გაირკვეს „ახალგაზრდა ქართველი ბატონიშვილის“ ვინაობა, რომელიც მიიღო თურქმა მხედართმთავარმა, მაგრამ სანამ ამას გავარკვევდეთ, უნდა დაზუსტდეს, რომელი ბრძოლის აღწერაა მოცემული, რისი დაზუსტებაც შეიძლება მინაღლის ნაშრომიდან, რომლითაც ამჯერადაც ა. ოლეარიუსს უსარგებლია. ირკვევა, რომ ესაა 1578 წლის 9 აგვისტოს გამართული ჩილდირის ბრძოლა (79, 56), და სწორედ ამ ბრძოლაში განიცადეს დიდი დამარცხება სპარსელებმა.

ტომაშო მინაღლის ნაშრომის მიხედვით, ა. ოლეარიუსის მიერ დასახელებული „ახალგაზრდა ქართველი ბატონიშვილი“ უნდა იყოს მანუჩარ II ათაბაგი ძე ქაიხოსრო ათაბაგისა, ყვარყვარე V-ის ძმა. მანუჩარის მისვლას თურქ მხედართმთავარ მუსტაფა ლალა ფაშასთან მინაღლი ასე აღწერს: „თურქებმა წარუდგინეს მუსტაფას (რომელმაც მსტორები გაუგზავნა ფადიშაჰს) 5000 თავი, რომელთაც ფერით, შესახელობითა და მოკლე წვერით ცნობდნენ, რომ სპარსელების იყო და 3000 ცოცხალი სპარსელი. მუსტაფა ხარობდა გამარჯვებას, და რათა მიეცა ამ გამარჯვებისათვის დიდი ფასი (ამასთან ერთად დაემალა თავისი ზარალი) და საქმის ავბედითი სახის ჩვენებით დაეშინებინა მტრები, ბრძანა მოეკეთათ თავები ამ სამი ათასისათვისაც, და შემდეგ გასცა აქამდე გაუგონარი ბრძანება ამ თავებისაგან გაეკეთებინათ საშინელი სანახავი ბასტიონი. როდესაც მუსტაფა ამ ბარბაროსული მკაცრი საქმეებით იყო დაკავებული, მოვიდა მასთან რამდენიმე კაცი მანუჩარისაგან, ქართველი ქერივის დედისიმედის უმცროსი ვაჟისაგან, რომელთაც აცნობეს, რომ მათი ბატონი მოჰყვება მათ უკან. დიდი მეთაურები წავიდნენ მანუჩარის შესახედრად საყვირისა და დოლის ხმით, საპატიო მიღების ნიშნად იარაღით და სხვა ნიშნებით აღჭურვილნი და

მათ მოიყვანეს იგი (მანუჩარი – ბ.ჯ.) დიდი პატივით მთავარ ბანაკამდე“ (79-34).

მანუჩარის მისვლა მუსტაფა ლალა ფაშას ბანაკში აღწერილი აქვს, როგორც ქართველ მეისტორიეებს, ისე პ. ბიზაროს (57, 633), გერმანელ ისტორიკოსს ალბერტო ჰაიდენფელდს (71, 134-138), აგრეთვე თურქ ისტორიკოსებსაც, კერძოდ, იბრაჰიმ ფენევეს (17, 376), მუსტაფა სელიანიქს (25, 255-276), შერეფხან ბითლისს (164, 178), მუნეჯიმ ბაშს (180, 136). მოგვყავს ერთ-ერთი მათგანის, სელიანიქის მიერ მოცემული აღწერა მუსტაფა ლალა ფაშასთან მანუჩარის აუღენციისა, რაც უეჭველს ზღის, რომ ა. ოლეარიუსის მიერ დასახელებული „ახალგაზრდა ქართველი ბატონიშვილი“ ნამდვილად მანუჩარ ათაბაგია. „დედაბრის შვილის (დედისიშვიდი ჰყავს მხედველობაში, ასე უწოდებენ ოსმალთა ისტორიკოსები მანუჩარს – გ.ფ.) სახელით ცნობილი ლივას მფლობელი მანუჩარი, რომელიც საქართველოს სახელოვანი ამირათაგანი იყო, ძლიერ და განდიდებულ აზნაურებთან ერთად უცქეროდა და ელოდა, რომელი მხარე გაიმარჯვებდა. როდესაც ისლამის თულის ფუნჯებზე გამარჯვების ნიშნად გადაიქროლა, მანვილი და შურისძიება დაინახა. მთელი თავისი ქვეშევრდომებით მოვიდა, თავისი ქვეყნის ციხეების გასაღებები მთავარსარდალს მოუტანა და ჩააბარა. როგორც კი თავის კარავთან მივიდა მისი აღმატებულება – კეთილშობილი სარდალი, ბორკილებში ჩასმულ დაწყვეტილ ყიზილბაშთაგან ორი ათასზე მეტ ტყვეს თავები დასჭრეს“ (25, 265).

სწორედ ამ დამარცხების შემდეგ გამოუშვა სპარსეთის შაჰმა ხუდაბენდემ ციხიდან შაჰ-ისმაილ II მიერ განთავისუფლებული ქართველი მეფე სიმონი და გამოგზავნა იგი საქართველოში ოსმალთა წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ ფაქტს გვიმოწმებენ იმდროინდელი ჩვენთვის ცნობილი ისტორიკოსების უმრავლესობა და თვით ა. ოლეარიუსის გადმოცემა „მან (შაჰ-ისმაილმა – ბ.ჯ.) მოასწრო გაეკეთებინა ის, რომ სიმონი გაენთავისუფლებინა ტყვეობიდან და შემდეგში, შაჰ ხუდაბენდეს მეფობისას, დანიშნულიქნა მხედართმთავრად თურქების წინააღმდეგ“ (81, 638).

შაჰ ხუდაბენდეს შემდეგ ირანის შაჰის ტახტზე ავიდა აბას I (1587-1629), რომელსაც არ აკმაყოფილებდა ქართლისა და კახეთის სამეფოების გასალური დამოკიდებულება. შაჰ აბასმა ფართო გეგმები დაისახა საქართველოს მიმართ, მის მიზანს შეადგენდა მოესპო ქართლისა და კახეთის სამეფოები, იქ მუსლიმური მოსახლეობა ჩაესახ-

ლებინა და სახანოები შეექმნა. შაჰ აბას I-ის მმართველობის პერიოდში სეფიანთა ირანის სახელმწიფო მეტად გაძლიერდა. აბას I-მა ირანის სახელმწიფოს ცენტრალიზაციისათვის ბრძოლაში დიდ წარმატებას მიაღწია. ჩატარებული რეფორმების წყალობით მან მოახდინა არმიის რეორგანიზაცია, რომელიც მიმდინარეობდა გამაჰმადიანებული ქართველის ალავერდი ხან უნდილაძის მეთაურობით და ინგლისელი ავანტიურისტების ძმები ანტონ და რობერტ შერლის აქტიური მონაწილეობით, ახალი რეფორმის შედეგად ირანში შეიქმნა რეგულარული ლაშქარი.

შაჰის ლაშქარში მნიშვნელოვანი როლი ეკისრებოდა ლულამთა კორპუსს. ეს იყო ირანში აღზრდილი ქართველი და სხვა კავკასიელი ძალით გამაჰმადიანებული ახალგაზრდებისაგან დაკომპლექსებული.

თავის მოგზაურობის წიგნში ა. ოლეარიუსმა აღწერა შაჰ აბასის სისხლიანი პოლიტიკა, რომელსაც იგი ანხორციელებდა ქართველი ხალხის მიმართ.

საქართველოს ისტორიაში შაჰ აბასის მმართველობის დროს ცნობილია ოთხი ლაშქრობა აღმოსავლეთ საქართველოში, რომელთაგან ორი ჩატარდა აბასის მეთაურობით. გერმანელი მწერალიც სწორედ ამ ორი ლაშქრობის შესახებ მოგვითხრობს. ა. ოლეარიუსის თანახმად, პირველი შემოსევისას შაჰმა ცხრა თვე გაატარა საქართველოში, სადაც ქვეყნის შუაგულში — ზაგემში (Seggen) შებრძოლებია თეიმურაზ ხანს (Tameraz Chan), სიმონის ვაჟს, რომელმაც მწარე მარცხი განიცადა. შაჰმა საქართველოში თავის მეომრებს მთელი წლის გადასახდელი გადაუხადა (81, 645).

როდესაც შ. რვეიშვილი ადამ ოლეარიუსის ზემოთხსენებულ ცნობას გვაწვდის, მიუთითებს, რომ „ადამ ოლეარიუსს მხედველობაში უნდა ჰქონდეს 1615 წლის ანტისპარსული აჯანყება თეიმურაზ I მეთაურობით“ (159, 87). ჩვენ ვერ დავეთანხმებით პატივცემული მკვლევარის ამ მოსაზრებას, სავარაუდოა, რომ ა. ოლეარიუსი აქ ეხება შაჰ აბასის პირველ ლაშქრობას საქართველოში, რომელიც 1614 წელს მოეწყო.

ადამ ოლეარიუსის ამ ცნობაში შაჰ აბასის პირველი ლაშქრობის შესახებ ზოგი რამ გაურკვეველია. ა. ოლეარიუსი წერს, რომ შაჰ აბასი შეებრძოლა თეიმურაზ ხანს, სიმონის ვაჟს, ზაგემის ტერიტორიაზე. თეიმურაზის მამის სახელი ავტორს არა აქვს სწორად მითითებუ-

ლი. თეიმურაზ პირველი დავით I კახთა მეფისა და ქეთევან წამებულის ძეა.

შაჰის საქართველოდან წასვლის შემდეგ, — ა. ოლეარიუსის თანახმად, — თეიმურაზ მეფემ კვლავ დაიპყრო ყიზილბაშთა მიერ წართმეული ტერიტორიები“ როგორც კი შეიტყო შაჰ აბასმა, რომ თეიმურაზ-ხანმა (Tameraz Chan) კვლავ დაიპყრო ის ტერიტორიები, რომელნიც მან ცოტა ხნის წინ წაართვა და იქ თავისი ჯარით იდგა (თეიმურაზი — ბ.ჯ.), შაჰმა ხელმეორედ გამოგზავნა ჯარი, რომლის მხედართმთავრებად, სხვა ხანებთან ერთად, დანიშნა ალიყული ხანი (Aliculi Chan), მახმედ ხან ყაჯარი (Machmedchan Katzar) და მორტუზა ყულიხანი (Mortusa Culi Chan) ტალიშელი. როდესაც ეს მხედართმთავრები დაბრუნდნენ საქმის შეუსრულებლად და განაცხადეს მტერი მეტად ძლიერიაო, შაჰმა ბრძანა, დაუყოვნებლივ დაესაჯათ ეს მხედართმთავრები“ (81, 645).

ეს ცნობა შეეხება ჩვენთვის ცნობილ 1615 წლის ანტიისპარსულ აჯანყებას, რომელსაც სათავეში დავით ჯანდიერი ედგა. აჯანყებულებმა თეიმურაზ მეფე ქუთაისიდან გადმოიყვანეს (სადაც იგი გაიქცა შაჰ აბასის პირველი შემოსევის უამს), რომელიც თვითონ ჩაუდგა აჯანყებას სათავეში და ყიზილბაშთაგან კახეთის ციხეების განწმენდა განაგრძო. სწორედ ამ აჯანყების საპასუხოდ გამოგზავნა შაჰმა ალიყული ხანის მეთაურობით ლაშქარი, რომელიც დამარცხდა კახელებთან ბრძოლაში. ბერი ეგნატაშვილი შემდეგნაირად გადმოგვცემს შაჰის მიერ ალიყული ხანის გამოგზავნის ამბავს: „და რა ესმა შაჰაბაზს მოსვლა თეიმურაზისა, განრისხდა, ვითარცა ვეშაბი, განძენებული და ალიყული ხან წარმოგზავნა მრავალთა ჯარითა და ესე დავედრა, რათა შეუკრას გზები ყოველგნით და არა წარუვიდეს. და თუთცა წარმოემართა, რამეთუ სწადოდა თუთ მისელა იმაზედა და წარვიდა ალიყულიხან და გაჰკრა არაგუზზედა გზები.

და რა ესმა ბატონს თეიმურაზს საქმე, ესე შეიყარა სპა, მოვიდა და დაესხა თავსა წიწამურს ზეით, დაესხა უამსა შუადლისასა. და იქმნა ბრძოლა ძლიერი და გაემარჯუა ბატონს თეიმურაზს დიდად: და მისცა ღმერთმან ძლევა და შუადლითგან მოკიდებული ჯოცეს თათარნი, ვიდრე ბინდამდე, გაემარჯუა ბატონს თეიმურაზს და კახთა და გააქციევს“ (13, 400).

ალიყული-ხან შამლუს საქართველოში ლაშქრობაზე ვერცლად მოგვითხრობს სპარსელი ისტორიკოსი ისქანდერ მუნში (19, 96-101),

რომლის გადმოცემაც შეესატყვისება გერმანელი მწერლისა და ქართველ მესტორიეთა (ფარსადან გიორგიჯანიძე, ბერი ეგნატაშვილი, ვახუშტი ბატონიშვილი) ნაამბობს.

მომდევნო წელს – განაგრძობს ა. ოლეარიუსი, – თვითონ შაჰ აბასი წამოვიდა დიდი ლაშქრით თეიმურაზის წინააღმდეგ და დაიფიცა, თუ გაიმარჯვებდა თითოეულ ქართველს თითო აბაზად გაჰყიდდა. როდესაც შაჰ აბასმა გაიმარჯვა და შეაგროვა უთვალავი სიმრავლე ტყვეთა, ერთი მოლაშქრე 2 აბაზით ხელში მივიდა მასთან თხოვნით: „მომყიდე ორი ლამაზი ქალი!“ გაიხსენა რა შაჰმა თავისი ფიცი და ბრძანა აერჩიათ ამ მოლაშქრისათვის ორი საუკეთესო ქალი ორ აბაზად. ამ დროს ბევრი ქრისტიანი წაიყვანეს საქართველოდან ისპაანში, რომელთა შთამომავლებსაც ჩვენ იქ ჩაუვსწარით“ (81, 646).

ეს ცნობა ეხება შაჰ აბასის მეორე ლაშქრობას საქართველოში, რომელიც 1616 წელს მოხდა, როდესაც შაჰ აბასმა ქართლ-კახეთიდან აყარა ქრისტიანი მოსახლეობა და ირანში გადაასახლა.

საქართველოში შაჰ აბასის ორივე ლაშქრობის დროს კახეთიდან ქართველთა აყრის ამბავი ჩვენთვის კარგადაა ცნობილი. ქართველთა აყრა საქართველოს ტერიტორიიდან და მათი სპარსეთში ჩასახლება შაჰის რეფორმების ერთ-ერთ ნაწილს შეადგენს. გარდა სამხედრო ხასიათისა, მას უნდა ჰქონოდა მეორე, მეტად მნიშვნელოვანი მხარეც: ქართველთა ჩასახლებით სპარსეთის ოლქებში შაჰს სურდა ხელი შეეწყო ირანის ეკონომიკური და კულტურული განვითარებისათვის.

ი. პეტრუშევსკი სამართლიანად შენიშნავს, რომ შაჰის მთავარ ეკონომიკურ პოლიტიკას შეადგენდა ირანის ცენტრალური ოლქის გამდიდრება და, სწორედ ამის გამო მოხდა აბრეშუმით ვაჭრობის ბირთვის – ქალაქ ჯულის დანგრევა და მისი მცხოვრებლების ისპაანში გადასახლება, ირანში აზერბაიჯანისა და განსაკუთრებით სამხრეთისა და აღმოსავლეთ საქართველოს მცხოვრებთა მასობრივი გადასახლება (223, 82).

ქართულ ისტორიულ წყაროებში (ბერი ეგნატაშვილი და ვახუშტი ბატონიშვილი) კახეთის აოხრებას და იქიდან მოსახლეობის აყრას, მსგავსად ა. ოლეარიუსისა, შაჰის მეორე ლაშქრობას უკავშირებენ. სომეხი ისტორიკოსი არაქელ დავრიფეცი და იტალიელი პიეტრო დელა ვალე ამ ამბავს პირველ ლაშქრობას უკავშირებენ. ისქანდერ მუნშის თხზულების მიხედვით კი, კახეთის აოხრების, მოსახლეობის

ამოწყვეტის და სამშობლოდან აყრის ამბავი დაკავშირებულია ირანის შაჰის აბას პირველის ორივე ლაშქრობასთან.

როდესაც ა. ოლეარიუსი ამთავრებს თხრობას შაჰის საგარეო პოლიტიკაზე, აღნიშნავს, რომ შაჰს ხშირად უხდებოდა ბრძოლა მოჯანყე ქართველთა და სომხეთა წინააღმდეგო (81, 647).

ა. ოლეარიუსის მოგზაურობის წიგნში არის ერთი ცნობა გიორგი სააკაძის შესახებ. როდესაც იგი მოგვითხრობს შაჰის მხედართმთავრებზე, რომელთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა გამაჰმადიანებულ სომეხ ქრისტიანს ყარჩიხა-ხანს, შენიშნავს, რომ „ეს მამაცი გმირი საბოლოოდ სამარცხვინოდ მოკლა ერთმა ქართველმა მთავარმა სახელად მოურავმაო“. (Dieser tapffere Held ist endlich von einem Georgischen Fürsten Namen Mourou, schändlicher weise ermordet wurde) (81, 650).

ცნობა ეხება 1625 წლის 25 მარტს მარტყოფის ველზე მომხდარი ბრძოლის დროს გიორგი სააკაძის მიერ ირანის ჯარის მხედართმთავრის, შაჰის მითითებით მოქმედი, ყარჩილა ხანის მოკვლის ამბავს.

ა. ოლეარიუსს ეს ცნობა სპარსელებისგან აუღია და კარგად არ იცნობს მდგომარეობას, რომელიც მარტყოფის ბრძოლის წინ სუფევდა. ამიტომაც წერს – „სამარცხვინოდ“ მოკლა მოურავმა ყარჩილა-ხანი.

საქართველოს სოციალური ისტორიიდან

(ქართული ახალშენები ირანში, XVII საუკუნის I მესამედი)

ადამ ოლარიუსის მოგზაურობის წიგნში არის მეტად საინტერესო ცნობები საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის მკვლევართათვის. უცხოურ წყაროებში მოპოვებული ამ სახის ყოველივე ცნობა მნიშვნელოვანია, ვინაიდან ქართულ საისტორიო მწერლობაში ნაკლებად ექცევა ყურადღება ეკონომიკის ისტორიას.

ა. ოლარიუსი საქართველოში არ ყოფილა. ელჩობამ კასპიის ზღვის სანაპიროთი გაიარა. მაგრამ ვინაიდან ა. ოლარიუსი დაკვირვებებს აწარმოებდა ირგვლივ მდებარე მთებსა და მდინარეებზე, ამიტომ მისი დაკვირვების საგანი გამხდარა კავკასიის მთებიც. იგი წერს: „ჩვენები ამ მთებს ჩერქეზეთის მთებს უწოდებდნენ, ვინაიდან იგი ჩერქეზეთის იქით გვეგონა. რუსები და ჩერქეზები მას სალატოს (Salato) უწოდებდნენ, მაგრამ ისინი კოლხეთის ქვეყანაში მდებარე კავკასიის მთებია; რომელიც ცნობილია ოქროს საწმისის მოსატაცებლად იაზონის ლაშქრობიდან. სწორედ მის შესახებ მოგვითხრობს აპოლონიუს როდოსელი თავის „არგონავტიკაში“. ამ მთებმა თავიანთი არაჩვეულებრივი სიმაღლით მისცეს პოეტებს მუზა მითისათვის, თითქოს პრომეთეოსმა, რომელიც ავიდა ერთ-ერთ მათგანზე, მოსტაცა იქ მზეც ცეცხლი და ხალხს მოუტანა“ (81, 393).

ა. ოლარიუსს აქვე მოჰყავს ამ გადმოცემის გამწარტება. იგი წერს, „ეს მითი შეიცავს ნამდვილ ამბებს: პრომეთეოსმა, როგორც გონიერმა ადამიანმა, როგორც თვით მისი სახელი მიგვითითებს, დიდი ჯაფით შეისწავლა შორს, ღრუბლებში დამალული კავკასიის განლაგება, პლანეტებისა და სხვა ვარსკვლავების მოძრაობა, მათი ამოსვლა და ჩასვლა და მან პირველმა გადასცა ასირიელებს ასტრონომიული ცნობები. მანვე გაიგო, აგრეთვე, თუ საიდან წარმოიშვებოდა ელვა და ქუხილი, შეძლო, მზის სხივებისაგან ცეცხლის დანთება. იგი მსგავს ცდებს აკეთებდა ხელოვნურად და შემდეგ ხალხს უჩვენებდა. რაკი ადვილი წარმოსადგენია, თუ რა დიდი გაჭირვება და წვალება უნდა გადაეტანა მას ამ პირქუშ მთებზე, ამიტომ შექმნეს მითი, თითქოს იგი მიჯაჭვული იყო კლდეზე და არწივი უკორტნიდა გულს“ (81, 397).

აქედან ჩანს, რომ ა. ოლგარიუსისათვის საქართველო „ახალი აღმოჩენა“ არ ყოფილა. იგი იცნობდა მის წარსულსა და მის სიძლიერეს, თუმცა მაშინ, როდესაც იგი ირანში ჩავიდა, საქართველო ეკონომიკურად ჩამორჩენილი და პოლიტიკურად დაქუცმაცებული იყო. დასავლეთ საქართველო ვასალურ დამოკიდებულებაში იყო ოსმალეთის სულთნის, ხოლო აღმოსავლეთ საქართველო – ირანის შაჰის.

ა. ოლგარიუსი მის ნაშრომში იძლევა ირანის ყველა ოლქის აღწერას. მას, როგორც პოლშტაინელთა საეაჭრო კამპანიის წარმოდგენელს, აინტერესებდა თითოეული ოლქის ეკონომიკური შესაძლებლობანი. ამდენად იგი აღმოსავლეთ საქართველოსაც შეეხო.

ა. ოლგარიუსის თანახმად, სპარსეთის სახელმწიფოში სულ 16 ოლქი ყოფლა. ერთ-ერთი ამთავანია ირანი ანუ ყარაბახი, რომლის შემადგენლობაში შედიოდა საქართველოს ნაწილი. „ირანი (Iran), რომელსაც უმეტესობა, განსაკუთრებით მდაბიო ხალხი უწოდებს ყარაბახს (Karabach), არის ორი კეთილშობილ მდინარეს – მტკვრისა და არაქსს შორის მდებარე ოლქი და შეიცავს სომხეთის ნაწილს, რომელსაც მოსახლეობა არმინიას (Arminia) უწოდებს და საქართველოს ნაწილს, რომელსაც ისინი (სპარსელები – ბ.ჯ.) უწოდებენ გურჯს (Gurtz). ეს სავსებით მდიდარი და ნაყოფიერი ქვეყანაა, განსაკუთრებით მდიდარია აბრეშუმით, იყოფა რამდენიმე პატარა მხარეებად, რომელთაგანაც მნიშვნელოვანი: კაპანი (Kappan), სისიანი (Sisian), ერუანი (Eruan), ანუ ირუანი (Iruan), ახსტაუა (Achstawa), ზარიშატი (Sarschat), დმანისი (Thumanis), ჯულფა (Tzulfa), კეშტასი (Keschtas), აბერანი (Aberan), ინჯა (Intze), ალგეთი (Alget), შაბუსი (Schabus), სარსებილი (Sarsebil), კერხბულახი (Kerchbulach), შურაგელი (Schögel), ტაბახმელა (Tabak-Melek), შილდა (Vzilder).

ამ მხარეებში მდებარეობს ბევრი ლამაზი ქალაქი, დაბა და სიმაგრე, რომელთაგანაც ყველაზე ცნობილია ბარდავი (Berde), ბარგუშაფი (Barluschat), მაქუ (Maku), ბილაგანი (Bilagan), ნახტუვანი (Nachtschuan), მაღასბურტი (Magasburt), შამქორი (Schemkur), ორდუბადი (Ordebat), თბილისი (Tiflis), განჯა (Kentze), ბაიაზიდი (Bejesied), შილდა (Tzilder) (81, 54).

ეს ოლქი, როგორც ჩანს, შეიცავდა როგორც სომხეთის, ასევე საქართველოს ნაწილს. იგი მდიდარი ყოფილა აბრეშუმით, აბრეშუმით ვაჭრობას კი XVII საუკუნეში პირველი ადგილი ეკავა აღმოსავლეთსა და ევროპის ქვეყნებს შორის ვაჭრობაში და, როგორც ზემოთ აღვნიშ-

ნეთ, პოლშტაინის ჰერცოგის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი იყო აღმოსავლეთთან ნედლი აბრეშუმის ვაჭრობის მონოპოლიის ხელში ჩაგდება.

აღამ ოლეარიუსმა შეისწავლა ირანის ეკონომიკური შესაძლებლობანი. მისი აზრით, შაჰისათვის ყველაზე სარფიანი იყო აბრეშუმის წარმოება. ქვეყანაში დამზადებული ყოველი საპალნე აბრეშუმისათვის შაჰი ღებულობდა ათ რაიხსტალერს (81, 668).

მოგვიანებით ა. ოლეარიუსი იძლევა იმის აღწერას, თუ რომელი ოლქი რა რაოდენობით აწარმოებს აბრეშუმს — „გილანი აწარმოებს რვა ათასს საპალნეს (აბრეშუმს — ბ.ჯ.), მაზანდერანი — ორი ათასს, შირვანი — სამი ათასს, საქართველო და სომხეთი — ხუთი ათასს, ყარაბაზი — ორი ათასს“ (81, 668).

თავისი თხზულების სხვა ადგილზე ა. ოლეარიუსი აღნიშნავს, „საერთოდ, მიაჩნიათ რომ სპარსეთში ყოველწლიურად ამზადებენ ათიდან ოც ათასამდე საპალნე ანუ ათას სოომ აბრეშუმს. თითო სოომი შეიცავს ორ საპალნეს, ხოლო ერთი საპალნე — 216 გირვანქა (81, 601). კარგ მოსავლიან წლებში გილანი იძლევა 8000 საპალნეს, შირვანი — 3000, ხორასანი — 3000-მდე, მაზანდერანი — 2000-ს, ყარაბაზი — 2000-ს, თუ არ ჩათვლით იმას, რასაც იძლევა აბრეშუმით მდიდარი საქართველო“ (81, 601).

ანალოგიურად ცნობებს აბრეშუმით მდიდარი საქართველოს შესახებ იძლევიან XVII საუკუნის სხვა ევროპელი მოგზაურები და ვაჭრები: ჯეფრი დეკეტი (38, 205), ჯენკინსონი (38, 225), შარდენი (33, 297), ასევე საქართველოს აბრეშუმის შემოსავალზე ცნობები დაცულია ქ. სურატში დაარსებული ოსტ-ინდოეთის კომპანიის ფაქტორის აგენტების ელუარდ ჰეტუსის და ტომას ბარკერის წერილების საფუძველზე შედგენილი ირანის ექსპორტ-იმპორტის ნუსხაში (144, 134-141).

XVII საუკუნის ევროპელ მოგზაურთა წიგნებში მიმოხეულია ცნობები ირანში არსებული ქართული დასახლებების შესახებ. ა. ოლეარიუსმა თითქმის ხუთი თვე დაჰყო ირანში. იქ მას პირადად უნახავს ქართველთა დასახლება ისპაანში, ჰასენაბადის გარეუბანში, აგრეთვე აქვს ცნობები ქართველთა დასახლების შესახებ — მაზანდერანში, ქალაქ ფერაჰაბადში, შემახიაში.

საქართველოს სოციალური ისტორიისათვის მეტად საინტერესოა ა. ოლეარიუსის მიერ მოცემული ისპაანის გარეუბნის ჰასანაბადის აღწერა. „ჰასანაბადი არის ჯურჯების, ანუ ქართველი ქრისტიანების გა-

რეუბანი, ისინი აქ საქართველოდან გადმოასახლეს. არიან, აგრეთვე, წარჩინებული ვაჭრები, რომლებიც თავიანთი სავაჭრო საქმეების გამო, ისევე, როგორც სომხები, შორს მოგზაურობენ და სხვა ქვეყნებსაც ეწევიან ხოლმე“ (81, 614).

ისპაანში ქართული დასახლების შესახებ ცნობები აქვთ სხვა ევროპელ ავტორებს. კერძოდ, ჰაინრიხ ფონ პოსერს ი. სტრეისს, ე. კემპფერს, იოჰან გოტლიბ ვორმს, იოანეს დე ლაეტს, ო. დაპერს, ჯ. ფრაიერს და თეათინელ ბერებს რელაციებში. (72, 1-4); (76, 145); (77, 25); (97, 297); (62, 283); (68, 227); (66, 83).

პოლანდიელმა მხატვარმა და თავედასავლის მაძიებელმა ი. სტრეისმა 1671 წელს ირანში იმოგზაურა. იგი შემდეგნაირად აღწერს პასენაბადს: პასენაბადში ცხოვრობენ ქართველი ქრისტიანები, ჯურჯები, რომელთა შორის გვხვდებიან ღიღბული ვაჭრები, როგორც სომხებს შორის. მეფეს (ირანის შაჰს — ბ.ჯ.) ისინი უყვარს და აფასებს მათი მშვიდი და უპრეტენზიო ხასიათის გამო, აგრეთვე ღიღი გადასახადისა და იმ შემოსავლის გამო, რომელსაც აძლევს მათ ვაჭრობა. ამის გამო მათ უფლება აქვთ იცხოვრონ ქალაქის მეძღის მეჩეთთან განსაზღვრულ ადგილზე, რომელსაც ეწოდება შეიპ-შაბანე. მაგრამ მათ უფრო მოსწონთ გარეუბანში ცხოვრება, ვინაიდან სურთ არ იყვნენ ერთმანეთისაგან დაშორებულნი“ (53, 315).

ი. სტრეისის ეს ცნობა კომენტარებს არ საჭიროებს, ვინაიდან იგი სავესებით ეთანხმება ა. ოლეარიუსს და ასევე აბრაამ ვიკფორს, ა. ოლეარიუსის შრომის ფრანგულ ენაზე მთარგმნელს, რომელიც იყო XVII საუკუნის ცნობილი დიპლომატი. მან ოლეარიუსის თხზულების ფრანგულ ენაზე თარგმნისას, ორიგინალის ამ ადგილს თავადაც დაუმატა ცნობები, რომლებიც მას მოეპოვებოდა: „გარეუბანი პასენაბადი (Hasenabath) წარმოადგენს მუდმივ საცხოვრებელ ადგილს ჯურჯების (Tzurtzu), ე.ი. ქართველების (des Georgianers), რომელნიც ქრისტიანები არიან, მომეტებულად ვაჭრები და ყველანი მდიდარნი. ისინი როგორც სომხები (გამდიდრებულნი) იმ მსხვილი ვაჭრობის წყალობით, რომელსაც ისინი აწარმოებენ, როგორც სამეფოს შიგნით, ისე ყველა სხვა ადგილებში. მათ ძალიან უყვართ მოგზაურობა, განსაკუთრებით ინდოეთსა და ევროპაში და მომეტებული ნაწილი იმ ვაჭრებისა, რომელთაც ეხებათ ვენეციაში, პოლანდიაში და სხვა ადგილებში და უწოდებენ სომხებს, ეკუთვნიან ამ (ე.ი. ქართველთა — გ.ჟ.) ერს. ეს იმიტომ კი არაა, რომ ქრისტიან სომხებს და ქართველებს უშლიდეს

ვინმე (ისპანში - გ.ჟ.) ცხოვრებას, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ მათ ურჩევნიათ ჰქონდეთ განსაკუთრებული საცხოვრებელი ადგილი, სადაც შეუძლიათ დამშვიდებული ცხოვრება და რწმენის თავისუფლებით სარგებლობა; ვინაიდან სპარსელები არამც თუ უშლიან მათ ხელს იცხოვრონ ყველგან, ხოლო ქალაქ ისპანში მათ აქვთ განსაკუთრებული უბანი მეჯედ მეჰდის (Metchit mehed) უკან იმ ადგილისა, რომელსაც უწოდებენ ნესერა (Nesera), არამედ მათ (ე.ი. სპარსელებს - გ.ჟ.) უყვართ კიდევ ისინი. უყვართ არამარტო იმიტომ, რომ ხედავენ სარგებლობას მათთან ვაჭრობაში, და (იმიტომ), რომ ისინი იხდიან გადასახადს, არამედ განსაკუთრებით იმიტომ, რომ რგავენ და აშენებენ ვაზს და აყენებენ ლეინოს“ (157, 176).

ამგვარად ა. ოლეარიუსის, ი. სტრეისის და ა. ვიკფორის ცნობები საესებით ეთანხმება ერთმანეთს და გვაძლევს სარწმუნო სურათს იმის შესახებ, რომ XVII საუკუნის შუა ხანებში საქართველოდან გადასახლებული ქართველები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ აღმოსავლეთის ვაჭრობაში.

ჩვენ აქ არ შევეუდგებით იმის ახსნას, თუ საიდან წარმოიშვა ისპანში ქართველთა დასახლება. ქართველთა ისპანში გადასახლების შესახებ ცნობები მრავლად მოგვეპოვება როგორც ქართულ, ისე უცხოურ წყაროებში. ესენი საქართველოდან შაჰ აბას I-ის პერიოდში გადასახლებული ქართველებია. ამის შესახებ თვით ა. ოლეარიუსიც მიუთითებს - პასანაბადში საქართველოდან გადმოსახლებულნი არიანო, (81, 562), ხოლო შაჰ აბას I-ის საქართველოში მეორე ლაშქრობის აღწერისას წერს: იმ დროს საქართველოდან ისპანში გადასახლეს მრავალი ქრისტიანი, რომელთა შთამომავალთ ჩვენ იქ ჩაუუსწარიითო (81, 646).

ქართველ ვაჭართა შესახებ საინტერესოა ა. ოლეარიუსის სხვა ცნობებიც: - „ისპანში არიან ვაჭრები და მეწარმეები ყველა ხალხებიდან, რომლებიც ვაჭრობენ ბითუმად და ცალობით; სახელდობრ, სპარსელთა გარდა სხვადასხვა თათრები ხვარაზმიდან, ჩინეთიდან და ბუხარიდან, თურქები, ებრაელები, სომხები, ქართველები (Georgianer) და მათ გარდა ინგლისელები, პოლანდიელები, ფრანგები და ესპანელები“ (81, 552). ან კიდევ, - „ერთმა ქართველმა ვაჭარმა შაჰ აბასის მბრძანებლობის პერიოდში ჩამოიყვანა რამოდენიმე ინდაური ვენეციიდან ისპანში და მისცეს თითოში თითო თუმანი ანუ თექვსმეტი რაიხსტალერი“ (81, 559).

ქართველი ვაჭრები მოხსენებული არის XVII საუკუნის სხვა ევროპელ მოგზაურებთანაც. კერძოდ, ქალაქ ბენდერ აბასის აღწერისას ინგლისელი მოგზაური ტ. პერბერტი სხვა ეროვნების ვაჭართა გვერდით მოიხსენიება ქართველებს (74, 43). ფრანგი მოგზაური ფ. ტავერნიე ქართველების შესახებ წერს, რომ „ქართველებს აქვს მოგზაურობის დიდი ხალისი და რჩეული ვაჭრები არიანო“ (91, 140), ასევე ქალაქ თავრიზის ვაჭრობის აღწერისას ისიც იხსენიებს ვაჭართა შორის ქართველებს (91, 23). კარმელიტი ბერის ფილიპე ტრინიტატის მოგზაურობის აღწერაშიც ვხვდებით ცნობას ქართველი ვაჭრების შესახებ (86, 119).

ქართველი ვაჭრების შესახებ ცნობები აქვს XVI საუკუნის ინგლისელ მოგზაურს კარტერაიტს (235, 74), გერმანელებს: — ექიმს ლეონარდ რაუეოლფს (88, 415), მოგზაურს ენგელბერტ კეზუერს (76, 141), მწერალ ე. ჰაპელიუსს (70, 31), ფრანგ მოგზაურს პეისონელს (132, 12).*

უცხოელ ავტორთა წიგნებში დაცულ ამ ცნობებს ქართველი ვაჭრების შესახებ დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებობს მოსაზრება იმის შესახებ, რომ XVII საუკუნის აღმოსავლეთში ძირითადად ვაჭართა ფენა სომხებისაგან შედგებოდა და ქართველთა როლი ამაში თითქმის უარყოფილია.

ისტორიკოსების მ. ტიკაძისა (170, 200-201) და დ. კაციტაძის (136, 263) აზრით ა. ოლეარიუსისა, ი. სტრეისისა და ა. ვიკფორის მიერ დასახელებული ქართველი ვაჭრები საქართველოდან წასული სომეხი ვაჭრები უნდა იყვნენ.

ჩვენი აზრით, საეჭვოა, რომ საქართველოდან წასულ სომეხ ვაჭრებს თავი ქართველებად გაესაღებინათ; საერთოდ, XVI-XVII საუკუნეებსი აღმოსავლეთის ვაჭრობაში სომხები უდიდეს როლს ასრულებდნენ, რამაც იმდროინდელ ყველა საისტორიო წყაროში კპოვა ასახვა. როგორც ტერ-ავეტიანიანი აღნიშნავს, სომეხმა ვაჭრებმა, რომელთაც სათავეში ედგათ ჯულფელები, XVI საუკუნის პირველ ნახევარში უკვე მოასწრეს გადამწყვეტი ადგილის დაკავება არამართო კავკასიის (შამახია-საქართველო) ვაჭრობაში, არამედ, მთლიანად ირანის ვაჭრობაში (235, 22).

* გ. ზედგენიძის წიგნში „ბოგდან გურჯიციკი დიპლომატიურ ასპარეზზე“, თბ., 1983. მოთავსებულია XVII საუკუნის ქართველი ვაჭრის სურათი.

ასე რომ, ამ პერიოდისათვის აღმოსავლეთში მყოფი სომეხი ვაჭრები ღიდი კაპიტალის მფლობელნი იყვნენ და სხვა ვაჭრებთან შედარებით ყოველგვარი პრივილეგიებით სარგებლობდნენ, ხოლო ირანის მმართველები მათ ყოველმხრივ ახალისებდნენ და ხელს უწყობდნენ.

სომხების „ქართველებად“ გამოცხადებისათვის საფუძველი უნდა იყოს ის, რომ ისინი წარმოშობით საქართველოდან იყვნენ. მაგრამ, მით უმეტეს, ისინი საქართველოშივე ცნობილნი იყვნენ სომხებად, იცავდნენ იქ თავიანთ ენას და სარწმუნოებას, ხოლო აღმოსავლეთში უფრო საფიქრებელია, შეინარჩუნებდნენ ისინი თავიანთ ენას და სარწმუნოებას. ირანის შაჰი სომეხ გრიგორიანებს ყოველმხრივ მფარველობდნენ, ხოლო ქართველ მართლმადიდებლებს სასტიკად სდევნიდა, რისი ერთ-ერთი მიზეზი უნდა ყოფილიყო საქართველოსა და რუსეთის დაახლოების შესაძლებლობა ერთმორწმუნეობის ფონზე.

ფრანგი მოგზაურის რაფაელ ღუმანის ცნობით შაჰ-აბას I-ს სომხების მამას უწოდებდნენ (240, 86).

ასეთივე უპირატესობა უნდა ჰქონოდა სომეხ ვაჭრებს ოსმალეთშიც. როგორც შ. ლომაძე წერს, თურქეთის ტერიტორიაზე მხოლოდ სომეხ ვაჭრებს დაუტოვეს უფლება ევროპასთან სააღმსრებლო ურთიერთობისა (146, 43).

ამიტომაც იყო, რომ მრავალი არასომეხი თვით ევროპელი და სპარსელი ვაჭრებიც თავს ხშირად სომეხებად აცხადებდნენ. ეს ფაქტები დადასტურებულია მ. თამარაშვილის წიგნში „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, სადაც ავტორი აღნიშნავს, რომ „ზოგჯერ თვით იტალიელი ვაჭრებიც სომხის სახელით და ტანისამოსით მგზავრობდნენ აქეთკენ (საქართველოსაკენ – ბ.ჯ.)“ (128, 74).

სომეხ ისტორიკოსს მ. ალიშანს მითითებული აქვს, რომ ვენეციაში მოვაჭრე სომეხთა შორის იყო წარმოშობით სპარსელი ვაჭარი, რომელსაც მიღებული ჰქონდა გრიგორიანული სარწმუნოება და სომხურ წეს-ჩვეულებას ასრულებდა (191, 225).

როგორც ვ. გაბაშვილი სავსებით სამართლიანად ამტკიცებს ირანში მყოფ ქართველებს, იმ შემთხვევაში შეეძლოთ შეინარჩუნებინათ ქრისტიანობა, თუ გასომხდებოდნენ. ქართველების გასომხებას კი არც შაჰ აბასი და არც მისი მემკვიდრეები მაინც და მაინც ხელს არ უშლიდნენ (114, 111).

ქართველთა გასომხების ანუ ქართველთა მიერ გრიგორიანობის მიღების შესახებ მრავალგან გვემოწმება მ. თამარაშვილის მიერ შეგ-

როვილი სხვადასხვა ევროპელ მისიონერთა წერილები. ქართველთა გასომხების მიზეზად, სწორედ ვ. გაბაშვილის მიერ დასახელებული გარემოება უნდა მივიჩნიოთ.

მ. თამარაშვილს დამოწმებული აქვს ნიკიფორე ირბახის სიტყვები, რომელიც მას წარმოუთქვამს 1634 წელს, ერთი ახალგაზრდა ქართველის ნასყიდა ლოპამონის გაკათოლიკებასთან დაკავშირებით: „ყოველდღე ჩვენს თვალთ ვხედავთ, რომ მრავალნი ქართველნი სომხდებიან და უფრო მომეტებულნი მათგანი მაჰმადის სარწმუნოებასაც ღებულობს, მაშ ვისაც კი უნდა გაფრანგება, რაღად უნდა დაეშალოსო?“ (128, 127). ასევე ქართველთა სომხურ წესზე გადასვლის ფაქტები დამოწმებულია ავგუსტინელი პატრის ამბროზიო დელი ანჯოლის მოხსენებაში, რომელიც მან 1640 წელს მისწერა საქართველოდან რომში – „თუმცა, ქართველებს დიდი სიმძულვარე აქვს სომხებისა სარწმუნოების მხრივ, ბევრი მათგანი გადადის სომხის წესზე“. ეს ცნობა დამოწმებული აქვს მ. თამარაშვილს (128, 236-237); (1, საქმე №6).

ზემოთდამოწმებული ფაქტები საშუალებას გვაძლევს ვთქვათ, რომ დასაშვებია საპირისპიროდ დ. კაციტაძისა და მ. ტიკაძის მტკიცებისა, ცნობილ სომეხ ვაჭართა შორის ყოფილიყო წარმოშობით ქართველი, რომელიც სომხურ მონოფიზიტური აღმსარებლობისა იყო, ან ყოველ შემთხვევაში შედიოდა სომეხთა სავაჭრო გაერთიანებაში.

საერთოდ ჩვენთვის ცნობილია, რომ შუა საუკუნეებში როგორც მ. თამარაშვილი აღნიშნავს „სარწმუნოება და ტიპიკონი საზღვრიდა გვარტომის სახელსაც და სდებდა ხშირად გვარტომობის სახელად თავის სახელს, მაგალითად, უწინ აღმოსავლეთში ფრანგებმა მოფინეს რომის ეკლესიის სარწმუნოება და წესი. ამისათვის აღმოსავლეთის სხვადასხვა ტომის კათოლიკებს ეწოდათ სახელი ფრანგი. ამასვე ცხადად ვხედავთ მისიონერების წერილებში, მართლმადიდებელი ქართველების შესახებ, რომლებსაც ხშირად უწოდებდნენ ბერძნებს, რადგანაც ბერძნების ტიპიკონი აქვსთ, თუმცა ბერძნის ტომისა არაფერი აცხიათ. მსგავსადვე მისიონერები თვინიერ ტომის გარჩევისა ზოგჯერ მართო ტიპიკონის გამო უწოდებდნენ სომხებად იმ კათოლიკეებს, რომლებსაც სომხების მართო ტიპიკონი აქვთ“ (129, 219).

საერთო ვაჭრობის განვითარებას ხელს უწყობდნენ კათოლიკე მისიონერები. ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოს სავაჭრო საქმეებში (128, 132; 123, 210). ზ. ჭიჭინაძე მიუთითებს – ქარ-

თველებზედ ვაჭრობის მხრივ მეტად კარგი გავლენა ჰქონდა კათოლიკურ სარწმუნოებას“. იგი წიგნში „ქართველ კათოლიკეთა ვაჭრობა“ ასახელებს კათოლიკე სარწმუნოების მქონე ქართველი ვაჭრების გვარებს: ზუბალაშვილები, ზურსიძეები, ნებიერიძენი, ბაქრაძეები, ფიბუაშვილები, ნარუაშვილები, ქვაბიაშვილები, ბერუკაშვილები (185) და სხვ. ქართველ კათოლიკეთა ვაჭრობისადმი მიდრეკილების შესახებ ცნობა დაცულია მიქელ თამარაშვილთანაც (1640). მისი გადმოცემით, ნეაპოლში სწავლობდა სამი ქართველი კონგრეგაციის დახმარებით სასულიერო სწავლების გარდა კომერციასაც.

ჩვენ ვიზიარებთ გ. მაისურაძის მიერ დ. კაციტაძის მოსაზრების კრიტიკას ისპანის გარეუბანში მცხოვრები ვაჭრების სომხური წარმოშობის შესახებ (148, 303).

ვფიქრობთ, რომ მ. თოდუას მიერ გამოქვეყნებული ისპანის ვულფის საფლავის ქვების წარწერები, რომლის მიხედვით იგნორირებული აქვს ავტორს ისპანში ქართველთა დასახლება (130, 205) არ უნდა ჩათვალოს საკმარის მასალად ისპანში ქართული წარმოშობის ვაჭრის არარსებობის შესახებ, ვინაიდან ეს წარწერები წარმოადგენენ ქრისტიანთა საფლავების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს. მით უფრო ისპანში ქართველთა დასახლების შესახებ ცნობები იმდენად ბევრ ავტორს აქვს დამოწმებული, რომ იგი საკამათო არ უნდა იყოს.

ასე რომ, ჩვენი აზრით ქართული მიწიდან აყრილი ქართველები, რომლებიც ირანის ქალაქებში იყვნენ ჩასახლებულნი – აქტიურად ებმოდნენ სავაჭრო საქმიანობაში, თვით შაკ-აბასის მიერ ქართველთა გასახლების ერთ-ერთი ძირითადი მიზანიც ზომ ეს იყო, – ხელი შეეწყო როგორც სოფლის მეურნეობის, ასევე ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარებისათვის.

XVI–XVII საუკუნის უცხოურ წყაროებში ეხვდებით საწინააღმდეგო ცნობებსაც, რომ ქართველები ნაკლებად მისდევდნენ ვაჭრობას, სახელდობრ, მაკარი ანტიოქიელთან, (21, 115-116) პიეტრო დელა ვალესთან (64, 102) და ოლფერტ დაპერთან (62, 142), მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მაკარი ანტიოქიელის ცნობები ძირითადად შეეხება დასავლეთ საქართველოს, რომელიც XVII საუკუნის დასაწყისში ეკონომიკურად უფრო ჩამორჩენილი იყო, ვიდრე აღმოსავლეთი. აღმოსავლეთ საქართველოსათვის განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულა რუსეთის მიერ ყაზანისა და ასტრახანის აღებამ, როცა მდინარე ვოლ-

გის აუზში თათარ-მონღოლთა ბატონობა რუსეთის სახელმწიფოს მფლობელობით შეიცვალა.

როგორც ვ. გაბაშვილი წერს: „საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთით მოირღვა ნომადური კედელი, რუსეთი ამიერ-კავკასიას მიუახლოვდა“ (115, 64). აღმოსავლეთ საქართველოსათვის ასევე დადებითი როლი შეასრულა გილან-შამახია – ასტრახანის აბრეშუმის გზამ, რომელიც ქართველი ვაჭრებისათვის ხელსაყრელ ფაქტორს წარმოადგენდა.

პიეტრო დელა ვალეს ზემოთ მოტანილი შეფასების შესახებ, გ. ჟორდანია წერს, რომ მისი ასეთი ცნობა „განპირობებულია იმითაც, რომ დელა-ვალე გაეცნო სპარსეთში ჩასახლებულ ქართველებს, როდესაც მათი ქვეყანა აოხრებული იყო, ისინი თავიანთი საქმიანობის კალაპოტიდან ამოვარდნილნი იყვნენ და ჯერ ვერ შეძლეს, შეექმნათ მყარი მდგომარეობა თავიანთი სავაჭრო საქმიანობისათვის“ (157, 184).

რაც შეეხება ო. დაპერის ცნობას, მას შედარებით ნაკლები მნიშვნელობა აქვს თვითმხილველთა გადმოცემებთან შედარებით. ვინაიდან, მისი ნაშრომი, ძირითადად შედგენილია სხვადასხვა ევროპელი მოგზაურთა წიგნების მიხედვით და საესებით შესაძლებელია მისი წყარო ამჯერად პიეტრო დელა ვალეს თხზულება ყოფილიყო. თანაც ცოტა ქვემოთ ისპაჰანის აღწერისას, იმავე წიგნში მიუთითებს, რომ „იქ ცხოვრობენ ქართველები და ისინი ვაჭრობაში არიან ჩაბმულნი“ (62, 28-29).

ამრიგად, ამ ცნობებს, როგორც ჩანს, არ შეუძლია გააუფასურონ ან გააბათილონ ტ. პერბერტის, ა. ოლფარიუსის, ი. სტრეისის, ჟ. ა. ტავერნიეს, ფ. ტრინიტიატეს, ჯ. ფრაიერის და სხვა თანამედროვე ავტორთა მიერ გადმოცემული ფაქტები ქართველი ვაჭრების შესახებ. მათი ცნობები კი უნდა ნიშნავდეს მხოლოდ იმას, რომ ვაჭრობაში ქართველები უპირატესობას უთმობენ სომხებსა და ებრაელებს და არა იმას, რომ ისინი საერთოდ არ ღებულობდნენ მონაწილეობას ამ საქმეში. მით უფრო, როცა ქართულ საისტორიო მასალებშიც გვხვდება ცნობები ქართველი ვაჭრების შესახებ. კერძოდ, ზ. ალექსიძისა და შ. ბურჯანაძის მიერ გამოცემულ – „მასალებში საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის“. „მარიამ დედოფალმა გაათავისუფლა თბილელი ყმები ტატუნაშვილი, ამირანაშვილი, ბეგლიკაშვილი და სარუხანა ნოდარაშვილი გორში ბაჟისაგან“, იქვე – „გორელი ვაჭრები: როსტომაშვილი, გოგინასშვილები, გვიგინასშვილები, ზირაქიშ-

ვილები, ჭურთხევილები, გიორგი მეფემ უბოძა დავით ქსნის ერისთავს, მის ძმას რევაზს და ბიძაშვილებს ლარგველს და დათუნას“ (23, 60-61).

ქართველი ვაჭარი გვარად დიაკონიშვილი მოხსენიებულია ქართლის ცხოვრებაში, XVII საუკუნის ამბების გადმოცემისას სწერია: „ხოლო იყო მუნ სტამბოლს ერთი გორელი ვაჭარი, რომელსაც ეწოდა დიაკონისშვილი“ (10, 537).

XVII საუკუნის 30-იანი წლებიდან აღმოსავლეთ საქართველოში საერთოდ იგრძნობა ეკონომიკური აღმავლობა, რაც განპირობებული იყო როსტომ მეფის მშვიდობიანი პოლიტიკით. ადგილობრივი სავაჭრო ფენის წასახალისებლად და მისი უცხოელი სავაჭრო კაპიტალისაგან დასაცავად უნდა ყოფილიყო გაცემული როსტომ მეფის მიერ ბრძანება თბილისის ციხის კარზე ბაჟის აღების წესის შესახებ (30, 148-149). თბილისში ადგილობრივი ვაჭრები მრავლად იყრიდნენ თავს „მსოფლიოს არცერთ კუთხეში არ მოიძებნება იმდენი სხვადასხვა ჯურის უცხოელი, როგორც აქ, ისინი ღიდ ვაჭრობას ეწევიან“, — წერს ფრანგი ვაჭარი ჟან შარდენი (33, 325), რომელმაც XVII საუკუნის 70-იან წლებში მისი სავაჭრო საქმეების გამო იმოგზაურა აღმოსავლეთში. ქალაქ თბილისის შესახებ ანალოგიურ ცნობას იძლევა მისიონერი ანდრია ეპიფანე (128, 225). ასევე საინტერესოა სერაფიმო მელკოკას წერილი რომის პაპისადმი — „მისიონერ სერაფიმო მელკოკას სიტყვებით, აღორძინებულ თბილისში XVII საუკუნის 60-იან წლებში მოდიოდნენ ვაჭრები ყველა მხრიდან ირანის ქალაქებიდან, ალექოლან, კონსტანტინოპოლიდან და მთლიანად საქართველოდან. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ აქ ყოველდღიურად მოდიოდა მრავალი ვაჭარი და მრავალნაირი საქონლით დატვირთული ქარაანები, მაიც საქართველოს სხვა ოლქებთან შედარებით აქ ყველაფერი ძვირი იყო“ (216, 132).

ქართველ ვაჭართა როლის წარმოსადგენად ერთ-ერთ მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს „ჯულაბაშვილების დავთარი ამ დავთარის ჩანაწერები ნათლად მეტყველებენ იმაზე, რომ ქართველი ვაჭრები, სახელდობრ გორელი ჯულაბაშვილები, აქტიურად მონაწილეობდნენ მახლობელი აღმოსავლეთის ვაჭრობაში. ჯულაბაშვილები დაკავშირებული ყოფილან უცხოელ ვაჭრებთან. სავაჭრო საქმეებს აწარმოებდნენ სხვადასხვა ქვეყნებში (151, 201-231).

საქართველოში აბრეშუმის წარმოებისა და ვაჭრობის შესახებ ცნობები დაცულია ფრანგი ბოტანიკოსის ჟან ტურნეფორის შრომაში,

რომელმაც საქართველოში იმოგზაურა XVIII საუკუნის დასაწყისში (94, 170).

არანაკლებ ინტერესს იწვევს ადამ ოლეარიუსის ცნობები ქართველთა სხვა დასახლებების შესახებ ირანში – კერძოდ მიზანდერაწში ქალაქ ფერაბადში და შამახიაში, „შამახია დასახლებულია სპარსელებით, სომხებით და ქართველებით, რომელთაც, მართალია, აქვთ თავიანთი საკუთარი ენა, მაგრამ ლაპარაკობენ თურქულად, როგორც ეს მიღებულია მთლიანად შირვანში“ (81, 443).

იქ, სადაც ა. ოლეარიუსი ქართველთა დასახლებების (ფერაბადი, პასან-აბადი) შესახებ ლაპარაკობს, მიუთითებს, რომ ესენი არიან სპარსეთში შაჰ აბასის მიერ გადასახლებული ქართველები და ამას უკავშირებს შაჰ აბასის მეორე ლაშქრობას, რომელიც 1616 წელს მოეწყო.

გარდა ა. ოლეარიუსისა, ქართველთა დასახლებები ირანში უნახაეს სხვა უცხოელ მოგზაურებსაც – ჯუზუპე ჯუდიჩე მილანელს, ი. სტრეისს, ტავერნიეს, შარდენს, პიეტრო დელა ვალეს, ენგელბერტ კემპფერს, ჰანრიხ ფონ პოსერს, ი. გ. ვორმს და სხვებს.

ქართველთა აყრას და მათ ჩასახლებას ადამ ოლეარიუსის მიერ დასახელებულ ადგილებში, ზემოთაღნიშნულ უცხოელ მოგზაურთა გარდა ადასტურებენ ქართველი ისტორიკოსები: ბერი ეგნატაშვილი, ვახუშტი ბატონიშვილი, ფარსადან გორგიჯანიძე და სომეხი ისტორიკოსი არქაელ დავრიჟეცი, სპარსელი ისტორიკოსები – ისქანდერ მუნში, ჰაჯი მეჰდი ყული ყაჯარი, ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი და თეათინელი პატრი დონ ჯუზუპე ჯუდიჩე მილანელი. თუმცა, დასახელებულ ავტორებს შორის არსებობს აზრთა სხვადასხვაობა გადასახლების თარიღის განსაზღვრაში, რაზედაც უკვე მიუუთითეთ შაჰ აბასის შემოსევებზე საუბრისას.

სომეხი ისტორიკოსი არაქელ დავრიჟეცი ქართველთა ჩასახლებას მაზანდარანის ოლქში ასე აღწერს: „როდესაც დამთავრდა აყრა, იმავე სიებითა და ნუსხებით წაიყვანეს ხალხი იქიდან (საქართველოდან – ბ.ჯ.), წაასხეს და მიიყვანეს სპარსთა ქვეყანაში, მიიყვანეს ყაზვინში, ხოლო იქიდან ქალაქ ფაჰრაბადს მიაღწიეს. ზოგი მათგანი ქალაქ ფაჰრაბადში დაასახელეს, როგორც ქართველები, ასევე სომხებიც, მაჰმადიანებიც და ებრაელებიც“ (39, 126).

სომეხი ისტორიკოსი გარკვევით მიუთითებს საქართველოდან შაჰ აბასის მიერ აყრილი მოსახლეობის ორ ნაკადად გაყოფას. მეორე

ნაკადი — „ის ხალხი... ვინც შაჰ-სევანი (შაჰის მეგობარი — ბ.ჯ.) გახ-
და, წასხეს და გადასახლეს სპარსეთში. მაგრამ ის ხალხი, რომე-
ლიც ქართლის ქვეყნიდან იყო, ფაჰრაადში კი არა, არამედ ისპაანში
წაიყვანეს და ისპაანის ზემოთა სოფელში დაასახლეს, სადაც სომხები
იყვნენ დასახლებული“ (39, 127). აქ, ჰასანაბადის მოსახლეობაზე,
რომელიც ა. ოლეარიუსმა ნახა, უნდა მოგვითხრობდეს სომეხი ისტო-
რიკოსი.

შაჰი, რომელიც მეტად დაინტერესებული იყო მეაბრეშუმეობის
განვითარებით მაზანდერანის ოლქში და კერძოდ, ფერაბადში, ფიქრობ-
და თუთის ხეების გაშენებას და ამ რაიონში მეაბრეშუმეობის განვითარ-
ებას აქ გადმოსახლებულ ქართველთა და ებრაელთა მეშვეობით.
„ქართველები, როგორც ქრისტიანები, ასევე ებრაელებიც მიჩვეულნი
არიან აბრეშუმის ჭიის მოვლას და ეწევიან აბრეშუმის წარმოებას და
გაყიდვას. ამის ხელშესაწყობად ურიცხვი რაოდენობის თუთის ხეები
იქნა დარგული (ფაჰრაბადის) მიდამოებში. აქაური ნიადაგი მათი
ზრდისათვის მთელ მსოფლიოში საუკეთესოა“, — აღნიშნავს ევროპულ
წყაროებზე დაყრდნობით პ. ობერლინგი (155, 70).

ქართველი მოსახლეობის ჩასახლებას ირანის სხვადასხვა პრო-
ვინციებში, კიდევ ის მიზანი ჰქონდა, როგორც ზ. შარაშენიძე წერს,
რომ შაჰს სურდა გამოეყენებინა ირანში ჩამოყვანილი ქართველი მო-
სახლეობა სხვა ურჩი, სპარსელი მოსახლეობისადმი მტრულად გან-
წყობილი ტომების წინააღმდეგაც. „ამიტომ მან ქართველი მოსახლეო-
ბა ისეთ ადგილებში ჩაასახლა, სადაც მოსალოდნელი იყო ურჩ ტომთა
თავდასხმები, რითაც შექმნა ხელოვნური „ციოცხალი“ საფრები“ (176,
50).

ა. ოლეარიუსი გვაწვდის ცნობებს ფერაბადში მცხოვრებ ქარ-
თველთა და სომხთა ბედის შესახებ. „ყველაზე ღირსშესანიშნავი, რაც
შაჰ სეფიმ თავის მმართველობის ჟამს გააკეთა, როგორც ამას სპარსე-
ლები ამბობენ, იყო ის, რომ მან გაანთავისუფლა საწყალი ხალხი (das
arme Volk), რომელიც შაჰ აბასმა გადმოსახლა ერევნიდან, ნახჭევნი-
დან, ხალეჯიდან და საქართველოდან 7000 კაცის რაოდენობით ფერა-
ბადში, მისცა მათ მიძიმე სამუშაოები, რამდენიმე ძვირფასი ნაგებობები
შშენებლობაში. სეფიმ უფლება დართო ყველა მათ დაბრუნებულიყვნენ
უკან თავის სამშობლოში, მაგრამ, სამწუხაროდ, მათგან მხოლოდ
300-ზე ნაკლები კაცი დაბრუნდა, ვინაიდან დანარჩენი დაიხოცა უჩვე-
ულო კლიმატის ზემოქმედების გამო“ (81, 663).

ქართველთა ნაწილი მართლაც მობრუნებულა ირანიდან, რაზე-
დაც მიუთითებენ ქართველი მეისტორიენი (ბერი ევნატაშვილი, ვახუშ-
ტი ბატონიშვილი) და რუსი ბაზიერი ივანე კოვალოვი, რომელიც
ვოლკონსკისა და სვატოვის ელჩობას ახლდა კახეთში, მაგრამ ქარ-
თველთა მცირე ნაწილი დაბრუნებულა, ვინაიდან უმეტესი მათგანი და-
ღუპულა შეურყეველი ბუნებრივი პირობების გამო. გადასახლებული
ხალხი ვერ გამრავლდა იმ ქვეყანაში (ფაჰრაბადში – ბ.ჯ.), რადგან
ისინი შეურყეველნი იყვნენ იმ ქვეყნის ტენიან, მკაცრ, სულისშემბუთავ
და მძიმე ჰაერს, აგრეთვე სასმელ-საჭმელს და იმ ქვეყნის სხვა საარ-
სებო საშუალებებს. რის გამოც – წერს არაქელ დავრიუეცი, – დაიწ-
ყო მათი ამოწყვეტა და სიკვდილიანობა და მცირე ხანში იმდენი დაი-
ღუპა და დაიხოცა, რომ 10 ათასი სომეხი ოჯახიდან მხოლოდ 400
ოჯახი დარჩა ცოცხალი, ხოლო ნაწილმა კი საშინელი შიშხილით
იძულებულებმა შეასრულეს შაჰის ბრძანება და გამაჰმადიანდნენ (39,
355).

ფერაბადში ჩასახლებული ქრისტიანი მოსახლეობის სამშობლო-
ში და, კერძოდ, ქართველთა საქართველოში დაბრუნება უნდა მომხდა-
რიყო მაშინ, როდესაც თეიმურაზი საბოლოოდ შეურიგდა შაჰ სეფის,
დაახლოებით 1634-35 წლებში, ყოველ შემთხვევაში, ა. ოლეარიუსის
ისპაანში ჩასვლამდე (1637 წლის 3 აგვისტო).

ასეთივე ბედი ეწია ჰასანაბადში მცხოვრებ ქართველებს, რო-
მელთაც შედარებით უკეთ ეპყრობოდნენ იმის გამო, რომ ისინი დიდ
სარგებელს აძლევდნენ თავიანთი სავაჭრო საქმეებით, შაჰ აბასმა თურ-
მე ასე დაამშვიდა. თავისი ქვეშევრდომები, რომლებიც უკმაყოფილონი
იყვნენ შაჰის მხრივ ქრისტიანების მფარველობის პოლიტიკით: „ნუ გა-
ბოროტდებით იმ მცირედი და მოჩვენებითი მეგობრობის გამო, რომელ-
საც მე მათ (ქრისტიანებს) ვუწევ, ნუ მკითხავთ იმის გამო, რომ დი-
დი ხარჯის გაწევით და მეცადინეობით შეეძელი მათი მოყვანა ისპაან-
ში და ეს ჩავიდინე არა მათი, არამედ ჩემი ინტერესებისათვის, რათა
სარგებლობა მიიღოს ჩემმა ქვეყანამ და განვითარდეს ჩემი ხალხი. ახ-
ლა თუ ქრისტიანთა მოდგმა, გადმოყვანილი მათი ქვეყნიდან და აქ და-
სახლებული დავანაწევრეთ, არცერთი მათგანი არ მიიღებს ჩვენს სარ-
წმუნოებას, სხვანი გამოცალკავდებიან და იღუპილად გაიქცევიან: ჩვენი
მეცადინეობა უშედეგოდ ჩაივლის, ხოლო თუ მოეპყრობით მათ ისე,
როგორც ამას ჩავდივართ, მე დავუკავშირებ მათ ჩემს ქვეყანას. მათი
მოხუცნი, დაბადებულნი სომხეთში, ყველა დაიხოცება, მათი შვილები

კი აქ დაბადებულნი, თავისით, ჩვენი მიწვევის გარეშე, მიიღებენ ჩვენს სარწმუნოებას“ (39, 168).

შაჰის ეს წინასწარ განჭვრეტა გამართლდა. ბევრი გაათათრდა სომხთაგან და ქართველთაგან, რომელთათვის დენაციონალიზაციის საფრთხე უფრო მეტი იყო, როგორც გ. ჟორდანიას აღნიშნავს, ვიდრე სომხებისათვის. ა. ოლგარის მოგზაურობიდან 20 წლის შემდეგ, არაქელ დავრიეცის აღწერით, თითქმის ყველა ქართველს მიუტოვებია თავიანთ წინაპართა სარწმუნოება და თანამორწმუნეთათვის შეუბრალე-ბელ ჯალათებად ქცეულა. უან შარდენი, ისპაანის გარეუბნის ჰასანაბადის ანუ ხაჯუგის აღწერისას, სრულიად არ ახსენებს იქ ქართველთა მოსახლეობას (157, 179).

მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ საეკლესიო გადაშენდა ისპაანში ქართველთა მოსახლეობა. გერმანელი მოგზაურის ენგელბერტ კემფერის ცნობით, რომელმაც იმოგზაურა 1684-85 წლებში ისპაანში, „აქ ცხოვრობდა 20000 გამაჰმადიანებული ქართველი“ (76, 230).

ირანში ქართველთა სწრაფი დენაციონალიზაციის ძირითადი მიზეზი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იყო შაჰის მტრული დამოკიდებულება მართლმადიდებელი ქართველი ქრისტიანებისადმი. მაგრამ ყველას არ მოუნდომებია რენეგატობა. ნაწილი მათგანი სამშობლოში დაბრუნდა, ქართველობა შეინარჩუნა, ნაწილმა კი — გრიგორიანობის მიღება არჩია, რის მიმართ შაჰი ლოიალურ დამოკიდებულებას იჩენდა.

XVII საუკუნის საისტორიო წყაროებში დამოწმებულია აგრეთვე ქართველთა ახალშენები ირანის სხვადასხვა პროვინციებში, ამ ახალშენების შექმნის მიზანიც, უპირველეს ყოვლისა, იყო საქართველოს ეკონომიკურ-პოლიტიკური განვითარების მოშლა და ირანის ეკონომიკური და სამხედრო ძლიერების განმტკიცება.

ქართველთა დასახლების შესახებ ფრიად საინტერესო ცნობები აქვს ფარსის პროვინციაში, ისპაჰან-შირაზის გზის გასწვრივ მდებარე სოფლებში — ასუპასში, ამინაბადში და ქუშქეზარდში ევროპელ მოგზაურებს პიეტრო დელა ვალეს, ჰაინრიხ ფონ პოსერს, ტ. ჰერბერტს, უან ტავერნიეს, ე. ტევენოს, ჯონ ფრაიერს, ენგელბერტ კემპფერს და სხვებს. ეს ცნობები მით უფრო ძვირფასია ჩვენთვის, რომ ქართველი მეისტორიენი — ბერი ეგნატაშვილი, ვახუშტი ბატონიშვილი და ფარსადან გორგიჯანიძე არაფერს წერენ ფარსში, კერძოდ, ასუპასში ქართველთა ჩასახლების შესახებ. თვით ისქანდერ მუნშიც სდუმს ამ საკითხზე.

1624 წლის 26 მაისს ყოფილა სოფელ ასუპასში გერმანელი მოგზაური ჰაინრიხ ფონ პოსერი, იგი სწერს, რომ აქ ცხოვრობენ ქართველები და ჩერქეზები, როგორც მისი თხრობიდან ჩანს ეს სოფელი ალავერდი ხანს ეკუთვნოდა, ხოლო შემდეგ გადაეცა მის ვაჟს დაუდ ხანს. ალავერდი ხანს აქ აუშენებია ქარვასლები და გაუშენებია ლამაზი ბაღები (72, 1-4).

ტ. პერბერტის 1628 წლის 28 მარტით დათარიღებული ჩანაწერიდან ვიგებთ, რომ ასუპასში ცხოვრობდა ორმოცი ათასი ქართველი და ჩერქეზი, ისინი ამ პერიოდისათვის ქრისტიანები ყოფილან. „ეს ის ხალხია, რომელსაც მფარველად ჰყავს წმინდა გიორგი, კაპადოკიელი ეპისკოპოსი, რომელსაც მოწიწებით სცემენ თაყვანს“ (74, 117), ხოლო 1665 წელს ჟან ბატისტ ტავერნიეს იქ ყოფნის ფაშს ეს ქართველები უკვე მაჰმადიანები გამხდარან (91, 285). ასეთივე ცნობა არის დამოწმებული არაქელ დავრიჟეცის „ისტორიაში“, გადარჩენილები უკლებლივ ყველა ეზიარა მაჰმადის უსჯულო სჯულს“ (39, 285). თუმცა, ასუპასში უფრო მოგვიანებით იყო ჯ. ფრაიერი, რომელიც აღწერს ამ სოფელს. მისთვის უცნობებიათ მოსახლეობას, რომ იქ მმართველობდა მათი თანამემამულე რობერტ შერლი შაჰ აბას I-ის დროს. ახლა, - წერს იგი, - დასახლებულია ქართველი ქრისტიანებით, რომლებიც ამუშავებენ მიწას და გაშენებული აქვთ ვაზი, დიდი მოსავალი მოჰყავთ ამ ბორცვებიან ფერდობებზე“ (68, 231).

1685 წლის 28 ნოემბერს ნახა ქართველთა მოსახლეობა ასუპასში ენგელბერტ კემფერმა (76, 192).

სოფელ ამინაბადის შესახებ ტ. პერბერტი წერს, რომ „ესაა სოფელი დასახლებული ოცდაათი კომლით, რომლის უმრავლესობა რენეგატი ქართველებია, აქ მბრძანებლობს დაუდ-ხანი, შირაზის დუკის ძმა“ (74, 119).

ზემოთ დასახლებულ წყაროებში მოცემულია აქ მცხოვრებთა ძირითადი საქმიანობა. ისინი ძირითადად მიწათმოქმედებას მისდევდნენ, მათი ძირითადი საქმიანობა მევენახეობა ყოფილა.

შირაზში ქართველთა მიერ მევენახეობის წარმოება, - როგორც ზ. ავალიშვილი აღნიშნავს, მარტივ პასუხს იძლევა ივ. ჯავახიშვილის მიერ დასმულ კითხვაზე: „როგორ მოხდა, რომ შირაზის ყურძნის ჯიშს, ევროპელები ქართული სახელით, „შირაზული“ - იცნობდნენ“ (187, 413).

ყოველივე ზემოთქმულიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შაბას I-ის 1614-1616 წლებში საქართველოდან აყრილი მოსახლეობა ჩაუსახლება ირანის სხვადასხვა პროვინციებსა და ქალაქებს.

ქართველთა და სომხთა თავიანთი მშობლიური მიწიდან აყრა და ირანის ოლქებში ჩასახლება, როგორც ამას აღნიშნავენ ი. პეტრუშევსკი, ვ. გაბაშვილი, გ. ჟორდანიას, ზ. შარაშენიძე და სხვები მიზნად ისახავდა არა მარტო საქართველოს მიწა-წყლის თავიანთი შეხედულებებისამებრ გამოყენებას და შაჰის ჯარში მათ დაწინაურებას ყიზილბაში ამირების დასაპირისპირებლად, არამედ ზოგიერთ პროვინციაში მათი გადასახლების მიზანი იყო ამ რაიონების ეკონომიკური აღორძინება და გაძლიერება. როგორც წყაროებიდან ჩანს მაზანდერანის ოლქში მოსახლე ქართველები ძირითადად აბრეშუმის წარმოებას მისდევდნენ. შირაზის რაიონში ჩასახლებულნი მევენახეობას მისდევდნენ, ხოლო ქალაქში ჩასახლებულნი ებმეოდნენ ვაჭრობაში.

**ქართველთა ირანის სახელმწიფოებრივ-
ადმინისტრაციულ და სამხედრო სარბიელზე**

ბედის უკუღმართობის წყალობით, ქართველი ხალხის ბევრი სახელოვან შვილს მოუხადა მოღვაწეობა ირანში და მისი ეკონომიკური და პოლიტიკური ძლიერების განმტკიცებას შეაღია თავისი ნიჭი და ძალ-ღონე.

ქართველების და სხვა კავკასიელების დაწინაურება ირანის სამხედრო და პოლიტიკურ სარბიელზე წარმოადგენდა შაჰ აბას I პოლიტიკის ნაწილს. კავკასიური ელემენტი იმ სპარსელებთან ერთად, რომლებიც ქვეყნის ცენტრალიზაციისაკენ მიისწრაფოდნენ, შაჰ აბასმა დაუპირისპირა ყიზილბაში ამირების ძალაუფლებას. კავკასიური ელემენტის წინ წამოწევით იგი ცდილობდა საიმედო დასაყრდენი შეექმნა ცენტრალური ხელისუფლებისათვის და მისი წარმომადგენლები გამოეყენებინა ყიზილბაშ ტომთა ბელადების გაუღუნის დასამზობად. ასე აქვთ წარმოდგენილი შაჰ აბას I პოლიტიკური ამოცანა კავკასიური ელემენტის ირანის სახელმწიფოს ცენტრალიზაციი საქმეში ვ. გაბაშვილს (115, 112), კ. კუციას (141), კ. ბაბაევს (194) და სხვებს.

გამაჰმადიანებული ქართველი მოხელეების წვლილი დიდი იყო ირანის საშინაო და საგარეო ძლიერების განმტკიცების საქმეში, განსაკუთრებით დიდი იყო მათი როლი ირანის სამხედრო ასპარეზზე. პეტრო დელა ვალე, რომელიც 1617 წლიდან 1623 წლამდე ირანში იმყოფებოდა, მიუთითებდა, რომ „დღეს ხელმწიფის მხედრობაში ოცდაათი ათასზე მეტი ქართველია, რამდენიმე ჩერქეზი და ცოტაოდენი სომეხი“. იგი აქვე განსაზღვავს შაჰ აბას I პოლიტიკას „მას ყოველთვის მიზნად ჰქონდა ამისთანა უცხოელი მომხრეების შემწეობით, რომელთაც მონებს უწოდებდა, დაემდაბლებინა ყიზილბაშები და დაეღვა მათთვის ლაგამი“ (64, 130).

ინგლისელი ისტორიკოსები დ. ლენგი და ლ. ლოკარტი შაჰ აბას I გამარჯვებებში სწორედ ქართველ მეომრებს ანიჭებენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას (284, 523-539); (285, 89-98).

დ. მ. ლენგის თქმით, „აბასი დიდად აფასებდა ქართველების ენერგიას, ნიჭს და სურდა მიეზიდა ქართველი მეომრები და საზოგადო მოღვაწენი თავის კარზე, რათა ხელი შეეშალა მათთვის სამშობ-

ლოში შაჰის წინააღმდეგ გამართულ ბრძოლაში ჩაბმისათვის. იღებდა რა სამსახურში დამორჩილებული მცირე ერების წარმომადგენლებს, შაჰს დასახული ჰქონდა გონივრული პოლიტიკა — შეერყია ყოზილბაშ ურდოთა ძალა, რომელთა მერყევ ერთგულებაზე დღემდე დამოკიდებული იყო დინასტიის ბედი“ (284, 525).

უცხოეთში ტყვედ წაყვანილი თუ მონებად გაყიდული, მაჰმადის რჯულზე მოქცეული ქართველობა ერთგულ სამსახურს უწევდა ირანის შაჰს. ამ პერიოდის თითქმის ყველა საისტორიო წყარო აღნიშნავს ამ მოხელეების ერთგულებას სეფიანი მმართველების წინაშე. ისინი ერთგულად ემსახურებოდნენ შაჰს და თავიანთ ნიჭსა და უნარს ახმარებდნენ ირანის სამხედრო და პოლიტიკურ ძლიერებას. ა. ოლეარიუსი აღნიშნავს, რომ შაჰები თავიანთ თანამემამულეებზე მეტად იმ ქრისტიანებს ენდობიან, რომლებიც წინადაცვეთის წესს შეასრულებენო (81, 603). განსაკუთრებით ხაზს უსვამს ქართველთა ერთგულებას ინგლისელი მოგზაური ტ. პერბერტი. „იშვითად გაიგებთ — წერს ტ. პერბერტი, — რომ რომელიმე მათგანს ემუხთლოს ან სპარსეთის სამსახურის შემდეგ თურქეთის სამსახურში გადასულიყოს“ (74, 123).

ქართველი ერის წარმომადგენლებს ასეთივე მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდათ ირანის კულტურის განვითარებაშიც (174; 175).

XVI საუკუნის დამლევდიან, ვიდრე XVII საუკუნის შუა ხანებამდე, უნდილაძეების საგვარეულო მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ირანში. უნდილანთ ფეოდალური სახლის წარმომადგენლები აქტიურად მონაწილეობდნენ ირანის როგორც საშინაო, ასევე საგარეო საქმეებში. XVI საუკუნის დამლევდიან სიკვდილამდე (1614 წ.) ალავერი ხანი განაგებდა ფარსის საბეგლარბეგოს, რომლის გარდაცვალების შემდეგ ფარსის ბეგლარბეგი გახდა მისი უფროსი ვაჟი, იმამ-ყული ხანი; მას ამ პერიოდის ევროპული წყაროები ვიცე-მეფედ მოიხსენიებენ. მეორე ვაჟი დაუდ ხანი, ჯერ ფარსის საბეგლარბეგოს ერთ-ერთი ხანი იყო, ხოლო შემდეგ განჯა-ყარაბაღის ბეგლარბეგი გახდა.

ირანის შაჰის კარზე აღზევებული ქართველი მოღვაწეების — ალავერდი ხანისა და მისი ვაჟების იმამ-ყული ხანისა და დაუდ-ხანის მოღვაწეობის შესახებ ცნობები უფრო მეტად გვხვდება სპარსულ და ევროპულ წყაროებში. XVI-XVII საუკუნეების თითქმის ყველა მოგზაურის, მისიონერისა და დიპლომატების წიგნებში ფრიალ საინტერესო და შინაარსიანი ცნობებია თავმოყრილი მათ შესახებ.

ალავერდი-ხანი და მისი ვაჟები ირანში ფლობდნენ ბაზრებს, ქარვასლებს, ფუნდუკებს და აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ საერთაშორისო ვაჭრობაში, აგრეთვე ქალაქებისა და ხიდების მშენებლობაში, ასევე მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებდნენ ქვეყნის კულტურული განვითარებისათვის.

სანამ გადმოვეცემდეთ ა. ოლეარიუსის მიერ უნდილაძეების საგვარეულოს ბოლო დღეების ამსახველ ცნობებს, გვინდა აღვნიშნოთ, რომ ალავერდი-ხანის ეროვნების შესახებ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. ავტორთა ნაწილი ასაბუთებს, რომ იგი წარმოშობით სომეხი იყო; მიუხედავად იმისა, რომ ეს საკითხი დღეისათვის ვ. გაბაშვილის, კ. კუციას, ბ. გიორგაძის და გ. ჟორდანიას საფუძვლიანი გამოკვლევების შემდეგ არ უნდა იყოს სადავო, რუსულ ისტორიოგრაფიაში ჯერ კიდევ საბოლოოდ არაა გაზიარებული აზრი ალავერდი ხანის ქართველობის შესახებ (224, 96).*

ალავერდი ხანისა და მის ვაჟების ქართველობის შესახებ ცნობები დამოწმებულია ქართულ წყაროებსა და სხვადასხვა ევროპულ მოგზაურთა და მისიონერთა შრომებში (8; 13).** მათი თანამედროვე

* ზოგიერთი თანამედროვე სპარსელი ისტორიკოსიც ალავერდი-ხანს სომხად მიიჩნევს; ნ. ფალსაფი და მ. ზეჰთაბი; იხ.: ნ. ფალსაფი, შაჰ-აბას I-ის ცხოვრება, თარგმან ლ. ჟორჯოლიანმა, „უცხოური ლიტერატურის რეფერატული კრებული“, თბ., 1978, №6, გვ. 7. მორთუზა მეჰდი ფათეჰი, სპარსული მასალები XVI-XVII საუკუნეების ქართველ მოღვაწეთა შესახებ, თბ., 1982, გვ. 63.

** ალავერდი ხანის და იმამ-ყული ხანის ქართველობის შესახებ ცნობები გვხვდება ესპანურ ვალიადოლიდში 1604 წელს გამოქვეყნებულ ღონ ზუნ დე პერსიას თხზულებაში, მისი ცნობით „შაჰმა ალავერდი ხანი თორმეტი ათასი ქართველის სათავეში დააყენა, რადგანაც თვითონ იგი ქართველი რენეგატი იყო“. *Relationes de Don Juan de Persia* გვ. 111.

ასევე ინგლისელი ტ. პერბერტი იმამყული ხანის შესახებ წერს: „ეს კაცი წარმოშობით ქართველია, სჯულით მაჰმადიანი“. (*Herbert Th. The Travels of Persia* გვ. 74). იტალიელი მისიონერების რელაციებში არის მითითებული, რომ იმამყული ხანი ეროვნებით ქართველი იყო. იხ.: ღონ პიეტრო ავიტაბაღე, ცნობები საქართველოზე (XVIII ს.) შესავალი თარგმანი და კომენტარები ბ. გიორგაძისა, თბ., 1977; Ferro B., *Istoria della Missioni* გვ. 177. დ. როსი, ინგლისელი ისტორიკოსი, რომელმაც გამოსცა ა. შირლის თხზულება მიუთითებს, რომ ალავერდი ხანი წარმოშობით არის ქართველი და შემდეგ გამაჰმადიანებული (*Syr Anthony Sherley and his Persian Advantare, including some contemporary Naratives relatin thereto* edited by sir E. Denison Ross, London, 1933, გვ. 19).

არცერთ წყაროში არ არის მითითება მათს სომხურ წარმომავლობაზე, გარდა პიეტრო დელა ვალეს შრომისა. საინტერესოა ვ. გაბაშვილის კომენტარები პიეტრო დელა ვალეს ცნობის გამო – ალავერდი ხანის წარმომავლობის შესახებ, რომელიც განდა საფუძველი იმისა, რომ იგი სომეხად გამოეცხადებიათ ზოგიერთ ავტორს. პიეტრო დელა ვალეს ამ ცნობით „ალავერდი ხანი ეროვნებით სომეხი იყო, მაგრამ ქართველთა ქვეყნიდან“ (64, 172). ცნობის შესახებ ვ. გაბაშვილი წერს – „რადგანაც პიეტრო დელა ვალემ ქართული კარგად იცოდა და თანაც პირადად იცნობდა ალავერდი ხანს, „ამიტომ ადვილი შესაძლებელია „სომხითი“, საიდანაც უნდა ვიფიქროთ გამოსულიყო ალავერდი ხანი, მან „სომხეთად“ ან „სომეხად“ თარგმნა და (ასე) გამჟღავნა“ (112, 67).

ამავე სტატიაში ვ. გაბაშვილს მოყვანილი აქვს ცნობები, უნდოლაძეების გვარის შესახებ, რომელიც დაცულია ქართულ საისტორიო საბუთებში. მის მიერ მოტანილი საბუთები განეკუთვნება XII-XV საუკუნეებს. „ქართულ ფეოდალურ საზოგადოებაში მიმდინარე შინაკლასობრივი ბრძოლის ჩვეულებრივი შედეგი მხოლოდ ერთი იყო, – წერს ვ. გაბაშვილი, – ფეოდალური საგვარეულოს დამცირება-გადაშენება ანდა მისი გავლენიანი წარმომადგენლის უცხოეთში გადახიზვნა ბედის საძიებლად და მღვდმარეობის გამოსასწორებლად. ასევე უნდა მოქცეულიყვნენ უნდოლაძენიც. ალბათ, ამით უნდა ავხსნათ, რომ არც XVI საუკუნის და არც XVII საუკუნის ქართულ საბუთებში ისინი აღარ იხსენიებიან (თუ რა თქმა უნდა, ეს უბრალოდ საბუთის ჩვენამდე მოუღწევლობით აიხსნება)“ (112, 71). ჩვენ მოვიძიეთ XVII საუკუნის ერთი საბუთი, რომელშიც მოხსენიებულია უნდოლაძეების გვარი. ეს არის „განჩინება თეიმურაზ I თამაზ სააკაძისა და საგინაშვილების მამულის საქმეზე“ (31, 65, 23, 60-61). ეს საბუთი ფრიად დიდ ინტერესს იწვევს. აქ მითითებულია უნდოლაძეთა მამული და მათი ბედიც. „... სააკაძე თამაზ და საგინაშვილები ჩიონდნენ ზოფისის სოფელზედა, განვსაჯეთ ჩვენცა მათი საჩივარი საგინ(ა)შვილებს ზოფისზედ ხელი არაჲ ჰქონდა. აბელის მონაჭკერი ბოლო იყო, ვითაც რომე ამოვარდნილს უნდოლაძის წილი ყოფილიყო, მათ უნდოლაძეს ცოტაოდენი თეთრი დაეხარჯა წმინდის სამებისა.

ახლა ჩვენ ასე გავარიგეთ: არც საგინაშვილის კაცის წილი იყო და სამ საკომლოთ გავსინჯეთ ერთი ლაღაძე, ერთი მესხი ვარძიელი, ერთი ოსეფაშვილი, სამივე კომლი კაცი გუდარეხის მღვთისმობლისათვის შეგვიწირავს...“ (31, 66).



ალავერდი ხან უნდილაძის ხიდი ისპაანში

როგორც ამ წყაროდან ჩანს, საუბარი ეხება სოფელ ხოფის, გუდარეხს და მის ახლომახლო მდებარე ადგილებს, რომელიც მდებარეობს სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოში, სომხეთის მხარეს. ჩვენ ეს „განჩინება“ საშუალებას გვაძლევს დავემოწმოთ ვ. გაბაშვილის და დ. ლენგის მოსაზრებას, რომ უნდილაძეების შესახებ პიეტრო დელა ვალეს ასეთი ცნობა გამოწვეული იყო იმით, რომ უნდილაძენი იყვნენ სომხითიდან, ეს საბუთი ასევე იძლევა იმის საშუალებას, რომ ვირწმუნოთ ვ. გაბაშვილის მოსაზრება იმის შესახებ, რომ უნდილაძენი წარმოშობით მდაბიონი არ ყოფილან, არამედ ეკუთვნოდნენ ქართველ წარჩინებულთა რიცხვს.

ა. ოლეარიუსი მოგვითხრობს ალავერდი ხანის სააღმშენებლო საქმეებზე ქალაქ ყაზვინში. მისი ცნობით, ალავერდი ხანს და მის ვაჟს იმამ-ყული ხანს ჰქონიათ უზარმაზარი და ბრწყინვალე სასახლეები (81, 548), ხოლო შიგ ქალაქ ისპაანში ჩაპრ-ბაღში მდინარის მთავარ კალაპოტზე ალავერდი ხანს აუგია ხიდი (81, 584).*

* ეს ხიდი დღესაც მოქმედია და ატარებს ალავერდი ხანის სახელს. XVII და შემდეგი საუკუნეების თითქმის ყველა მოგზაური, რომელიც ისპაანში მოხ-

აი, ყველაფერი ეს, რაც უნდილანთ ფეოდალური სახლის მამამთავრის ალავერდი ხანის შესახებ გვხვდება ა. ოლეარიუსის წიგნში. ალავერდი ხანი შაჰ აბას I პერიოდში ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ირანის როგორც საგარეო საქმეების, ასევე საშინაო საქმეების მოგვარებაში. იგი ერთ-ერთი ყველაზე დაახლოებული პირი იყო შაჰ აბას I. ალავერდი ხანის მეშვეობით არაერთი რეფორმა გაუტარებია შაჰს. ასევე უნდილაძეებმა დიდი წვლილი შეიტანეს ირანის კულტურის განვითარების საქმეში. ალბათ, სწორედ ეს უნდა იყოს მიზეზი, რომ არ დარჩენილა თითქმის არცერთი ევროპელი თუ აზიელი მოგზაური მისიონერი, თუ დიპლომატი, რომელიც იყო იმ პერიოდის ირანში და თავის მოგზაურობის დღიურებში, მოხსენებებსა თუ წერილებში არ მოიხსენია ალავერდი ხანი და მისი ძალიან დიდი გავლენა ირანში. საილუსტრაციოდ შეგვიძლია მოვიყვანოთ პორტუგალიელი ელჩის ანტონიო დე გოვეას სიტყვები: „იმ დროს, როცა ხსენებულ ქალაქში (შირაზში — ბ.ჯ.) ჩავედი, მისი მმართველი იყო ალავერდი ხანი, ... ის მეფის მონაა, ისევე, როგორც საქართველოდან ჩამოყვანილი ზოგიერთი სხვა, რომლებიც თუმცა სქიზმატიკოსები არიან, მაგრამ მაინც ქრისტიანებია: მეფე მათ ძალიან ძვირად ყიდულობს. სანამ ახალგაზრდები არიან, აძლევს მათ საომარ განათლებას, ავარჯიშებს და შემდეგ მიანდობს საკუთარ თავს და ძირითადი ძალების განმგებლობას. ისინი ისევე არიან მასთან, როგორც იანიჩარები სულთანთან: ჰყავს თხუთმეტი თუ თექვსმეტი ათასი, ერთი მათგანი, რომელსაც შაჰი ენდობა, სწორედ ეს ალავერდი ხანია, რომელიც მან ბეგლარბეგი გახადა, რაც ბატონთა ბატონს ან დიდი ბატონების უფროსს ნიშნავს: ერთხელ, როდესაც მასზე მელაპარაკებოდა (შაჰი — ბ.ჯ.) მითხრა მთელი სპარსეთი მე მემორჩილება, მე კი ალავერდი ხანს ვემორჩილებიო. რეას ეკიუზე მეტი შემოსავალი აქვს, მთელი ქვემო მხარე ფარსისა, რომელიც ქალაქ შირაზს ემორჩილება მისი საპერტოგოა და მას ემორჩილება. ამ პროვინციას 400 ლიე სიგრძე და ასეთივე სიგანე აქვს“ (63, 69).

ვღა, აღწერს ალავერდი ხანის მიერ აგებულ ამ ხიდს. თურქულ წყაროებშიც გვხვდება ცნობები იმის შესახებ, რომ საქართველოდან გადასახლებულნი ქართველები ზრუნავდნენ შარა-გზების შენებაზე, ბაზრების მოწყობაზე და საერთოდ ქვეყნის ეკონომიკურ აღორძინებაზე. ისინი ფლობდნენ სავაჭრო ფუნდუკებსა და ბაზრებს ირანის სხვადასხვა პროვინციასა და ქალაქებში. იხ.: ევლია ჩელები, მოგზაურობის წიგნი, თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ. ფუთურიძემ. ნაკვეთი 1, თბ., 1971, გვ. 285.



შაკ აბას I და ალავერდი ხან უნდილაძე.
სასახლის კედლის მხატვრობა

ა. ოლფარიუსი საკმაოდ ერცლად მოგვითხრობს ალავერდი ხანის ვაჟების დაუდ ხანის, განჯის ბეგლარბეგის და იმამყული ხანის შირაზის ბეგლარბეგის უბედურ ზვედრზე: — „შაკ სეფიმ ბრძანა ყაზვინში მოეწვია ყველა ოლქის ხანები და მთავრები. ყველანი გამოცხადდნენ, გარდა ყანდაჰარის ხანის ალიმერდან ხანისა და განჯის ბეგლარბეგის დაუდხანისა, ცბიერი ადამიანისა. ორივე ეს ხანი მოქმედებდა მელიის წესით *Qua me Vestigia terrent cuncta te adversium retro spectantia nulla** იმის დასამტკიცებლად, რომ ისინი არიან შაკის ერთგული და კეთილმოსურნე გაუგზავნეს შაკს მძევალი, ალიმერდან ხანმა დედა, ერთი კანონიერი ცოლი და ვაჟი, დაუდ ხანმა კი — ცო-

* იგაუარაკიდან „მელა და ლომი“, დაუძღურებულ ლომს ნადირობა არ შეეძლო. იგი თავისთან იწვევდა ტყის სხვადასხვა ბინადართ და იმათ იტაცებდა. ერთხელ მელაც მიიპატიჟა, მაგრამ მელამ უარი უთხრა მისვლაზე — „კვალნი მაშინებენო, შენთან მისლურნი ბევრნი მინახავს, მაგრამ უკანმოზრუნებულნი არაო“, იგაუარაკს მიაკუთვნებენ ეზოპეს.

ლი და ვაჟი. როდესაც შაჰი არ დაქმნაყოფილდა ამით და მოისურვა, რომ ისინი (ალიმერდან ხანი და დაუდ ხანი — ბ.ჯ.) პირადად ხლე-ბოღნენ მას, ალიმერდან-ხანმა ყანდაპარის სიმაგრე გადასცა ინდოე-ლებს და თვითონაც მათ მფარველობაში გადავიდა, ხოლო დაუდ ხან-მა, რომელიც გაფრთხილებული იყო შაჰის მოსამსახურის ანუ საჭურ-რისის მიერ, რჩევა ჰკითხა მის ახლო მეგობრებს, გამოიძახა ქალაქის წარჩინებულნი მოუყვა მათ შაჰის შავბნელ საქმეებზე და გამოაცხადა, რომ ბევრად უფრო უსაფრთხო იქნებოდა თურქეთის ქვეშევრდობა, რომლებთანაც გაქცევა ჰქონდა გადაწყვეტილი, ვიდრე ახალგაზრდა, სისხლმსმელი შაჰის ხელქვეითობა. ვინც არ დაეთანხმა მის აზრს (15 კაცი), მან იქვე, ციხეში ამოხოცა, გაუგზავნა შაჰს საძრახი წერილი, ხოლო თვითონ გაიქცა საქართველოში თეიმურაზ ხანთან, რომლის დაც ჰყავდა ცოლად. აქედან კი თურქებთან, კონსტანტინოპოლში, სა-დაც სულთანის, იბრაჰიმის კარზე დიდი პატივით იქნა მიღებული. ამის შემდეგ შაჰ სეფიმ მთავრის ცოლი და ალიმერდან ხანის დედა საროსკიპოში გაგზავნა, სადაც ყველას ჰქონდა უფლება, ნამუსი აეხა-და მათთვის. დაუდ ხანის ვაჟი კი, როგორც Publicum Scortum გადას-ცა მეჯინიბებს“ (81, 660).

ამგვარად აქვს აღწერილი ა. ოლეარიუსს ირანში დაუდ ხანის მოღვაწეობის დასასრული.

როგორც აღამ ოლეარიუსი აღნიშნავს, დაუდ ხანი მელიის წე-სით მოქმედებდა და ამიტომაც დაუბარებია იგი შაჰს ყაზვინში. საინ-ტერესოა, რას უნდა გულისხმობდეს გერმანელი სწავლული დაუდ ხა-ნის მოქმედებაში?

დაუდ ხანის ყაზვინში დაბარების საბაბი, როგორც ამას გადმოგ-ვცემს მისი თანამედროვე სპარსელი ისტორიკოსი ისქანდერ მუნში „აბასის ქვეყნის დამამშვენებელი ისტორიის გაგრძელებაში“ (19, 58-59) უნდა ყოფილიყო დაუდ ხანის მიერ თეიმურაზ მეფესთან ერთად განჯა ყარა-ბაღის დარბევა, რაშიც გვემოწმება ფარსადან გორგიჯანიძე (11, 238) და კარმელიტების ქრონიკა (56, 312).

სხვა წყაროებშიც არის მითითება დაუდ-ხანისა და შაჰ სეფის ურთიერთ ცუდი განწყობილების შესახებ. ისქანდერ მუნშის ცნობით, დაუდ ხანსა და შაჰ სეფის შორის ურთიერთობა აღრე გაუფუჭებულა, როდესაც იგი შაჰს მეჯლისიდან გაუგდია (19, 55); (258, 426), ივ-ჯავახიშვილი ამ ფაქტს 1630 წლით ათარიღებს (189, 360).

სომეხი ისტორიკოსის ზაქარია კანაკერცის ცნობით, ჯერ კიდევ მარტყოფის ბრძოლიდან დაუღ-ხანი დაკავშირებული ყოფილა ანტიირანულ ჯგუფთან (42, 67).

1632 წელს განჯა-ყარაბაღის დარბევა და ყაჯართა მეთაურების ამოხოცვა გახდა საბაბი უნდლიანთ ფეოდალური საგვარეულოს ამოწყვეტისა — დაუღ ხანის ძმისა და მისი ოჯახის ტრაგიკული დასასრულისა.

დაუღ ხანის გაქცევის შემდეგ შაჰს, ა. ოლეარიუსის გადმოცემით, თავისთან იმამყული ხანი დაუბარებია „მან თავისთან, ყაზვინში გამოიძახა გაქცეული დაუღ ხანის ძმა იმამყული ხანი, შირაზის ხანი. მან (იმამ-ყული ხანმა — ბ.ჯ.) მიუხედავად იმისა, რომ წინასწარვე იცოდა, რომ ყაზვინში გამოცხადებისთანავე თავს დაკარგავდა, მაინც წავიდა. ამბობდა არასოდეს დაიჯერებს, რომ მას იმ ერთგული სამსახურისათვის, რომელიც გაუწია სახელმწიფოს ეკუთვნოდა ასეთი ჯილდო, მაგრამ თუკი ეს ასეა, მას სურს სულაც არ ჰქონდეს თავი, ვიდრე დაკარგოს ხელმწიფის კეთილგანწყობა და არ იყოს მისი მორჩილი. გამოცხადდა რა თავის შვილებთან ერთად შაჰის კარზე იგი მოკლულ იქნა შაჰის მიერ, მხოლოდ და მხოლოდ დაუღხანის დიდი დანაშაულის გამო; ტირანი სტოვებდა ცოცხლად ბავშვებს, მაგრამ როდესაც იმამყული ხანის 18 წლის, უფროსი ვაჟი კეთილი ადამიანების რჩევით დაემხო შაჰის ფეხებთან საამბორებლად ერთმა მამულარამ მოახსენა შაჰს, რომ ყმაწვილი (იმამყული ხანის უფროსი ვაჟი — ბ.ჯ.) იყო არა იმამყული ხანის ვაჟი, არამედ შაჰ აბასის შვილი, რადგან შაჰ აბასმა იმამყული ხანს ცოლად მისცა ერთ-ერთი ქალი თავისი პარამხანიდან, რომელიც იმ დროს ფეხმძიმედ იყო ამ ბიჭზე. მოისმინა, რა შაჰმა ნათქვამი, მაშინვე ბრძანა, გაეყვანათ უბედური ჭაბუკი მის თოთხმეტ ძმასთან ერთად მამის გვამთან მოედანზე და დაახოცინა ყველანი. მეთექვსმეტე ძმა (იმამყული ხანს 16 ვაჟი ჰყავდა), რომელიც შირაზში დარჩა, დედასთან ერთად გაიქცა არაბეთში. დედამისი იყო ერთ-ერთი მდიდარი კაცის ასული ჰებიშიდან, სამი დღის სავალზე ბესრედან, ანუ ბასლარიდან, სადაც მდიდრად ცხოვრობს“ (81, 660).

იმამყული ხანის ოჯახის ამოწყვეტა სხვადასხვანაირად არის აღწერილი სპარსულ და ევროპულ წყაროებში. ჟ. ტავერნიერს აღწერით, ყოზვინში ჯერ იმამყული ხანის სამ ვაჟს მოაჭრეს თავი, ჩადეს ოქროს ჭურჭელში და მამას მიართვეს. იმამყული ხანს არაფერი უთქვამს გარდა იმისა, რაც საერთოდ მიღებულია ირანში: „აღსრულდეს



დაუდ ხან უნდილაძე –
ღონ კრისტოფორო დე კასტელის აღბოძიდან

ნება შაჰისა“, შემდეგ თვით იმამყული ხანსაც მოკვეთეს თავი და შაჰმა იგი სხვა თავებთან ერთად თავის დედას გაუგზავნა კარემში. იმამყული ხანს დიდი ოჯახი ჰქონდა, ჰყავდა 52 შვილი, როცა შაჰმა მოაკვლევინა მისი სამი ვაჟი და თვით იმამყული ხანი, ბრძანება გასცა დანარჩენი შვილების დახოცვის შესახებ, რაც მართლაც აღუსრულებიათ (91, 233).

კარმელიტების ქრონიკაში კი ეს ფაქტი შემდეგნაირადაა აღწერილი: „დაიბარა რა ყაზვინში შაჰმა იმამყული ხანი თავისი ვაჟებით, გარკვეულ დროს მათ კარგად ართობდა, თავად კი ცხოვრობდა პერცოგის (იმამყული ხანის – ბ.ჯ.) უმცროსს ვაჟთან, რომელიც იზრდებოდა მისსავე სასახლეში. შემდეგ შაჰმა ბრძანა მოკვეთათ თავები პერცოგისა და მისი ორი ვაჟისათვის და მოეტანათ მისთვის. მეფემ ჰკითხა ახალგაზრდა ჭაბუკს (იმამყული ხანის უმცროს ვაჟს – ბ.ჯ.): სცნობს თუ არა ამ თავებს?... მან (მთვრალმა) უპასუხა: არა; შაჰმა ურჩია უფრო ყურადღებით დაჰკვირვებოდა, შემდეგ შაჰმა მოითხოვა

ღვინით საესე თასი, გადაასხა ღვინო მოკვეთილ თავებს და თქვა: ისინი სვამდნენ ღვინოს, სანამ ცოცხლები იყვნენ“ (56, 312).

სხაგვარად აკვიწრენ ამ ამბებს იტალიური რელაციები. მაგრამ ყველა ეს წყარო, დასავლური თუ აღმოსავლური, იმამყული ხანს უღანაშაულოდ მიიჩნევენ და თითქმის ყველა ამის მიზეზად ასახელებენ დაუდ ხანს. ქართული და აღმოსავლური წყაროებიდან ნათელია, თუ რა უნდა ყოფილიყო თვით დაუდ ხანის ყაზვინში დაბარების მიზეზი, მაგრამ ბევრი საკითხი მაინც საღაოა.

წყაროები მტკიცე საფუძველს იძლევიან იმ მოსაზრებისათვის, რომ უნდილაძეების ოჯახის „მიწასთან გასწორების“ მთავარი მიზეზი უნდა ყოფილიყო შაჰის შიში ამ განდიდებული საგვარეულოს მიმართ. შაჰს აშინებდა უნდილაძეების დიდი გავლენა და პოპულარობა ირანში, როგორც დონ პიეტრო ავიტაბალე აღნიშნავს: „სპარსეთის მეფეს დაუდის მოკვლა განუზრახავს, ამით უნდოდა შირაზის ხანის, იმამყული ხანის, დაუდ ხანის ძმის განდიდებისათვის ბოლო მოეღო, რადგან მისი წარმატებისა ძლიერ ეშინოდა. ეს ორი ძმა თავიანთი მშვენიერი ყოფაქცევით მთელი სპარსეთის სიყვარულის საგნად იყვნენ გამხდარნი“ (5, 43) ცოტა ქვევით, 1633 წლის 1 ოქტომბრით დათარიღებული რელაციასში წერს: „როცა ეს შირაზის ხანი შაჰთან ერთად დაჭვებდა ქალაქში, შაჰმა შეაძინა, რომ უფრო მეტი პატივისცემა და სიყვარული გამოიჩინა ხალხმა აღნიშნული ხანის მიმართ, ვიდრე მისი პიროვნებისადმი. ამის გამო, შაჰი მიუბრუნდა მას და უთხრა: ვინ არის აქ ხელმწიფე, შენ თუ მე, შენ რომ ასე გადიდებენ ჩემი თანდასწრებითო? ამაზე იმამყული ხანმა უპასუხა: მეუფევე, თუ ხალხი მე რაიმე პატივსა მცემს, ამას აკეთებს თქვენი უდიდებულესობის პატივისცემით“ (5, 47).

წყაროებიდან ჩანს, რომ იმამყული ხანი მეტისმეტად ყოფილა განდიდებული. ტ. პერბერტი მას ასე ახასიათებს: „ეს კაცი წარმოშობით ქართველია სჯულით მაჰმადიანი და ერთი იმ ტეტრაქთაგანი, რომელნიც აბასის ზედამხედველობით მართავენ იმპერიას, მისი ტერიტორიების სივრცე ყოველი მიმართულებით 400 მილამდე აღწევს და ეს უფლებას აძლევს მას, ატაროს წოდებები: შირაზის არქიდუკა, სულთანი ლარისა და იარუნისა, მბრძანებელი ორმუზისა, მაჰრანისა, ქირმანისა, ხუზისტანისა, სისტანისა და ფარსისტანისა, სპარსეთის ყურესა და მის ირგვლივ მდებარე კუნძულების მეფე, უდიდესი ბეგლარბეგი, მბრძანებელი 12 სულთანისა, 50000 მხედრის სარდალი, შაჰ

აბასის მონა, მაჰმადიანთა მფარველი და სიამის ვარდი“ (74, 74). ის-
ქანდერ მუნშის თქმით იმამყული ხანის სამფლობელო გადაჭიმული
იყო „ისპაჰანიდან ომანის სანაპირომდე ერთი თვის სავალზე და იქ
ხალხი ფუფუნებაში, სიმდიდრესა და ბედნიერებაში ცხოვრობდა“ (19,
63-64). კარმელიტების ქრონიკაში მოცემული ცნობით: „იგი მხოლოდ
იცავს „საფაშოს“, ისე კი „წარმატებული მეფეა“ (56, 312).

იმამყული ხანისა და მისი ძმის დაუდ ხანის დიდ გავლენაზე
ირანში და მათ საქველმოქმედო საქმეებზე მოგვითხრობენ XVII საუ-
კუნის სხვა ევროპელი ავტორები (ჰაინრიხ ფონ პოსერი (72, 1-4),
პიეტრო დელა ვალე (64, 172-175), კრისტოფორო დე კასტელი (21,
30), არჩანჯელო ლამბერტი (1, ფონდი 74), ჯუსტო პრატო (1, ფონ-
დი 74), დონ სილვა დე ფიგუეროა (67, 89), ჟან ტავერნიე (29,
230-235), ენგელბერტ კემპფერი (76, 117), იოან კუნაესი (75, 87),
ჟან ტევენო (93, 85), ოლფერტ დაპერი (62, 192), ბარტოლომეო
ფერო (66, 187-190) და სხვანი).

სომეხი ქრონისტის, ზაქარ კანაკერცის გადმოცემით — შაჰ სეფი
როდესაც იგი ებრძოდა განდიდებულ პირებს ასრულებდა მისი პაპის
შაჰ აბას I ანდერძს, „ერთხელ ჭადრების ხეივანში სეირნობისას, —
მოგვითხრობს ზაქარია კანაკერცი, — სეფი ხანს, ბაღდადის ხანს, შაჰ-
მა საუბარში უთხრა: „ნამეტნავად დიდი და მსხვილი გახდა ეს ხეები,
საჭიროა მათი მოჭრა და ახლის დარგვა, რომ კარგად გაიზარდოს“.
სეფი ხანი მიხვდა ამ სიტყვების აზრს, რომ მას (შაჰს — ბ.ჯ.) სურს
შეასრულოს შაჰ აბასის დანაბარები და უთხრა: „დიახ, ხელმწიფეო,
შენ სწორედ თქვი, გააკეთე ისე, როგორც თქვი, დაეცა მუხლებზე კი-
სერი წინ გაუშვირა და უთხრა: „მე შენი მსახური ვარ, პირველად მე
წამაცალე თავი“, შაჰმა უთხრა: „არა, შენ არა ხარ ის ხე, რომელიც
უნდა მოიჭრას“ (42, 67) — როგორც თ. ნატროშვილი (ფსევდონიმი
დ. ხაზარაძე) წერს: „ამაღლებულ ხეებად შაჰ-სეფის, უპირველეს ყოვ-
ლისა უნდილაძეები მოეჩვენებოდა“.*

საინტერესოა დონ პიეტრო ავიტაბილეს ცნობა იმის შესახებ,
რომ ხანის დაღუპვის მიზეზი, გარდა ზემოთქმულისა, ყოფილა ისიც,
რომ „იმამყული ხანს თავის სამფლობელოში ჰყავდა სერალიდან წა-
მოყვანილი შაჰ აბასის შვილი, რომელიც მას შეეძინა ერთ-ერთი ცო-
ლისაგან“ (5, 43).

* ხაზარაძე დ., „შირაზის ხანის ქებას“, „დროშა“, 1971, №12, გვ. 20.

ღონ პიეტრო ავიტაბილეს ამ ცნობას ავსებენ სხვა იტალიელი ავტორები — არქანჯელო ლამბერტი, ბარტოლომეო ფერო და სპარსელი ისტორიკოსი ისქანდერ მუნში, რომელიც ამბობს, რომ დაუდ ხანმა მოტყუებითა და ცბიერებით გზას ააცდინა თეიმურაზი და შთააგონა მას, რომ შაჰი მის მიმართ გულწრფელი არ იყო და თანაც აცნობა, თითქოს ფარსში, მის ძმასთან — იმამყული ხანთან შაჰის უკანონო შვილი ცხოვრობდა, რომელიც იმამყული ხანის შვილად ითვლება და რომელსაც სულ მალე მისი ძმა გაამეფებს“ (19, 59).*

დასახელებული წყაროების ცნობით, შაჰს არაფერი სცოდნია დაუდ ხანის აჯანყებამდე იმის შესახებ, რომ „იმამყული ხანს სახლში ჰყავდა შაჰ აბასის ძე“. ეს ასეც უნდა იყოს, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში, არა გვგონია შაჰს, რომელიც 1629 წელს გახდა ტახტის მპყრობელი, აქამდე შეეწყნარებინა ეს ამბავი. ამაზე ისქანდერ მუნში წერს, რომ შაჰს დაუდ ხანისა და თეიმურაზის აჯანყების შემდეგ ზელში ჩავარდნია „ის წერილები, რომლებიც უმეცარმა თეიმურაზმა და წყეულმა დაუდმა ჩუხურსაადის, შირვანის, ახალციხის და იმ საზღვრის ამირებს მისწერეს, გამომჟღავნდა (წერილებში ეწერა): ჩვენი ასეთი საქციელი ამ საგვარეულოს ერთგულებისა და მეფის ძის, რომელიც ფარსში იმყოფება, ბედნიერების საქმეების მოწესრიგებას ემსახურება და მალე მისი ძლიერების დროშა აღიმართება ჩვენი, იმამყული-ხანის და ფარსის მეომართა მცდელობით, როდესაც ამ საშინელმა წერილებმა მისი უაგუსტოსოების სმენამდე მიღწიეს და იმამყული ხანის მიხვედრილობის სხივმა ეს აზრი გააშუქა, მის უდიდებულესობას და იმამყული ხანს ერთმანეთზე ცუდი აზრი შეექმნათ. ქვეყნის დამამშვენებლის გონება ამ ამბოხების, იმამყული ხანისა და მისი ვაჟების თავიდან მოსაშორებლად ამოქმედდა, რომელთაგან ერთი ზემოთხსენებული მითქმა-მოთქმით უფლისწულად იყო ცნობილი“ (19, 59).

როგორც თ. ნატროშვილი წერს: „სიმაართლეს შეიცავდა თუ არა ეს მითქმა-მოთქმა, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა (როგორც ცნობილია, ანალოგიური სიტუაციები მრავლად ყოფილა აღმოსავლეთსა და დასავლეთის ქვეყნებში და მუდამ იწვევდა შფოთსა და არეულობას)“ (152, 168).

* ეს ცნობები იმამყული ხანის ვაჟის შესახებ საინტერესოა იმით, რომ ქართულ წყაროებში ამის შესახებ არ არის ცნობები.

არსებობს სხვადასხვა მოსაზრება იმის შესახებ, თუ რა უნდა ყოფილიყო უნდილაძეების საგვარეულოს განადგურების მიზეზი. ამ მხრივ მეტად საინტერესოა ზ. ავალიშვილის, ვ. გაბაშვილის, თ. ნატროშვილის და გ. ჟორდანიას შრომები. ვ. გაბაშვილი, თ. ნატროშვილი და გ. ჟორდანია იმამყული ხანს მიიჩნევენ ანტიირანული აჯანყების მონაწილედ, რომელიც მიმდინარეობდა დაუდ-ხანისა და თეიმურაზ მეფის მეთაურობით.

ჩვენი აზრით, იმამყული ხანი არ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული თეიმურაზ მეფისა და დაუდ ხანის აჯანყებასთან. პირიქით. დაუდ ხანის ეს აჯანყება გახადეს საბაბად შაჰ სეფიმ და მისმა მრჩევლებმა მისი თავიდან მოსაშორებლად.*

საესებით ვეთანხმებით ვ. გაბაშვილს, როდესაც წერს, რომ „მხოლოდ იმდროინდელი ირანის შინაგანი და საგარეო პოლიტიკური ვითარების ყოველმხრივი გათვალისწინება-შესწავლა მოგვცემს შესაძლებლობას, დავადგინოთ უნდილაძეთ ფეოდალური სახლის დამხობა-განადგურების ნამდვილი მიზეზები“ (112, 81).

ინგლისელი დიპლომატი და ისტორიკოსი ჯ. მალკოლმი შაჰ-სეფის ახასიათებს როგორც სისხლიან მმართველს. „მან დახოცა ყველა უფლისწული სამეფო საგვარეულოდან და თითქმის ყველა მინისტრი ანუ მხედართმთავარი მისი ბრძანებით მოკლულ იქნა... რომელთა შორის, – წერს იგი, – იყო იმამყული ხანი“ (287, 60).

შაჰ-სეფიმ თავის მმართველობის დროს, როგორც ისქანდერ მუნში მოგვითხრობს, სიკვდილით დასაჯა თავისი პაპის მმართველობის პერიოდში განდიდებული პირები. საინტერესოა თუ როგორ აღწერს იგი დაუდ ხანის შაჰთან დაბარებას“ – აი, ამ წელს, როდესაც ჰაიდარ სულთან ყავილუ ჰესარლე, ჩარად-ხანისა და იუსუფ-აღას მოკვლის ამბავმა** დაუდ ხანის ყურამდე მიაღწია, იგი შიშმა და ძლელ-

* დაუდ ხანის აჯანყება არის დასახელებული იმამყული ხანის დაღუპვის მიზეზად ქართულ, სპარსულ და ზოგიერთ ევროპულ წყაროებში: ა. ოლეარუსი, ჯუსტო პრატო და ი. კუნაესი და სპეელმანი (81, 660), (1, ფონდი 74), (75, 53).

** ჰაიდარ სულთან ყავილუე, ჩარად-ხანი და იუსუფ აღა, ეს დიდებულები შაჰაბას I-ის კარზე დაწინაურებულნი და აღზევებულნი იყვნენ. მაგრამ შაჰ-სეფიმ, როგორც ცნობილია, გამეფებისთანავე რეპრესიებს მიჰყო ხელი და საშინელი წამებით ზოცავდა შაჰ აბასის დროს დაწინაურებულ დიდებულებსა და კარის მოხელეებს. ასეთივე ბედი ეწია ამ სამ სარდალს (19, 74).

ვარებამ მოიცვა, ახალგაზრდული სიამაყისა და უმეცრობის გამო, რომელსაც უგონო და უაზრო სიმთერალისაგან ღამის ღვინო ღღისით უფრო მოეკიდა, მან აჯანყება გადაწყვიტა. იგი დაფიქრდა და მიხვდა, რომ მისი უდიდებულესობის მხრიდან დასჯა და რისხვა მოელოდა. იმ დიდი მეგობრობისა და ნლობის საფუძველზე, რომელიც თეიმურაზის მიმართ ჰქონდა, მან შეელის თასმებს მოჰკიდა ხელი, რადგან უბედურების შემთხვევაში მისგან მიელო დახმარება“ (19, 55).

ა. ოლეარიუსი ჩამოთვლის შაჰ-სეფის მიერ 1632 წელს სიკვდილით დასჯილი წარჩინებულების სახელებს: თუშმაღბაშ ზეინალიხანს, ეთემატ-დოვლეს-ტალებ ხანს, ულურლუ ხანს და ჰასან ბეგს. ალბათ, ამიტომაც შეუთვლია დაუდ ხანს შაჰ-სეფისათვის – კვალნი მამინებენ, შენთან მოსულნი ბევრი მინახავს, მაგრამ უკან მობრუნებული არაო.

ყოველივე ამას თუ დაეუმატებთ დონ პიეტრო ავიტაბილეს სიტყვებს – „უტყუარი ცნობებიდან გავიგე, რომ სპარსეთის მეფეს დაუდის მოკვლა განუზრახავს, ამით უნდოდა შირაზის ხანის, იმამყული ხანის, დაუდის ძმის განდიდებისათვის ბოლო მოელო... განჯის ხანმა, დაუდმა, საიდუმლო წყარობიდან იცოდა, რომ მის მოსაკლავად ბრძანება იყო გაცემული იმ დროს, როცა მე განჯაში ვიმყოფებოდი. დაუდ ხანი ზოგიერთი მისი მომხრეთი და მთელი თავისი ქონებით რისი წაღებაც კი შეეძლო, გადავიდა საქართველოში და შეუერთდა თეიმურაზს, რომელთანაც სამეგობრო ხელშეკრულება ჰქონდა დადებული“ (5, 43), სურათი ნათელია. იმამყული ხანის სიკვდილით დასჯა ირანის შაჰის იმ სისხლიანი პოლიტიკის ერთ-ერთი გამოვლინებაა, მიმართული ყველა განდიდებულის, რომლებიც მისი პაპის დროს დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ და გარკვეული გავლენა ჰქონდათ ხალხში; თანაც როგორც უკვე აღვნიშნეთ, მას არც ისეთი კეთილი განწყობილება ჰქონია შაჰთან. ბ. ფეროც მიუთითებს, რომ შაჰი ეძებდა საბაბს დაუდ ხანის თავიდან მოსაშორებლადო (66, 176-178).*

როგორც ამ პერიოდის წყაროები მიგვანიშნებენ, უნდოდაცების წინააღმდეგ შაჰის თანამგრძობი, გამაჰმადიანებული ქართველი ზოსრო მირზა (იგივე როსტომ ხანი, შემდგომში როსტომ მეფე) ყოფილა, ასე

* მსგავსი ცნობა, იმის შესახებ, რომ შაჰს სურდა თავიდან მოეშორებინა დაუდთან და მოწმებულია ჯუსტო პრატოს 1633 წლის 16 სექტემბრის რელაციაში – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის სახელმწიფო ხელნაწერთა ინსტიტუტის მიქელ თამარაშვილის ფონდი №74.

გაღმოგვეცემს ფარსადან გორგიჯანიძე. როსტომ ხანსა და დაუდ ხანს უნდილაძეს შორის კონფლიქტს: „იმამყული ხანის ძმა დაუდ ყარაბაღის ბეგლარბეგი უჭკო და ამაყი კაცი იყო და ყაენსაც როსტომ მეფის გულისათვის მეჯღიმიდამ გაეგდებინა და ჯავრი დაუდ ხანს ვერ მოეთმინა“ (11, 238).

როგორც ჩანს ზოსრო მირზას დიდად აწუხებდა სპარსეთის გაელენიანი პირების კავშირი თეიმურაზ მეფესთან, რომელიც ამ პერიოდში ქართლის ტახტსაც ფლობდა. ზოსრო მირზა კი ქართლის ტახტის ერთადერთი პირდაპირი მემკვიდრე იყო სიმონ ხანის შემდეგ მამრობითი მხრიდან და ხელსაყრელ პირობებს ეძებდა გამოეთხოვა ქართლის მმართველობა ირანის შაჰისათვის, რომელზეც, გარკვეული მიზეზების გამო, დიდი გავლენით სარგებლობდა.

თეიმურაზი და დაუდ ხანი მოყვრები ყოფილან, როგორც ა. ოლეარიუსიც მიუთითებს, თეიმურაზის და ცოლად ჰყოლია დაუდ ხანს.* სპარსელი ისტორიკოსების ისქანდერ მუნშის და ჰაჯი მეჰდი ყული ყაჯარის მიხედვით, დაუდ ხანს შეურიგებია თეიმურაზ მეფე ირანის შაჰთან. ეს მოხდა ბაზალეთის ტრაგედიის შემდეგ. როდესაც თეიმურაზმა ისევ სპარსული ორიენტაცია აირჩია, ზოლო დიდმა მოურავმა ოსმალეთს შეაფარა თავი. „თეიმურაზმა თავისთვის უმჯობესად სცნო, რომ შეხვეწნოდა შაჰის კარს, ალავერდი ხანის შვილს, რომელიც ყორჩიბაშის განკარგულების თანახმად, თავის ხალხის ერთი რაზმითურთ თბილისში იდგა, გაეცნო და დაუმეგობრდა, მათ შორის მიწერ-მოწერა და მისელა-მოსელა გაიმართა“ (19, 139-140).

დაუდ-ხანის მიმართ ზოსრო-მირზას მტრობას ემატებოდა ისიც, რომ შაჰ-სეფის – ბ. ფეროს ცნობით, – დაუდ ხანისათვის მისი მმართველობის დასაწყისში თბილისის ციხე მიუცია (66, 177), ზოლო იმისათვის, რომ დაუდ ხანის ძლიერებისათვის ბოლო მოეღოთ, ამისთვის საჭირო იყო მისი ძმის ირანის „ვიცე-მეფედ“ წოდებული იმამყული ხანის თავიდან მოშორება.

როგორც კარმელიტების ქრონიკა იუწყება, შაჰ-სეფიმ თავიდან კარგ ურთიერთობაში ყოფილა იმამყული ხანთან. შაჰი მას როგორც

* ცნობილია, რომ თეიმურაზის და ელენე ჰყავდა ცოლად დაუდ ხანს, იგი ქართული და რუსული წყაროების ცნობით თავიდან შაჰ აბასის კარზე ყოფილა გაგზავნილი (51, 279). ირანელი ისტორიკოსი ნ. ფალსაფი წერს, რომ იგი იყო შაჰ აბას I-ის ცოლი და 1625 წელს თეიმურაზის განდგომის შემდეგ შაჰმა იგი ცოლად მისცა დაუდ ხან განჯელს უნდილაძეს (171, 42).

მამას, ისე ეპყრობოდა. ხოლო შემდეგში ურთიერთდამოკიდებულება გაფუჭებულა. შაჰ-სეფის კარზე ძალიან დიდი გავლენით სარგებლობდა ხოსრო მირზა. იგი ხშირად თვითონვე ცუდად განაწყობდა შაჰს მძლავრი ხანისა და მისი ძმის წინააღმდეგ. კარმელიტების ქრონიკაში აღწერილი ერთი ადგილი ადასტურებს ამ ფაქტს: „გამოჩენილი პირები მიემართებიდნენ, რომ ფეხზე მთხვეოდნენ მას (შაჰ სეფის — ბ.ჯ.), როდესაც ერთ-ერთი მათგანი დაიხარა, ხოსრო მირზამ (Chusru Mirza) და ბეგმა მას მკლავში ჩააგულეს ხელი და შეაჩერეს, სანამ ცოტა უკან არ დაიხია“ (56, 307).

დაუდ ხანისა და მისი ძმის წინააღმდეგ შაჰის ერთ-ერთი თანამზრახველი როგორც უკვე აღვნიშნეთ უნდა ყოფილიყო ხოსრო მირზა, რომელიც შაჰის პირადი მრჩეველი იყო, მისი რჩევით შაჰმა, როგორც ა. ოლქარიუსი გადმოგვცემს მრავალი სისხლიანი საქმე ჩაიდინა და მოჰკლა მრავალი სისხლით ნათესავი და ქვეყნის წარჩინებული პირნი (81, 654).

ჟ. ტავერნიესთან მითითებულია დაჯგუფება შაჰ-სეფის დედის და ეთემად აღ-დოვლესი, რომელთაც „დიდი სიძულვილი ჰქონდათ იმამყული ხანისა და ებებდნენ საბაბს მისი თავიდან მოსაშორებლად“. აქ დასახელებული ეთემად აღდოვლეს შესახებ გ. ჟორდანიას მოსაზრება საესებით დასაშვებად მიგვაჩნია: „საფიქრებელია, იგი იქნებოდა იგივე ხალიფე სულთანი, რომელმაც ისქანდერი მუნშის თანახმად, შაჰ-აბასის გარდაცვალების შემდეგ დიდად შეუწყო ხელი ახალგაზრდა სეფის გამეფებას. მაგრამ აქ ისიცაა გასარკვევი, ხომ არ ვიგულისხმობთ აქ ეთემად აღ-დოვლეს ნაცვლად ისპაანის მაშინდელი ტარულა ხოსროვ-მირზა ანუ როსტომ ხანი?“ (156, 159).

ა. ოლქარიუსი ასე ამთავრებს თხრობას ალავერდი ხანის მემკვიდრის — იმამყული ხანის ოჯახის ამოწყვეტის შესახებ: „მოკლულთა გვაძები სამი დღე და ღამე ეყარა მოედანზე. საშინელი სანახაუი იყო მათზე დამხობილი იმამყული ხანის მოხუცი დედა, რომელიც მწარედ მოსთქვამდა; გაიგო რა ამის შესახებ შაჰმა, ბრძანა — დაეფლოთ გვაძები.

ამ იმამ-ყული ხანზე სპარსელები დღესაც სწუხან. ის იყო მეტად ტანადი და ბრვე ვაჟკაცი, დიდი სიმდიდრის მფლობელი და, ამასთან ერთად, ქველმოქმედი, როგორც მამამისი ალავერდი-ხანი, რომელმაც ააშენა ხიდი ისპაჰანში, და იყო გონიერი და მამაცი მებრძო-

ლი. ყოველ ლაშქრობაში თავს ისახელებდა ხოლმე გოლიათური ხერხებით“ (81, 660).

ისტორიკოსები, რომლებსაც მიაჩნიათ იმამყული ხანი უნდოდა ამის ძმის დაუღ-ხანისა და თეიმურაზის შეთქმულების თანამონაწილედ, საფუძვლად იმონებენ პიტრო ავიტაბილეს და არქანჯელო ლამბერტის ცნობას, და თანაც თეიმურაზ მეფის მიერ იმამყული ხანის შემდეგ დახასიათებას:

„შირაზის ხანის ქებასა ვერ იტყვის ბრძენთა ენანი,
მდაბალი, ტყბილი, მოწყალე, აქებენ სრულად ქვენანი,
ღირსეულია ღვთისაგან მითა სცავს ძალთა ზენანი“
(16, 130).

თეიმურაზ I მიერ იმამ-ყული ხანისადმი ასეთი სიმპათიები გამოწვეული უნდა იყოს იმით, რომ მისთვის ცნობილი იქებოდა იმამყული ხანის კეთილგანწყობილება ქეთევან დედოფლის მიმართ შირაზის ტყვეობის დროს. იმამყული-ხანი, ხომ ყოველ ღონეს ხმარობდა აეცილებინა ქართლის დედოფლისათვის ტანჯვა-წამება.

იმამყული ხანს რა ესმა საქმენი საზარონია,
მეტად გაკვირდა, ესე თქვა: „მისი რა საკადრონია?
ვიცი რომ არ გაათარღების, თუცა არა გვაქვს დრონია,
თეიმურაზის დედასა ვით ვკადრო უკადრონია?“ (16, 130).

ქეთევან დედოფლის მიმართ იმამყული-ხანის კეთილგანწყობილების შესახებ მოგვითხრობს პიეტრო დელა ვალეც. როგორც თვითონ თეიმურაზ მეფე და ეს იტალიელი ავტორი გადმოგვცემენ, იმამყული-ხანი ყოველმხრივ ცდილობდა შეემსუბუქებინა მდგომარეობა თეიმურაზის დედისათვის, ქეთევან დედოფლისათვის, მაგრამ ამოდ: მარტო მისი მცდელობა შაჰის გადაწყვეტილების წინააღმდეგ არაფერს ნიშნავდა.*

* ჩვენ გვაქვს კიდევ ერთი საინტერესო ცნობა თეიმურაზის იმამყული ხანთან დაკავშირების მცდელობისა. თეიმურაზის ვაჟს დათუნას ცოლად უნდა შეერთო იმამყული ხანის ქალიშვილი (ავიტაბილეს 1632 წლის წერილი — საქართველოს კორნელი კეკელიძის სახელობის სახელმწიფო ხელნაწერთა ინსტიტუტის მ. თამარაშვილის ფონდი №68. მაგრამ 1635 წელს რუსეთის მეფესთან მიწერილ წერილში თეიმურაზი წერს, რომ მას არ სურს თავისი ვაჟი დააქორწინოს იმამყული ხანის ასულზე (44, 115); (201, XXVIII).

დონ პიეტო ავიტაბილეს, 1633 წლის 1 ოქტომბრის დათარიღებული წერილში, აღწერილი აქვს თეიმურაზ I-ისა და დაუდ ხანის მიერ განჯაყარაბაღის დარბევა. იგი აღწერს შემდგომ ამბებსაც, რომ შაჰმა მათ წინააღმდეგ საქართველოში დიდი ლაშქარი გამოაგზავნა, როსტომ ხანის მეთაურობით და ამავე დროს ყაზვინში დაიბარა იმამ-ყული ხანი, და მისი შვილების სიკვდილით დასჯა ბრძანა. აქვე, შემდეგ პეტრო ავიტაბილე მიუთითებს „კვლავ ხმა ღადის იმამ-ყული ხანიც აჯანყდაო“ (5, 47). აქ ვფიქრობთ ავტორი არასწორად უნდა იყოს ინფორმირებული, ვინაიდან ყველა წყარო ერთნაირად აღნიშნავს, რომ იმამ-ყული ხანი და მისი შვილები ერთდროულად დახოცეს. ეს „ხმა“ „იმამყული ხანიც აჯანყდაო“ თვითონ თეიმურაზ მეფისა და დაუდ ხანის მიერ უნდა იყოს საქართველოში გავრცელებული, ვინაიდან ამით მათ სურდათ უფრო საიმედოდ გამოეჩინათ თავიანთი აჯანყება და შეეძინათ მოკავშირეები, იმამყული ხანის მსგავსი აჯანყება არცერთ წყაროში არ არის დადასტურებული. პირიქით, არის ცნობები, რომ ამ სიტუაციაშიც იმამყული ხანი შაჰის მხარეზე მოქმედებდა და ბევრი ეცადა თავის ძმას ხელი აეღო შაჰის წინააღმდეგ მიმართულ აჯანყებაზე. ინგლისურ წყაროებში მოიპოვება ცნობა, რომ „შაჰის პირადი ბრძანებით, შირაზის ჰერცოგის ძალები ქართველთა წინააღმდეგ გაიგზავნაო“ (98, 106).

იმამყული ხანის ირანის შაჰის წინაშე ერთგულების დამადასტურებელი ცნობები მოჰყავთ ევროპელ ავტორებს. ფრანგი მოგზაური ჟან ტავერნიე წერს, რომ ერთხელ ნადირობისას იმამყული ხანთან მივიდა მისი უფროსი ვაჟი და უთხრა „დადგა დრო, ერთ-ერთი ჩვენთაგანი მეფე გახდეს, როგორც შენ გსურს, მეც მინდა მოგიტანო შაჰ სეფის თავი“, მაგრამ იმამყული ხანმა უპასუხა: „ათასჯერ მირჩევნია, თვითონ მოვკვდე, ვიდრე მეფის მოკვლაზე დავთანხმდე, მით უფრო, რომ ტახტზე ზის შაჰ აბასის სურვილით არჩეული საყვარელი შვილიშვილი“ (91, 252). მსგავს აღწერილობას ვხვდებით სხვა ევროპულ წყაროებშიც: რომ იმამყული ხანს აფრთხილებდნენ, თუ მივიდოდა ყაზვინში – თავს დაკარგავდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, იმამყული ხანი ცხადდება შაჰის წინაშე და ამბობს, რომ მას ურჩევნია მოკვდეს, ვიდრე ჰქონდეს შაჰთან არაკეთილგანწყობილება.

კარმელიტების ქრონიკაში მითითებულია, რომ შაჰი თავდაპირველად კეთილგანწყობილი ყოფილა იმამყული ხანთან, შემდეგ კი გაუა-

რეგებულა მათ შორის ურთიერთობა, სასახლის კარზე ახლად აღზე-
ვებულთა ჩარევით, თუ მისი განდიდების შიშით.

არსებობს კიდევ XVII საუკუნის ერთი წყარო, რომელიც პირ-
დაპირ მიუთითებს, რომ იმამყული ხანის დაღუპვის მიზეზი გახდა მი-
სი მეტისმეტად გაძლიერება. ინგლისელი მოგზაური ჯ. ფრაიერი გად-
მოგვცემს, რომ „სახელმოხვეჭილმა შაჰმა დაიკავა ტახტი ერთგული
იმამყული ხანის სიმამაცითა და მეთაურობით, ... ამ ძლევამოსილი
საქმებისათვის მან (იმამყული ხანმა — ბ.ჯ.) დაუმსახურებელი სასჯე-
ლი მიიღო“. შაჰს მისთვის ნადირობისას „ხაფანგი დაუგია“ და ასე
დაუპატიმრებია „როცა იმამყული ხანი დააპატიმრეს, — წერს ჯ. ფრა-
იერი, — მცველებს მისთვის გაქცევის საშუალება მიუციათ, მაგრამ მას
არ მიუღია ეს წინადადება, ვინაიდან თავი არ მიაჩნდა დამნაშავედ.
„შაჰმა ვერ ჰპოვა სიმშვიდე, სანამ თავიდან არ მოიშორა ეს ღიღებუ-
ლი ადამიანი, რომელმაც არ იცოდა სხვა სიკეთე, თუ არა ერთგული
სამსახურისა და იწვევდა თავის ბატონის შურს, რადგან იგი ძალიან
უყვარდა ხალხს. ეს ამტკიცებს შემდეგი გამოთქმის ჭეშმარიტებას:
„მეფეებს სძულთ, როცა ეშინიათ“ (Reges autem oderint dum metuant)
(68, 236).*

ვფიქრობთ, იმამყული ხანი თვითონ რომ ყოფილიყო შაჰ-სეფის
წინააღმდეგ აჯანყების მონაწილე, მას რატომ არ უნდა გამოეყენებინა
შეკმნილი ვითარება** და თავისი მდგომარეობა, მას ზომ ღიღი და
ძლიერი არმია ჰყავდა, ღიღი ავტორიტეტით სარგებლობდა და „ჰყავდა
თავისთან შაჰ აბასის ძე“?***

* კარმელიტების ქრონიკებში მოცემულ წერილებშიც არის მსგავსი მითითება
იმამყული ხანის შესახებ, რომ „თუმცა იმამყული ხანი გაფრთხილებული
იყო საშიშროების შესახებ იგი დაემორჩილა კარის სამსჯავროზე გამოცხადე-
ბას“ (56, 213).

** როგორც გ. ფორდანი ვარაუდობს, აჯანყებაში ჩართული იყო მთელი ამი-
ერკავკასიის მმართველები, ოსმალები და პორტუგალიელებიც.

*** აქვე გამოთქმულია ზრი იმის შესახებ, რომ თეიმურაზის აჯანყების თანამ-
გრძობი და მომხრე მრავალი ქართველი მაჰმადიანი მოხელე იყო. ჩვენი აზ-
რით ეს სინამდვილე არ უნდა შეეფერებოდეს. იმ პერიოდში შაჰ-სეფის კარ-
თან დაახლოებულ წარჩინებულ ქართველთაგან, რამდენადაც ეს ცნობილია
სხვადასხვა წყაროებით — ადამ სულთან ანდრონიკაშვილი, როსტომ ხან საა-
კაბე და მისი ძმები იყვნენ და ისინი მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი ზოს-
რო მირზასთან.

რაც შეეხება არქანჯელო ლამბერტის ცნობას იმის შესახებ, რომ იმამყული ხანს ელჩობა გაეგზავნა ორმუხში პორტუგალიელებთან (1, ფონდი 74) დახმარების სათხოვნელად, რაც დამოწმებული აქვს თ. ნატროშვილს (152, 168), ამ ცნობაში მხოლოდ ვარაუდია გამოთქმული. არქანჯელო ლამბერტს ავგუსტინელი ბერებისაგან შეუტყვია, რომ იმამყული ხანს ელჩი გაუგზავნია ორმუხში და იგივე ავგუსტინელ ბერებს გამოუთქვამს ეჭვი არქანჯელო ლამბერტისათვის, რომ შესაძლებელია, იმამყული ხანს სურდა დახმარება ეთხოვა პორტუგალიელებისათვის შაჰის წინააღმდეგ. ამ წყაროდან ჩანს, რომ ავგუსტინელებს ზუსტად არ სცოდნიათ ელჩის გაგზავნის მიზეზი; ისინი მხოლოდ ეჭვს გამოთქვამენ, ამ საკითხზე. ავგუსტინელების ეს ვარაუდი გამოწვეული უნდა იყოს იმით, რომ მათთვის ცნობილი იყო, თუ რა ძალისა და გავლენის მქონე იყო იმამყული ხანი და რამდენად დიდი იყო მისი პოპულარობა უბრალო ხალხში. სწორედ ამიტომ ეძებდნენ იმამყული ხანის დაღუპვის რეალურ მიზეზებს. ისე კი, იმამყული ხანის მიერ რაიმე საბრძოლო თუ სხვა რიგით საკითხებზე პორტუგალიელებთან ურთიერთობა, ვფიქრობთ გამონაკლისი შემთხვევა არ უნდა იყოს. სხვადასხვა წყაროებიდან ჩანს, რომ იგი ხშირად დამოუკიდებლად მოქმედებდა ამ რეგიონში.

დღემდე ჩვენს ხელთ არსებული წყაროები მხოლოდ ერთი დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევიან, რომ იმამყული ხანი სინამდვილეში იყო შაჰის ერთგული და მრავალჯერ ნაცადი მოხელე. ისქანდერ მუნშის ცნობით, იგი ერთხანს ქართველთა წინააღმდეგაც იბრძოდა გიორგი სააკაძის შაჰისგან განდგომის შემდეგ (19, 127). ამ აჯანყების დროს იმამყული ხანის პროირანული განწყობილებაზე ნათლად მეტყველებენ ქართული წყაროები, როდესაც მოგვითხრობენ მისი ქალიშვილის, ანდუყაფარ ამილახორის ცოლის შესახებ, რათა როგორმე გამოეყვანათ იგი უვნებელი აჯანყების ადგილიდან (13, 407); (15, 430).

თუმცა, ქართული წყაროები ეწინააღმდეგება ისქანდერ მუნშის ცნობას იმის შესახებ, რომ ეს ქალი ნამდვილად იმამყული ხანის, შირაზის ხანის ასული იყო (19, 130). ბერი ეგნატაშვილის, არჩილის, ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, ანდუყაფარ ამილახორის ცოლი არის ყაენის შვილიშვილი. არჩილის თქმით: „თვით შვილისა-შვილი, არის, ურჩევნია თავის ძებსა“ (8, 427). ხოლო ფ. გორგიჯანიძის აზრით „ანდუყაფარ ამილახორის ცოლი იყო იმამყული ხანის ასული“

(11, 235). სავსებით დასაშვებია რომ იმანეული ხანი არ იყოს იმამყული ხან უნდღილაძე და იყოს შაჰ აბასის ძე იმამყული, რომელზედაც, ტ. ჰერბერტის ცნობით, შაჰ აბასი თავის სხვა სამ ვაჟთან ისმაილთან, სეფი მირზასთან და ზოდაბენდა სულთანთან ერთად დიდ იმედებს ამყარებდა (74, 160).*

ყოველ შემთხვევაში, ანდუყაფარ ამილახორთან, თუ იგი მართლაც იმამყული ხანის სიძე იყო, ქართველ პატრიოტთა დამოკიდებულება არაფერს ამბობს იმამყული ხან უნდღილაძის ანტიირანული განწყობილების შესახებ. პირიქით, საისტორიო წყაროების მიხედვით ანდუყაფარ ამილახორი გვევლინება როგორც ირანის შაჰის ერთგული ადამიანი.

ჩვენ არასწორად მიგვაჩნია ვ. ვათეიშვილის მიერ საკითხის ისე დასმა, თითქოს თეიმურაზი იმიტომ სთხოვს ელჩის ნიკიფორე ირბახის საშუალებით, ორმუხში დახმარებას ესპანეთის მეფეს, რომ იქ სპარსელთა არმიის მთავარსარდალი იყო ქართველი იმამყული ხანი (126). საერთოდ, როდესაც XVII საუკუნეში ესპანელებისაგან ირანის შაჰის წინააღმდეგ დახმარების მიღების საკითხი ღვას, ესპანეთის მეფისაგან, რომელიც XVII საუკუნეში შეერთებული ჰქონდა პორტუგალიაც, რომლის ჯარიც ორმუხში იბრძოდა, სად უნდა მიეღო დახმარება ქართველ მეფეს, თუ არა ორმუხში?

ასევე სათუოდ მიგვაჩნია, თეიმურაზ მეფის 1628 წლის მარტის ვიზიტი შირაზის ხანის კარზე, რასაც ტ. ჰერბერტის შემდეგი ცნობის მიხედვით ამტკიცებენ მკვლევარები ზ. ავალიშვილი (96), თ. ნატროშვილი (153), გ. ჟორდანიანი (156) მ. გუგუშვილი (124). 1628 წლის 22 მარტს ინგლისელი ელჩების საპატივცემულოდ შირაზის ხანის იმამყული ხანის მიერ გამართულ ნადიმს, ტ. ჰერბერტის გადმოცემით დასწრებია: „თრების ხანი — სვედით აღსავსე, პრინცი საქართველოსი, მხნე ვაჟკაცი, ლაშქრობაში ნაცადი და მტკიცე ქრისტიანი“ (74, 78).

ზ. ავალიშვილის მტკიცებაში, რომ ზემოთ დასახელებული „თრების ხანი“ არის თეიმურაზ მეფე, პირველად ეჭვი შეიტანა რ. ბურჭულაძემ (105, 136-143). ჩვენ ვეთანხმებით ზ. ავალიშვილის მოსაზრების რ. ბურჭულაძისეულ კრიტიკას.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ის, რომ არცერთგან, არც აღმოსავლურსა და არც დასავლურ წყაროებში არ არის დამოწ-

* დ. გვრიტიშვილიც იზიარებს იმ აზრს, რომ ანდუყაფარ ამილახორი იყო შაჰ აბასის სიძე (120, 346).

მებული მსგავსი ცნობა თეიმურაზ I-ის ირანში გამგზავრების თუ ჩასვლის შესახებ. თვით თეიმურაზიც არ მიუთითებს არსად თავის შრომებში ამის შესახებ. მართლაც, ძნელია დავიჯეროთ, რომ თეიმურაზს შეეძლო ირანში ჩასულიყო ისე, რომ შაჰი არ ენახა, მით უფრო რომ, თუ თეიმურაზი შირაზში ჩავიდოდა, მას გზად ისპაჰანი უნდა გაეკლო, სადაც იყო შაჰის რეზიდენცია. სავსებით სამართლიანად მიგვაჩნია აგრეთვე რ. ბურჭულაძისეული კრიტიკა ტ. ჰერბერტის ამ ცნობის ზ. ავალიშვილისა და თ. ნატროშვილისეული თარგმანის, რომელნიც Prince of Georgia თარგმნიან, როგორც მეფე საქართველოსი „ეს მეფე საქართველოსი, წერს რ. ბურჭულაძე, — ჩვენ არასწორად მიგვაჩნია, Prince of Georgia შეიძლება ასე ითარგმნოს, მაგრამ სათანადო ადგილის კონტექსტი ასეთი გაგების შესაძლებლობას არ იძლევა. მკვლევარს მხედველობიდან აქვს გაშვებული ის ფაქტი, რომ ჰერბერტი აქვე სხვა პიროვნებებსაც ასახელებს მათი ტიტულებით: ორმუზის მეფეს (King of Ormus) და თათართა უფლისწულს (The Tartar Prince). ცნობილია, რომ ორმუზის მმართველი მართლაც ატარებდა მეფის ტიტულს (The King). ამავე დროს, არც ყირიმის და არც შუა აზიის თათრებს, რომელთა უფლისწულები (The Prince) ამ დროს ირანში იმყოფებოდნენ, მეფე არ ჰყოლიათ. სწორედ ამ ფაქტის გააზრების გამო ჰერბერტი King და Prince-ს დიფერენცირებულად ხმარობს“ (105, 145). ასე რომ, მართლაც ამ შემთხვევაში the Prince of Georgia შეიძლება არ ნიშნავდეს საქართველოს მეფეს, და იგი უნდა ითარგმნოს როგორც საქართველოს მთავარი ან უფლისწული.

ტ. ჰერბერტის მიერ შირაზის ნადიმის აღწერა გვაძლევს კიდევ ერთ საინტერესო სურათს: „სანამ დიდი დიუკი გამობრძანებას იწებებდა (იგი ჯერ კიდევ არ შემოსულიყო). სერ დოდმორ კოტონი დაჯდა მისი უმაღლესობის (ე.ი. იმამყული ხანის — ბ.ჯ.) მარცხნივ (უნდა აღინიშნოს, რომ მთელს აზიაში სწორედ რომ პირიქითაა — მარჯვენა ხელი უფრო საპატიოა, რადგან ამ ხელში უჭირავთ ხმალი), მეორე მხარეს იჯდა სათათრეთის უკმაყოფილი პრინცი (the discontented Prince of Tartary), ელჩის მარცხნივ იყო ბეგლარბეგი (დიუკის უფროსი ვაჟი) და მის გვერდით დატყვევებული მეფე ორმუზისა. სათათრეთის პრინცის შემდეგ კი თრების ხანი (Threbis Chan)“ (74, 78). ეს ფაქტი იმ მხრივ არის საინტერესო, რომ, როგორც ჩანს, თრების ხანის პირდაპირ შირაზის ხანთან იჯდა სხვა პრინცი, რაც ჩვენი აზრით საეჭვოდ ხდის თრების ხანის იგივეობას თეიმურაზ მეფესთან, ვინაი-

დან ეს ნაკლები პატივი იქნებოდა საქართველოს მეფისათვის, რომელსაც ირანის მმართველები თავის მეზობლებში ყველაზე დიდ პატივს მიაგებდნენ. მით უფრო, როგორც დასახელებული ისტორიკოსები აღნიშნავენ, იმაყული ხანი კეთილგანწყობილი უნდა ყოფილიყო თეიმურაზის მიმართ.

რ. ბურჭულაძე სამართლიანად უთითებს, როცა წერს, რომ „პიროვნების ზოგადი დახასიათება არავითარ შემთხვევაში არ გამოდგება არგუმენტად“. მართლაცდა, მსგავსად თრების ხანისა, ტ. ჰერბერტთან დახასიათებულია შაჰის კარის ცნობილი მაჰმადიანი მოხელე, ზეინალი ხანი „სინან ან ზეინალ ხანი საქართველოს პრინცი (Prince of Georgia) გაქვებული და სპარსეთში თავშეფარებული, განთქმული იყო თავისი ვაჟაკობით, დიდ სიყვარულს იჩენდა სპარსელთა მიმართ და იყო მტკიცე ქრისტიანი“ (74, 195). ევროპელი ავტორები ძალიან ხშირად მტკიცე ქრისტიანად იხსენიებენ მაჰმადიანებულ მოხელეებს და იმ პირებს, რომლებიც დახმარებას უწყევნ კათოლიკებს ან ზოგადად ევროპელებს.

ყოველივე ამას იმასაც თუ დავუმატებთ, რომ ტ. ჰერბერტი ამავე თხზულებაში თეიმურაზ მეფეს სახელს გამოთქვამს, თემერისკის (Themerisk) სახით და იმასაც, რომ მიქელ თამარაშვილის მიერ მიკვლეული მასალების მიხედვით თეიმურაზი 1627 წლის ბოლოდან 1628 წლის 1 ივნისამდე ირანში არ უნდა იმყოფებოდეს. „როდესაც შეურიგდა (თეიმურაზი — ბ.ჯ.) სპარსეთის მეფეს, სთხოვა გაეგზავნა მისთვის ქეთევან დედოფლის გვაში, რომელიც დიდი პატივით ინახებოდა ისპაჰანის ავგუსტინიანთა მონაზვნების მონასტერში. როცა იმ მონაზვნებმა შეიტყვეს ასეთი სათხოვარი, 1627 წელს მაშინვე სამნი მონაზონი წამოვიდა საქართველოს... 1628 წლის ივნისის პირველს გორში მოვიდნენ წმინდა ავგუსტინეს წესის მონაზონნი პატრი ამბროზიო და მმა პეტრე, თან მოიტანეს ქეთევან დედოფლის ნაწილი, თეიმურაზმა პატივით მიიღო“ (128, 102).*

ის ფაქტი, კი, რომ თეიმურაზ მეფის სახელის მსგავსად დამახინჯებას (თრების ხანი Threbis-cawn) ვხვდებით სხვა ევროპულ წყა-

* ცნობა დამოწმებულია ი. ტაბალუას სტატიაში „ახალი ცნობები ქეთევან დედოფლის შესახებ“, რომელიც დაწერილია რ. გულბენკიანის მიერ მოძიებული პორტუგალიური მასალების მიხედვით. (166, 112).

რობში (41, 43)*, არ უნდა იყოს დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ ტ. ჰერბერტის მიერ დასახელებული თრების ხანი არის მეფე თეიმურაზ I.

ასე რომ, ჩვენ ვერჯერობით არა გვაქვს იმის დამადასტურებელი ცნობა, რომ იმამყული-ხანი ყოფილიყო დაკავშირებული თეიმურაზ I ანტიირანულ გეგმებთან. იმამყული ხანი რომ ნამდვილად ერთგული იყო ირანის შაჰისა და მისი ხალხისა, ამის დამადასტურებელი უნდა იყოს ისიც, რომ ირანულ წყაროებსა და თანამედროვე ირანულ ისტორიოგრაფიაში იგი მხოლოდ დადებითად ხასიათდება. თანამედროვე ისტორიკოსის ა. ეყლაბის სიტყვით: შაჰ სეფიმ, „ღირსეული ამირას სიკვდილით მეტად შეირცხვინა თავი“ (172, 69), და თანაც იმამყული ხანის შესახებ მის სიცოცხლეშივე და მისი სიკვდილით დასჯის შემდეგაც შექმნილა პოემა (234, 870). ირანელი ხალხის, მისი მმართველი წრეებისა და ოფიციალური პირების აზრი უნდა იყოს ისიც, რომელიც გადმოცემულია XVII საუკუნის შუა ხანების და ბოლო პერიოდის მოგზაურთა წიგნებში, რომელნიც იმამყული ხანს ახასიათებენ, როგორც შაჰის ერთგულს და უდანაშაულოდ დასჯის პიროვნებას.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ასევე არ არის საერთო აზრი იმამყული-ხანის სიკვდილით დასჯის თარიღის შესახებ. მკვლევართა ნაწილი, საერთოდ, გვერდს უკლვის ასეთ დაზუსტებას. ვ. გაბაშვილი და თ. ნატროშვილი იმამყული-ხანის დასჯას 1633 წლით ათარიღებს (112, 222), ხოლო დ. კაციტაძე 1631 წლით (19, 159), კარმელიტების ქრონიკის** და სხვა ევროპული წყაროების მიხედვით კი უნდა ვივარაუდოთ, რომ 1633 წლისათვის უნდობაძენი საერთოდ არ უნდა ყოფილიყვნენ ცოცხალნი. გერმანელი ისტორიკოსი კლაუს მაიერ რო-

* თუმცა, აღსანიშნავია, რომ არცერთაგან თეიმურაზის სახელი არ არის იდენტიურად ტ. ჰერბერტისა (Threbis-cawn) გადმოცემული, ორივე წყაროში დასახელებულია თებრის ხანი (Thebris-cawn, Thebris chan King of Georgia).

** კარმელიტების ქრონიკაში მოცემულია 1633 წლის 14 და 15 მარტით დათარიღებული წერილები, რომლებშიც გადმოცემულია, რომ „შირაზის პერცოგი და მისი სამი ვაჟი ყიზინში სიკვდილით დაისჯნენ“. ან კიდევ „შირაზის ხანს და მისი სამი ვაჟი სპარსეთის მეფემ თავის მოკვეთით დასაჯა და მის მამულები სხვებს გადასცა. მისი ერთი ვაჟი არაბეთში გაიქცა. მისი ძმა (ვისი ამბოხებაც საქართველოში იყო ამ ტრაგედიის მიზეზი) შეიარაღებულია მის წინააღმდეგ ხალხთან ერთად... მე არ შემიძლია არ მოვიხსნო უდანაშაულო ტანჯვა შირაზის პერცოგისა და ბარბაროსული სისასტიკე მეფისა (შაჰისა – ბ.ჯ.) (56, 11).

ეპრობორნი ისქანდერ მუნშის „აბასის ქვეყნის დამამშვენებლის ისტორიის გაგრძელების“ მიხედვით — ამ ფაქტს ათარილებს 1632 წლის 25 დეკემბრით (291, 11), რაც, ჩვენი აზრით, უფრო შეეფერება წყარობის გადმოცემას, ვიდრე 1633 წელი, ასევე 1632 წელს მიიჩნევს უნდოლაძეთა სიკვდილით დასჯის თარიღად ირანელი ისტორიკოსი ნასროლა ფალსაფი (171, 45) ისქანდერ მუნშის მიხედვით, რომელსაც მითითებული აქვს 1042 წლის ჯომადიოსანი, რაც მოდის 1632 წლის დეკემბერზე (243, 52).

დიდი ადგილი უჭირავს ირანის პოლიტიკურ და სამხედრო ისტორიაში როსტომ მეფეს, რომელიც ირანში ზოსრო მირზას სახელით იყო ცნობილი. ზოსრო მირზა, სიმონ I ძმის დაუდ ხანის უკანონო შვილი, ირანში დაიბადა და დაუდ ხანის საქართველოში გამოგზავნის შემდეგ ირანში იზრდებოდა. იქ მისი პოლიტიკურ და სამხედრო სარბიელზე დაწინაურებისათვის ხელი შეუწყვია გიორგი სააკაძეს. ზოსრო მირზა და დედამისი ირანში ღარიბად ცხოვრობდნენ. — „შექმნილიყენენ ორივე დედა-შვილნი სჯულითა მაჰმადიანნი და იყოფებოდნენ დიდად გლახაკად და უღონოდ ყოვლისავე სახმარისაგან“ (13, 464). გიორგი სააკაძეს წარუდგენია იგი ირანის დიდებულების წინაშე. ერთხელ როდესაც ზოსრო მირზა მისულა გიორგი სააკაძესთან, გიორგის დიდი პატივი უცია მისთვის — დაუსევამს თავის ადგილზე „წარმოუდგა ფეხზედ, დაუცალა ადგილი თვისი. მიიყვანა და დასვა იგი და პატივსსცა დიდად“. სპარსელებს გაჰკვირვებიათ მოურავის ასეთი საქციელი. მოურავმა აუხსნა მათ, ზოსრო მირზას მაღალი შთამომავლობა — „ესე არსო ძე დაუდხანისა, პატრონისა ჩემისაო“. მაშინ სცნეს ყიზილბაშთა ესე და უპყრობდნენ დიდსა პატივსა ზოსრო მირზას“ (13, 464). როსტომ ეს გარემოება ერთ თავის სიგელში საგანგებოდ აქვს აღნიშნული: „გიორგი მოურავი ჩვენზე და საქართველოზე დიდად ნამსახური იყო“ (190, 313).

ზოსრო მირზამ თავისი გონიერებითა და სიმამაცით თავი გამოიჩინა. მალე იგი შაჰის გვარდიის ყულის ჯარის სარდალი — ყულარაღასი გახდა და დიდი გავლენით სარგებლობდა ირანში.

ა. ოლვარიუსის ნაშრომი გადმოგვცემს, თუ რაოდენ დიდ როლს ასრულებდა გამაჰმადიანებული ზოსრო მირზა შაჰის კარზე. ზოსრო მირზას, ისპანის ტარულას⁷ და ყულარაღასის მეტად დიდ გავლენაზე

⁷ ტარულა, იგივე დარულა — პოლიციის უფროსი სეფიანთა ირანში, რომლის მთავარი მოვალეობა იყო წესრიგის დაცვა, როგორც ქალაქში, ისე მის სანა-

მეტყველებს ის, რომ, როდესაც „შაბაზ ყენი მიიცუალა“ როსტომმა ყულის ჯარის დახმარებით აღასრულა შაბაზის ანდერძი და მისი შვილიშვილი შაპ სეფი (სამ-მირზა) დასვა ირანის ტახტზე.

ა. ოლეარიუსის გადმოცემით, როდესაც შაპ აბასი გარდაიცვალა, შაპის ერთგული მსახურები მის სიკვდილს გარკვეული მიზეზების გამო საიდუმლოდ ინახავდნენ. შაპ აბასი გარდაიცვალა მაზანდერანში, ფერაბადის სასახლეში, რომელიც ძალიან უყვარდა. სიკვდილის წინ დაიბარა თავისი ერთგული პირები — ისა-ხან ყორჩიბაში (Isachan Kurdzibaschi), ზეინალ ხანი (Seinal Chan), თემირ ბეგი (Temir Bek), ოვოღლი (Owogli) და იუსუფ-აღა (Iusuf-aga), და დაუტოვა ანდერძი, რომ მის შემდგომ ირანის შაპი უნდა გამხდარიყო მისი შვილიშვილი, უფროსი ვაჟის სეფი მირზას (რომელიც თვითონ მოაკვლევინა) შვილი სამ მირზა (Sam-Mirsa) (81, 652).

შაპის სიკვდილის შემდეგ — მოგვითხრობს ა. ოლეარიუსი, — ზეინალ ხანი სასწრაფოდ გაემგზავრა ისპაანის ტარულასთან ზოსრო მირზასთან (reisetete Seinalchan nach Ispahan zu dem Daruga Chosrow-Mirza), რომელსაც შემდგომში, მისი დიდი დამსახურების გამო, შაპ სეფიმ ხანობა უბოძა, გაუშვილა ზოსრო მირზას, რომ აბასი გარდაიცვალა და მისი უკანასკნელი სურვილი და ანდერძიც ამცნო — სამ მირზას დაუყოვნებლივ გამეფება (81, 653).

ზეინალ ხანი, — განაგრძობს ავტორი, — ზოსრო მირზასთან ერთად გაემართა ციხე ტაბერიკ კალესაკენ (Taberik-Kale), სადაც სამ მირზა თავის დედასთან ერთად ცხოვრობდა. იმ მიზნით, რომ წამოყვანათ იქიდან და გაემეფებინათ. მაგრამ მეტად შეშინებულმა დედამ, იფიქრა, — აქ რაღაც ახალი ღალატი იმალებოდა, არ გაუშვა ვაჟი, მიუხედავად იმისა, რომ, ზეინალ ხანი და ზოსრო მირზამ დაბეჯითებით თხოვეს, დაწვრილებით მოუყენენ მას, რაშიც იყო საქმე, მაგრამ ვერასგზით ვერ დაიყოლიეს — გაეშვა შვილი. ასე გაატარეს სამი დღე და სამი ღამე კართან და დარწმუნდნენ, რომ სამ მირზას ტახტზე აყვანა გარკვეული მიზეზების გამო, არ შეიძლებოდა გადადებულიყო, მაშინ დიდებულებმა გადაწყვიტეს, მოეწვიათ სხვა დიდებულებიც და ძალით შეჭრილიყვნენ შიგ, გაიგო რა ასეთი გადაწყვეტილების შესახებ

ხებში. იგი მონაწილეობას იღებდა გადასახადების აკრეფაში. მას ევალებოდა ყურადღება მიექცია წესრიგისათვის ბაზრებში. ისპაანის ტარულას ისპაანის მურავესაც უწოდებდნენ. იხ. ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII საუკუნეებში, თბ., 1958, გვ. 373.

სამის დედამ, ცრემლების ფრქვევით გაულო კარი და უთხრა თავის შვილს: „წადი, შეილო ჩემო, შენი მკვლელების ხელით მამაშენთან! ღმერთი გადაუხდის მათ შენს სამაგიეროს!“

როდესაც ზეინალ ხანი და ხოსრო მირზა ციხეში შევიდნენ დაინახეს სამ მირზა იდგა შეშინებული, მთლად აცახცახებული და შემკრთალი. დიდებულები უმაღლვე დაემხნენ მუხლებზე სამ მირზას წინაშე და დაუწყეს კოცნა ფეხებზე ტახტზე კეთილსასურველი ასვლის მილოცვით. მხოლოდ მაშინ შეცვალა დედა-შვილის შიში უზომო სიხარულმა. მაშინვე წამოიყვანეს მათ (ზეინალ ხანი და ხოსრო მირზა — ბ.ჯ.) ტახტის მემკვიდრე დივანხანეს (Diwanchane) სასახლეში, დასვეს იგი მათი წესების თანახმად ტახტზე, — ტახტზე ანუ მართლმსაჯულების ხალიჩაზე, როგორც ისინი უწოდებდნენ მაგიდაზე დაგებულ ხალიჩას. მიიწვიეს რჩეული დიდებულები, დაადგეს სამი მირზას გვირგვინი და უწოდეს შაჰ სეფი (Schach Sefi). ფეხზე ამბორით მიულოცეს მას გამეფება და უსურვეს ყოველგვარი ბედნიერება (81, 653).

მსგავსადვე გადმოგვცემს შაჰ სეფის გამეფებაში ქართველი დიდებულის მონაწილეობას ტავერნიე. იგი მოგვითხრობს ხოსრო მირზას მონაწილეობაზე შაჰ სეფის გამეფებაში (91, 223).

ქართველი მეთისტორიენი ფარსადან გორგიჯანიძე, ბერი ევანატამვილი, ვახუშტი ბატონიშვილი, XVIII საუკუნის ქართველი ანონიმური ქრონიკა (პარიზის ქრონიკა), აგრეთვე მისიონერები პიეტრო ავიტაბილე, ჯუზეპე ჯუდინე მილანელი, თვით სპარსელი ისტორიკოსი ისქანდერ მუნში და კარმელიტების ქრონიკა“ ხაზს უსვამენ ხოსრო-მირზას დიდ როლს შაჰ სეფის გამეფებაში და მის გავლენას ირანის ახალგაზრდა შაჰზე. როსტომ მეფის 1648 წლის სიგელშიც არის დამოწმებული მისი მონაწილეობა ირანის შაჰის ტახტზე აყვანაში, სადაც ნათქვამია: „მოვიდა ბრძანება ღმრთისა და შააბაზ ყანმან ტახტი დაცალა და ამ სოფლით მიიცვალა მაზანდერნის ქვეყანას, აშრაფს, რომ ყენის სასახლე არის და ჩუენ (ვ)იყვენით ისპანს, ყენის შვილები და შვილის შვილები იქ იყუნენ. მრავალჯერ ქნილიყო წინათ ჟამშია ტელმწიფეთ მიკაალებასა ზედა ერთმანერთი გაეწყვიტათ და მრავალი სისხლი დაღვრილიყო. ჩვენ ძალითა და შეწევნითა ღმრთისათა გავსაჯეთ საქმე: შვილიც იყო ყენისა, მაგრამ თავად თვალდამწუარი იყო. სინათლევცა ჰქონდა, მაგრამე უფროსი შვილიშვილი იყო დაიღ კარგი, თუალად და ტანად შუენიერი, ტელმწიფობა იმას შეეფერებოდა. გამო-

ვიყუანე და ტახტზე დაესვი და მივეულოცეთ კელმწიფობა შაჰ სეფის ყაენსა, ვაკურეუნიეთ ქანარა და ნალარა, მივეწერეთ შორსა და ახლოს ბრძანება: თუ „მოღით და თაყვანის ეცით“ (32, 462).

ზემოთ მოყვანილი წყაროებიდან ჩანს, რომ ხოსრო მირზას დიდი ღვაწლი მიუძღვის შაჰ სეფის ტახტზე აყვანაში და ამ დამსახურების გამო, როგორც ფარსადან გორგიჯანიძე ამბობს, „ეკითხებოდა ერანის საქმე“, და ამაში ა. ოლეარიუსიც გვემოწმება. ამ დიდი დამსახურების საპასუხოდ შაჰმა „ხოსრო მირზას ზანობა“ ე.ი. ქართლის სამეფო ტახტი უბოძა, თეიმურაზ I-ის განჯა-ყარაბაღის დარბევაში მონაწილეობის გამო განრისხებულმა.

დიდი დამსახურების გამო როსტომ მეფე ისპაანიდან ჩამოსვლის შემდეგაც ინარჩუნებს ისპაანის მმართველის თანამდებობას, სადაც ტარულებად როსტომი კვლავ ქართველებს ნიშნავს, რომლებიც წარმოადგენდნენ მის ნაიბებს, ანუ ნაცვლებს. ისპაანის ტარულის მოვალეობის შემსრულებელთა შორის იყო ცნობილი ქართველი ისტორიკოსი ფარსადან გორგიჯანიძე.*

ა. ოლეარიუსის მოგზაურობის წიგნში ვხვდებით აგრეთვე ცნობებს, მისი ირანში ყოფნის დროს შაჰის კარზე მყოფი სხვა წარჩინებული გამაჰმადიანებული ქართველების შესახებ, რომლებიც საკმაო რაოდენობით ყოფილან იქ. შაჰის კარზე, ა. ოლეარიუსის თქმით, უმეტესობა იყვნენ ქრისტიანებად დაბადებულნი და შემდეგ გამაჰმადიანებულნი, რომელთაც სპარსელები უფრო ენდობოდნენ, ვიდრე თავიანთი ნათესავი რელიგიის წარმომადგენლებს, თურქებს საერთოდ ვერ იტანენ (81, 630).

ა. ოლეარიუსის მოგზაურობის აღწერის V წიგნის 37-ე თავში (Von der Bedinsten des Königs am Hofe, so wol was das Geschichte als die Hoffstand begriff) (81, 670-676).

შაჰის კარის მსახურების შესახებ ცნობებიდან ჩანს, რომ შაჰ სეფის მმართველობის დროსაც გამაჰმადიანებული ქართველები მაღალი თანამდებობა უკავიათ.

ა. ოლეარიუსის გადმოცემით, ქართველს, სახელად შანეფერს (Schanefer) ეჭირა მეჰეტერის (Meheter) — შაჰის პირადი მსახურის თანამდებობა. მას, — წერს ა. ოლეარიუსი, — ისეთივე დიდი ძალაუფ-

* მეტად საინტერესოა როსტომ ხანის შესახებ პიეტრო დელა ვალეს ერთი ცნობა — იმის შესახებ, რომ როსტომ ხანი თურმე მალულად დადიოდა ქრისტიანულ ეკლესიაში.

ლება აქვს, როგორც ხელმწიფის კანცლერს.* იგი ბავშვობაში მოუტაცნიათ და მიუყიდათ შაჰისათვის, რომელსაც გაუმაჰმადიანებია (81, 671) შაჰის კარზე დივანბეგის (Diwanbek) თანამდებობაზე ისევ ქართველი ყოფილა. „დივანბეგი, უმაღლესი სასამართლოს უფროსი, რომელიც ხანდახან სედერთან და ყადთან როგორც სასულიერო მოსამართლეებთან წარმართავს სასამართლოს, რომელსაც სპარსელები შერას (Schera) უწოდებენ, ხან კი საერო მოსამართლეებთან. იგი ვალდებულია, აგრეთვე, როდესაც შაჰს ვისმე დიდებულთა წრიდან დასჯა სურს, წავიდეს თვითონ და შეასრულოს. ეს პიროვნება ალიყულიხანი (Aliculichan) ქართველი, თავის ორ ძმასთან რუსტამხან თავრიზელთან (Rustam chan zu Tabris) და ისახან ისპაანის იუზბაშისთან (Isachan Iusbaschi in Ispahan) ერთად, საქართველოს ბრძოლებში ერთი ჯარისკაცისაგან იყიდა შაჰ-აბასმა და ისინი გამაჰმადიანებულ იქნენ“ (81, 671).

აქ საუბარი უნდა იყოს სააკაძეთა გვარის წარმომადგენლებზე — როსტომ ხან, ისახან და ალიყული ხან სააკაძეებზე. ძმები სააკაძეების მოღვაწეობა ირანში ჩვენთვის კარგად არის ცნობილი ქართული, ევროპული, რუსული, სომხური და სხვა აღმოსავლური წყაროებიდან, ყველაზე მეტი ყურადღება ამ წყაროებში როსტომ-ხან სპასალარზე, თავრიზის ბეგლარბეგზეა გამახვილებული. ა. ოლეარიუსი არაფერს ამბობს ამ უკანასკნელის მოღვაწეობაზე, სამაგიეროდ ვერცლად მოგვითხრობს მისი ძმის — ალიყული ხანის საქმეებზე, რომელსაც ირანის შაჰის დავალებით, როგორც დევანბეგს, შაჰის კარის მაღალი თანამდებობის მრავალი პირი გამოუსალმებია წუთისოფლისათვის.

ა. ოლეარიუსის გადმოცემით, შაჰს სწორედ ალიყული ხანისათვის დაუკვალბია თავისი სიძის ისახანის** ვაჟების სიკვდილით დასჯა

* სახელმწიფო რაიხსკანცლერი — დიდი ვეზირი. მას ეწოდებოდა „ხელისუფლების ნღობა“. ის პირველი პირი იყო შაჰის შემდეგ, სამოქალაქო ადმინისტრაციის თავი და შაჰის დიდი ბეჭდის შემხანველი. დიდი ვაზირი დამოწმების გარეშე ძალა არ ჰქონდა არცერთ აქტს, რომელიც ეხებოდა სასახლის უწყებებს, მაღალი და საშუალო მოხელეების დანიშვნას, ტიტულების ბოძებას და ა.შ. ის აკონტროლებდა და განაგებდა საგარეო ურთიერთობას (224, 292).

** ისახანი — შაჰ-სეფის მაჰიდის ქმარი (ცოლად ჰყავდა შაჰ-აბასის I ქალიშვილი ზაბიდე ბეგუმი), სახელოვანი სარდალი, თავდაპირველად ირანის იუზბაში (ასისთავი) იყო, შემდეგ კი შაჰ აბას I ყორჩიბაშობა და ვეჟილობა უბოძა. იგი მეთაურობდა ყიზილბაშთა ლაშქარს, რომელიც გამოავჯანა შაჰ აბას

(81, 665). შაჰის დავალებით, ალიყული ხანს თავი მოუკეთია ირანის წარჩინებული დიდებულებისათვის ჯირა ხანისა (81, 657) და ელურ-ლე ხანისათვის (81, 657). თვით იმამ-ყული ხან უნდილაძის სიკვდილით დასჯაც შაჰ-სეფის ალიყული ხანისათვის დაუვალებია (19, 59).*

ძმებს სააკაძეებს ირანის ისტორიაში დიდი სახელი აქვთ დამკვიდრებული. მათი მოღვაწეობის შესახებ ცალკეული ცნობებია მიმობნეული ისქანდერ მუნშის თხზულებაში – „აბასის ქვეყნის დამამშვენებელი ისტორიის გაგრძელებაში“. მოჰამედ თაქერე ვაჰიდის შაჰ აბას II ისტორიაში, ევროპულ წყაროებში – ჰიეტრო დელა ვალესთან, ჟან ტავერნიესთან, „კარმელიტების ქრონიკაში“ და სხვებთან.

ჟან ტავერნიე ვრცლად მოგვითხრობს ალი ყული ხანის შესახებ. მისი ცნობით, მას „შაჰის ლომს“ უწოდებდნენ (91, 250-252).

როსტომ სპასალარის მოღვაწეობის აღწერა წარმოდგენილია აგრეთვე სპარსელი მეისტორიეს, ვინმე ბეჟანის უსახელო საისტორიო ნაწარმოებში, რომელიც დაწერილია 1692-1693 წლებში და ვრცლად მოგვითხრობს ძმების – ირანის სამსახურში მისვლისა და მათი წარმომავლობის შესახებ (173, 288-193).

სააკაძეების ეს წარმომადგენლები თანამგრძობი ყოფილან ხოსრო მირზას (როსტომ მეფის) მოკავშირენი. ფ. გორგიჯანიძისა და XVIII საუკუნის ქართული ანონიმური ქრონიკის (პარიზის ქრონიკის) ცნობით: „როდესაც როსტომ მეფეს „მოსცეს ქართლი“, თან გამოატანეს ყოზილაძეთა ლაშქარი „საჰაკაძე ბეჟანის შვილი როსტომ ხანის მეთაურობით“ (11, 92).

როგორც წყაროებიდან ჩანს, როსტომ ხან სააკაძეს იგივე ბედი ხვდომია წილად, რაც იმამყული ხან უნდილაძეს. იგი შაჰ-აბას II სიკვდილით დაუსჯია. ხოლო მისი ძმა ისახანი ალამუტის ციხეში ჩაუსვაშს. აი, როგორ გადმოგვცემს ამ ამბავს მოჰამედ თაქერი – „სიბა, რომელიც მისი უდიდებულესობაზე იყო მიწერილი, დაევალა ისაბეგს, წინანდელი სპასალარის როსტემ ხანის ძმას, რომლის შესახებ ზემოთმოთხრობილი იყო, რომ როსტემ ხანის მოკვლის შემდეგ ალამუ-

I-მა საქართველოში გიორგი სააკაძის აჯანყების ჩასაქრობად. შაჰ სეფიმ გამეფებისთანავე დაიწყო მისი დევნა. ბ. ფეროს მიხედვით, ამის მიზეზი უნდა ყოფილიყო ის, რომ ისა-ხანს შაჰ-აბას I-ის გარდაცვალების შემდეგ უცდია თავისი ძის ტახტზე აყვანა (66, 177).

* ალი-ყული-ხან სააკაძე იყო იმამ-ყული ხანის სიბე – ქალიშვილის ქმარი.

თის ციხეში იყო დატუსაღებული და შემდეგ შეწყალების გამო „მისი ცოდვების წიგნში პატიების რაყამი ჩაიწერა“ და ის (შაჰის) დაახლოებულ პირთა რიგებში იქნა ჩარიცხული“ (24, 384).

კიდევ ერთი ქართველი, რომელსაც ა. ოლეარიუსის იქ ყოფნის დროს ირანის შაჰის კარზე მაღალი თანამდებობა ეკავა, იყო სიაუშბეგი (Siausbek), იგი ყოფილა ყულარაღასი, ლულამების, მონების ანუ მოსამსახურეების უფროსი, რომელნიც, როგორც ჯარისკაცები, არიან შაჰის სამსახურში, 8000 კაცის რაოდენობით“. სიაუშბეგიც შაჰ აბას I წაუყვანია საქართველოდან (81, 671).

ყულარაღასის თანამდებობა, ყორჩიბაში (ყიზილბაშური ფეოდალური ლაშქრის სარდალი), შემდეგ, უმნიშვნელოვანესი და უმაღლესი თანამდებობა იყო ირანში. იგი იყო შაჰის ლულამთა ანუ ყულის ჯარის სარდალი, რომელიც შაჰმა ყიზილბაშური ტომების დასუსტების მიზნით ჩამოაყალიბა. იგი ძირითადად დაკომპლექტებული იყო კავკასიელებისაგან, უმთავრესად ქართველებისაგან, აგრეთვე ჩერქეზებისაგან და სომხებისაგან, აქამდე ყულარაღასის თანამდებობაზე სხვა ქართველებიც გვხვდებიან. ესენია: ალავერდი ხანი და ხოსრო მირზა (როსტომ მეფე). როგორც ადრე იყო აღნიშნული ალავერდი ხანი იყო ირანის პირველი ყულარაღასი.

სიაუშბეგ ყულარაღასის შესახებ მოგვითხრობს აგრეთვე ფ. გორგიჯანიძე. ქართველი ისტორიკოსი მართალია არ მიუთითებს მის ეროვნებას, მაგრამ მის მიერ გადმოცემული ცნობებიდან აშკარად ჩანს, რომ იგი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქართველებთან, რაც, ალბათ, მისი ეროვნებით იყო გამოწვეული (11, 253).

ბევრ გამაჰმადიანებულ ქართველს ვხვდებით ირანის სხვადასხვა ოლქებში მაღალ თანამდებობაზე. ქართველები, რომელთაც ა. ოლეარიუსი შეხვდა ირანში არის – ყაზვინის ვიცე ტარულა (Vice Daruga) და კესკერის ხანი – ემირი; ისინი მოუხდევად იმისა, რომ გამაჰმადიანებულნი იყვნენ, მაინც პატივს სცემდნენ ქრისტიანულ სარწმუნოებას. ყაზვინის ვიცე ტარულას უამბნია ა. ოლეარიუსისათვის მისი თავგადასავალი: „ეს საზრიანი ადამიანი მოგვიყვა, თუ როგორ გადმოასახლა შაჰ აბასმა საქართველოდან ქრისტიანები, თვითონ ტარულა და მისი შშობლები, რომლებიც ახლაც ცხოვრობენ ყაზვინში. შაჰ აბასმა ისინი ძალით გამაჰმადიანა. თუმცაღა, გულით ისინი კვლავ ქრისტიანებად დარჩნენ და მალულად ლოცულობენ ქრისტიანთა და ყველგან, სა-

დაც კი ხელი მიუწვდებოდათ ცდილობდნენ სიკეთე ეკეთებინათ ქრისტიანებისათვის“ (81, 695-696).

ეესკერის ხანი — ემირი, ა. ოლეარიუსის გადმოცემით, ყოფილა ერევნის (Eruan) მახლობლად მცხოვრები ერთი ქართველის ვაჟი. ჯერ კიდევ ბავშვობაში გაუმაჰმადიანებიათ და ემსახურებოდა შაჰს ლეინის სარდაფში, ხოლო შემდეგ ერევნის ციხის აღებაში გამოჩენილი სიმამაცისათვის შაჰს მისთვის ეესკერის ხანობა უბოძებია. „ხანი იყო ხალხის მოყვარე, ალერსიანი და საუბრის მოყვარული. იგი დიდი ცნობისმოყვარეობით გვეკითხებოდა ჩვენი სამშობლოს (გერმანია — ბ.ჯ.) თავისებურებებზე, ომის წარმოების ხერხებზე. მან ისიც გვითხრა, რომ იგი ქრისტიანთა ჭეშმარიტი მეგობარია“, — წერს ა. ოლეარიუსი (81, 702).

ა. ოლეარიუსი ირანში ღარიბ შაჰის აჯანყების ამბების გადმოცემისას (რომელიც მოხდა 1629 წელს, შაჰ სეფის ირანის ტახტზე ასვლასთან დაკავშირებით — ბ.ჯ.), მოგვითხრობს, რომ აჯანყებულთა წინააღმდეგ მებრძოლებს შორის იყო მაზანდერანელი ხანი ადამ — სულთან ქართველი (Adam Sultan Georgianos) (81, 545). ადამ სულთანისათვის ხანობა უბოძებია შაჰ აბას I-ს (81, 644).

მაზანდერანის პროვინციაში მღებარე სუფის მმართველის ადამ სულთან გურჯის შესახებ ცნობები გვხვდება ქართულ წყაროებში, სპარსულ ისტორიკოსთა შრომებში — აბდ-ალ-ფათაჰ ფუმენის „ტარიჰი გილიანი“-ში და მუჰამედ თაჰერე ვაჰიდის „შაჰ აბას II-ის ისტორიაში“. ფუმენის ნაწარმოებში საგანგებოდაა აღნიშნული ადამ სულთან გურჯის სუფის მმართველის მოქმედება ღარიბ შაჰის წინააღმდეგ (54, 255).*

* ადამ სულთანის ვინაობის საკითხი ფუმენის ცნობების მიხედვით ყურადღება მიაქცია დ. კაციტაძემ (137).

ფუმენის შრომიდან ჩანს, რომ ღარიბ შაჰის აჯანყების წინააღმდეგ მოქმედების ერთ-ერთი ხელმძღვანელი და სულისჩამდგემელი ყოფილა გურგენ სულთანი ეესკერის პატიში, წარმოშობით ქართველი, აგრეთვე, ადამ სულთანი, რომელიც მოჰამედ თაჰერის და ფარსადან გორგიჯანიძის გადმოცემით, როგორც აღვნიშნეთ, როსტომ მეფის დისწული ყოფილა. ასე რომ, საფიქრებელია, შაჰ სეფის ტახტზე აყვანის და ქვეყანაში წესრიგის დამყარებისათვის შაჰ აბასის გარდაცვალების შემდეგაც ქართველები დიდ როლს ასრულებდნენ მთელ სპარსეთში, იბრძოდნენ შაჰ სეფის ტახტის განმტკიცებისა და უწესრიგობის აღსაკვეთად, რომელსაც ადგილი ჰქონდა ირანის პროვინციებში.

მოჰამედ თაჰერის ცნობით, „ადამ სულთანი სუფის მმართველი როსტომ მეფის დისწულია და ცნობილია როგორც გამოცდილი კაცი“ (24, 381).

ჩვენი აზრით, ეს პიროვნება უნდა იყოს ადამ აბელის ძე ანდრონიკაშვილი, კახეთის მეფის ალექსანდრე II და მის ვაჟთან გიორგისთან ერთად 1605 წელს მოკლული აბელ ანდრონიკაშვილის ვაჟი — „განავლინეს უკუე გარე ყოველნი მუნ მყოფნი სახლსა შინა კონსტანტინეს თანამსხდომარეთა მეფემან და გიორგი, განაღა დაშთნენ ორნი ოდენ აბელ ანდრონიკაშვილი ყორჩიბაში (მამა ადამ სულთანისა), ცნობილი მეფისაგან ერთგულებასა თვის ზედა უმრწურეუალებსა და ძმა აბელისა ეპისკოპოსი რუსთუელისა“ (6, 587).

ადამ სულთანი თან ჩაუყვანია მეფე თეიმურაზს ირანში, პირველი ცოლის ანა მამია გურიელის ასულის გარდაცვალების შემდეგ, (ანა დედოფალი გარდაიცვალა 1610 წელს). ვახუშტი ბატონოშვილის გადმოცემით „და მოკუდა ანნა ქსა ჩქი, ქარ. ს.ჟმ. ამისთვის ჰყო თეიმურაზ მწუხარება და გლოვა დიდი. ესე ესმა შააბაზს და ამისთვის მიუწოდა თეიმურაზს, რათა განავდოს გლოვა და იხარებოდეს მის თანა.

მაშინ თეიმურაზს სარწმუნოდ სჩნდა შააბაზ და წარვიდა მის წინაშე შავით მოსილი. ხოლო პირველად დედისგან წარგზავნილმან შესძღვნა ძმა და ტყუენი შააბაზს თეიმურაზ, და აწ მისულმან — დამ თესი და ტყუენი ქალ-ყრმანი წარჩინებულთა კახთა შვილნი (15, 584). მართალია, ვახუშტის ნაშრომში არ არის მითითებული თუ ვინ იყვნენ ეს „წარჩინებულთა კახთა შვილნი“ სამაგიეროდ მეფე არჩილი პირდაპირ უთითებს: (8, 390-392)]

„მერმე მითხრა (შაჰ აბას I — ბ.ჯ.): აბა, მამეც აბელის ძე კარგი ადამ“,

იქვე პოეტი მეფე ათქმევინებს თეიმურაზ მეფეს: .

„მოვასხენე: ვერ მოგართმევ ნუ მიბრძანებ, ცრემლს ნუ მადენ,

ნამსახური კაცი არის მამით, ბიძით, თავით, რამდენ, გამორთმასა ნულა ბრძანებ, წყალობა ჰქმენ შენი ამდენ, მამა-მისი ჰაპა-ჩემსა ძმიან ორნივ თავს დააკვდნენ“.

როგორც პოემის ამ ადგილიდან ჩანს, თეიმურაზს დიდად დანა-ნებია თავისი წარჩინებული პირის შაჰ-აბასის სამსახურში გადაცემა „მივეც, რაი მექნა ვიტყოლი: ნეტამც დამეგლო შინაო“.

თუმცა, როგორც ქართული წყაროები მოგვითხრობენ, მას შემდეგ რაც ქართლში მეფედ დასვეს ადამ სულთანის ბიძა როსტომ ხანი, ურთიერთობა თეიმურაზსა და ადამ სულთანს შორის დაძაბულა. ადამ სულთანის, სუფის მმართველის შესახებ ვრცელი ცნობები გვხვდება ფარსადან გორგიჯანიძის საისტორიო თხზულებაში. იგი 1642 წელს გამოუგზავნია ირანის შაჰს როსტომ მეფის დასახმარებლად. „ადამ სულთან ენდრონიკაშვილი როსტომ მეფის დის წული სარდრათ იქნა და ერანის ლაშქარი თან გამოუტანებინა და საქართველოზედ გამოეძახათ, რომ ვინც როსტომ მეფეს ურჩია... ბატონი თეიმურაზი გააგდონ და მის ალაგზედ ადამ სულტან გააბატონონ“ (11, 250).

ადამ სულთან ანდრონიკაშვილი შემდეგშიც ყოფილა დაკავშირებული ქართულ სამეფო კართან (იგი როსტომ მეფის დისწულია). მისი ქალიშვილი ცოლად ჰყოლია ქართველ ბატონიშვილს. „როსტომ მეფემ ბატონის შვილის ლუარსაბისათვის თავისის დისწულის ადამ სულთან ენდრონიკაშვილის ქალი თამარი ყაზმინით ქალაქს მიიყვანეს და ლვარსაბ თავისის ბიძის ვახტანგის შვილის თეიმურაზ მირზას შვილი იყო და მეფემ უშვილობისათვის იშვილა და საუფლისწულოთ მიიყვანა, რომ მეფეს უკან ქართლი მისი იყოს და ადამ სულთანის ქალს თამარსთან გასაკვირველი და საკელოანი ქორწილი უყო“ (11, 260).*

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მრავალმა ქართველმა შეაღია თავისი სიცოცხლე უცხო ქვეყნის სამსახურს და აქვე ჰპოვა თავისი განსახელებელი, მაგრამ ისტორიამ ვერ შემოგვინახა ყველას სახელი; ამიტომ, მოგზაურთა თუ მისიონერთა ყველა ცნობა, სადაც კი მოხსენიებულია სიტყვა — „ქართველი“ — მეტად საყურადღებო და მნიშვნელოვანია ჩვენთვის; ადამ ოლეარიუსის ცნობების შედარებისას სხვა წყაროებთან ჩვენ „წაუაწყდით“ კიდევ ერთ ქართველს?

ა. ოლეარიუსის მოგზაურობის წიგნში მოხსენიებულია შაჰ აბასის კარზე აღზევებული პიროვნება ზეინალი ხანი, რომელსაც როგორც გერმანელი ავტორის აღწერიდან ჩანს, საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი სჭერია შაჰის კარზე. ზეინალ ხანი თანამდებობით თუშმაღლა-

* იქვე, გვ. 260; მსგავსი ცნობები არის დამოწმებული „პარიზის ქრონიკაში“, გვ. 101.

ში* ყოფილა, რაც შაჰის კარის მზარეულთა უფროსს ნიშნავს. ადამ ოლეარიუსის მიხედვით იგი დიპლომატიურ მოღვაწეობას ეწეოდა. და ასევე დაახლოებული ყოფილა შაჰის — სეფის დედასთან. ის ხოსრო მირზასთან (როსტომ მეფე) ერთად, მონაწილეობს შაჰ სეფის ტახტზე აყვანაში. იგი ელჩად ყოფილა ევროპის მონარქებთან. ა. ოლეარიუსის ცნობით მასვე დაევალა მოგვეკარებინა დიდ მოგოლთან ყანდაპარის მხარის საკითხები (81, 704).

ზეინალი ხანის შესახებ მოგვითხრობენ აგრეთვე სპარსელი ისტორიკოსი ისქანდერ მუნში, ფრანგი ჟან ტავერნიე და ინგლისელი ანტონ შერლი.

ზეინალი ხანის წარმოშობის შესახებ ისქანდერ მუნშისთან რადიკალურად განსხვავებულ ცნობას ვხვდებით. იგი ირანელი ისტორიკოსის თანახმად სპარსული შამლეს ტომიდან ყოფილა.

ზეინალი ხანის შესახებ ცნობები მოვიძიეთ ევროპულ ქრონიკებში, ვინაიდან იგი ელჩად იმყოფებოდა ევროპის მონარქებთან, მართალია ამ ევროპულ ლიტერატურაში არის მოხსენებული ზეინალი ხანი, მაგრამ იგი იხსენება უბრალოდ ზეინალ-ხან შამლულ (Seinal Chan Schamlu) (276, 242-245), რაც, ალბათ, ასევე მისი შამლუს ტომიდან წარმოშობას უნდა ნიშნავდეს.**

მაგრამ ტ. პერბერტლის ცნობის მთლიანად უგულებელყოფა არ იქნებოდა სწორი, ვინაიდან ეს ავტორი ყოველთვის ზუსტ ცნობებს გვაწვდის, თანაც, იგი დაახლოებული ყოფილა ისეთ ევროპულ დიპლომატებთან, როგორიცაა რ. შერლი და რ. სტოდარტი, რომელთაც პირადი ნაცნობობა უნდა ჰქონოდათ ზეინალი ხანთან. ეს საკითხი შემდგომ დაზუსტებას მოითხოვს. არაა გამორიცხვეული შაჰის კარზე ამ მეტად აღზევებული პიროვნების ეროვნული წარმომავლობის შესახებ რაიმე აღმოჩნდეს სხვა წყაროებში. სხვა ირანელ ისტორიკოსებთან თუ ევროპულ მოგზაურებთან, მით უფრო ჩვენ, ზელთ არ გვქონია XVII

* სხვა წყაროების მიხედვით მას ეთიმატ-ად დოვლეს თანამდებობაც კი სჭერია და ყოფილა შაჰის ჯარების მხედართმთავარი.

** ზეინალი ხანის ეროვნება არ არის მითითებული არც იმ ინგლისელ ავტორებთან, (რ. შერლი, უ. პერი, რ. სტოდარტი; დონ ზუან დეპერსია), რომელთაც უშუალო კონტაქტი უნდა ჰქონოდათ მასთან. ასევე ზეინალ ხან შამლულ არის იგი მითითებული ირანელ ისტორიკოსთან ნ. ფალსაფთან.

ა. ნოვოსელცევი ზეინალ ხანს მიიჩნევს სპარსული შამლუს ტომიდან, რაც ავტორს ალბათ ისქანდერ მუნშიდან ექნება აღებული (219, 177).

საუკუნის ინგლისელი დიპლომატების თხზულებათა სრული გამოცემები. თვით ტ. ჰერბერტის თხზულებიდან ზოგიერთი ცნობები ამოუღია მის გამომცემელს უილიამ ფოსტერს, ვინაიდან ისინი ნაკლებ საინტერესოდ მიუჩნევია.

ა. ოლეარიუსის მოგზაურობის წიგნში გვხვდება ცნობები ქართველი ქალების შესახებ, რომლებიც თავიანთი სილამაზით განთქმულნი იყვნენ მთელს აღმოსავლეთში და მეტად იზიდავდნენ ყოზილაბაშებს.

ა. ოლეარიუსის თანახმად „ირანში ცოლის შერთვის ერთ-ერთი წესია, როცა ვინმე იყიდის ტყვე ქალს, რომელიც შეუძლია ჰყავდეს თავისი სურვილის მიხედვით, ესენი უმეტესად ქართველი ქრისტიანი ქალები არიან, რომელთაც იტაცებდნენ დაღესტნელი თათრები (ლექები — ბ.ჯ.) და ჰყიდიან ხოლმე სპარსელებზე“ (81, 60)..

ა. ოლეარიუსის ცნობით, შაჰ აბას I უფროსი ვაჟი, სეფი-მირზა შეძენია საქართველოდან ჩამოყვანილი ტყვე ქრისტიანი ქალისაგან (81, 649).^{*} მისივე სიტყვებით, ამ ქალს შაჰი თურმე განსაკუთრებით პატივით ეპყრობოდა. სეფი მირზა შაჰმა შემდგომში მოაკვლევინა, ვინაიდან ბოროტის მსურველებს უდანაშაულოდ დაუსმენიათ შვილი მამის დალატში. ამ ამბით აღშფოთებული დედის საქციელს გერმანელი მწერალი შემდეგნაირად აღწერს: „დედოფალი, სეფი მირზას დედა, გამწივლი თმებითა და სამღურავი გოდებით მიიჭრა შაჰთან, დაივიწყა ყოველგვარი საშიშროება, რომელიც მას ამის გამო მოელოდა, ნაწილობრივ დიდი მწუხარების, ნაწილობრივ აზრის უქონლობისა და ნაწილობრივ იმის გამო, რომ იგი შაჰისგან განსაკუთრებული კარგი განწყობილებით სარგებლობდა, ცემაც კი დაუწყო და უთხრა: შენ, სისხლისმსმელო მეფე! რატომ გახდი საკუთარი ნაშიერის, სისხლისა და მთელი სამეფოს მკვლელი. ვინღა იმეფებს შენ შემდეგ? შენი საქციელთ მტრებს მიჰყიდე საკუთარი ქვეყანა. რითი დაიმსახურა ასეთი

^{*} ინგლისელი მოგზაურის ტ. ჰერბერტის მიხედვით, სეფი მირზას დედა იყო გორდინა სიმონ-ხანის ქალიშვილი. „სხვადასხვა ცოლებისაგან აბასს ჰყავდა რამოდენიმე შვილი, რომელთა განათლებისათვის არც ფულს და არც ზრუნვას არ ზოგავდა. ყველაზე დიდი იმედები დაკავშირებული იყო ისმაილთან, სეფი მირზასთან, ზოდაბანდა სულთანთან და იმანგოლისაგან: ოთხ მამაც ახალგაზრდა უფლისწულთან. პირველი ორი მას ჰყავდა გორდინა, სიმონ-ხანის ქალიშვილისაგან. უკანასკნელი ორი მართასაგან, რომელიც სკანდერ მირზას ქალიშვილი იყო, ორივე ქართველი იყო, ორივე ქრისტიანი“ (74, 160-161).

სიკვდილი ჩემმა თვინიერმა ვაჟმა, რომელსაც შენ ასე ძლიერ უყვარდი? და, ბევრი მსგავსი სამღურავე სიტყვები უთხრა დედოფალმა მეფეს, ის კი იჯდა მონუსხულივით და ცრემლების ღვრით ამოილულ-ლულა: „ეჰ, რა უნდა მექნა, მითხრეს, რომ ზოგიერთ ხანებთან ერთად, იგი ჩემს ღალატს ფიქრობდა. ახლა ვერაფერს ვუშველი: საქმე უკვე დასრულდა“ (81, 651).

ა. ოლეარიუსის გადმოცემით, შაჰ სეფის ბებია ჰყოლია ქართველი და არა დედა, როგორც ამას ღონ ჯუღიჩე მილანელი (35, 34) და ჟ. ტავერნიე (91, 285) და ჯ. პრატო (1, ფონდი 74) გადმოგვცემს, მისი გადმოცემით შაჰ სეფის დედა ჩერქეზი ქალი ყოფილა.

შაჰ სეფის დედა ფარსადან გორგიჯანიძის გადმოცემითაც ჩერქეზი ქალია. იგი შაჰ აბას II შესახებ წერს: „ყვენი ყმაწვილი იყო, ბებია ჰყვანდა, ჩერქეზის ქალი იყო და ჰკვიანი მანდილოსანი ბრძანდებოდა“ (11, 253).

ფრიად საინტერესოა ამ საკითხის გარშემო სპარსელი ისტორიკოსის ნასროლა ფალსაფის მოსაზრება (171, 28). მან 1956 წელს გამოაქვეყნა „შაჰ აბას I ცხოვრების მეორე ტომი, სადაც შეეხო ჩვენთვის საინტერესო საკითხსაც. ნასროლა ფალსაფი მიუთითებს, რომ „სამ მირზა (ე.ი. შაჰ სეფი – ბ.ჯ.) სეფი მირზას ჰყავდა ქართველი ცოლისაგან“. მაგრამ აქვე ავტორი მის წყაროდ ადამ ოლეარიუსის მოგზაურობის წიგნს ასახელებს. უნდა აღვნიშნოთ, რომ სპარსელი ისტორიკოსის მითითება არ არის სწორი, ვინაიდან, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ადამ ოლეარიუსი შაჰ სეფის დედად ჩერქეზ ქალს ასახელებს.

ადამ ოლეარიუსის წიგნში მოტანილია ცნობა თეიმურაზ I ასულის შესახებ – „შაჰ სეფის მეორე კანონიერი ცოლი იყო ქრისტიანი თეიმურაზ ხანის, საქართველოს მთავრის ქალიშვილი, რომელიც მეფესთან მოიყვანეს თეიმურაზთან ზავის დადების დროს“. – გადმოგვცემს იგი (81, 651).

თეიმურაზის მიერ თავისი ასულის ირანში შაჰთან გაგზავნის შესახებ ცნობები დამოწმებულია სხვა ისტორიულ წყაროებშიც (6, 592); (19, 63); (44, 257); (49, 176); (11, 244); (21, 42-43).

ისტანბულში მუნში ასე გადმოგვცემს თეიმურაზის მიერ თავისი ასულის შაჰთან გაგზავნას: „როდესაც თეიმურაზ ხანმა ამბოხების მძიმე ძილიდან და წინააღმდეგობისა და ურჩობის სიმთვრალიდან გამოფხიზლებულმა თავისი ქალიშვილი – ციური ზღურბლის ადგილსამყო-

ფელისაკენ მორჩილებით გაგზავნა, შაჰმა მას უსაზღვრო წყალობა, კეთილგანწყობილება და კახეთის მხარე უბოძა.

სწორედ ამ დროს ბაშიაჩუკის (იმერეთის — ბ.ჯ.) გურგენ ხანის სიკვდილის ცნობამ მაღალი ხელმწიფის სმენამდე მიადწია“ (116, 112).

როდის გაუგზავნა თეიმურაზმა თავისი ასული შაჰს? ანტონ კათალიკოსი მის თხზულებაში ქეთევან დედოფლის წამების შესახებ წერს, რომ მან არ იცის თეიმურაზის ასულის ირანის შაჰთან გაგზავნის თარიღი — „არა ვუწყი მართალი, თუ რომელითა მიზეზითა ანუ ოდეს წაართუა თეიმურაზ შაჰ აბასმა ასულიცა თინათინ, მაგრამ ესე ჭეშმარიტი ვუწყი, ვითარმედ წაართუა ქალი იგი და ჰყავდა ცოლად“ (6, 592). კ. კეკელიძე თეიმურაზის ასულის ირანში შაჰთან მიყვანას 1639 წლით ათარიღებს (138, 220).

ნ. გელაშვილი, ისქანდერ მუნშის ზემოთ მოყვანილი ადგილის მიხედვით, თეიმურაზის ასულის ირანის შაჰის კარზე მისვლას ათარიღებს 1639 წლით (1639 წელს გარდაიცვალა იმერეთის მეფე გიორგი) (118, 158).

ფრიად საყურადღებოა, ამ მხრივ ფარსადან გორგიჯანიძის ნაშრომი, რომელსაც იმოწმებენ კ. კეკელიძე და ნ. გელაშვილი. ფარსადან გორგიჯანიძის მიხედვით, თეიმურაზს თავისი ასული შერიგების მიზნით შაჰისათვის გაუგზავნია (დაახლოებით, 1634-1635 წელს).

რუსი ელჩების — ვოლკონსკისა და ზვატოვის ელჩობის მასალებში დამოწმებული ცნობა თეიმურაზის ქალიშვილის შაჰის კარზე გაგზავნის შესახებ არაფერს ამბობს კ. კეკელიძის და ნ. გელაშვილის მოსაზრების სასარგებლოდ. თეიმურაზის ასულის თინათინის შაჰის კარზე ჩასვლის 1639 წლით დათარიღების შესახებ, პირიქით, საკვებით ეწინააღმდეგება.

ამრიგად, უნდა ვირწმუნოთ ა. ოლეარიუსის გარმოცემა. თეიმურაზის ასული თინათინი შაჰის კარზე უნდა მისულიყო 1637 წლის 3 აგვისტომდე მაინც* ქართველი მეფის თეიმურაზის შაჰთან შერიგების შემდეგ. თეიმურაზს მისი ასული შერიგებისთანავე არ გაუგზავნია ისქანდერ მუნშის (19, 5) ცნობით შაჰთან. თუმცა შეპირებია, რაშიც გვემოწმება თეიმურაზ პირველის წერილი რუსეთის მეფესთან, რომელიც გაგზავნა 1635 წლის სექტემბერში, ამ წერილიდან ჩანს, რომ

* 1637 წლის 3 აგვისტოს ჩავიდა ა. ოლეარიუსი ისპაანში. მისივე გადმოცემით შაჰს უკვე ჰყავდა ცოლად თეიმურაზ I ასული — თინათინი.

ჯერ კიდევ არ გაუგზავნია თავისი ქალიშვილი, რომელსაც შაჰი დაბეჯითებით ითხოვდა (44, 115).

დამოწმებული წყაროების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ თეიმურაზის ქალიშვილი 1635 წლის სექტემბრიდან 1637 წლის 3 აგვისტომდე შუალედში უნდა იყოს ჩასული ირანში.

საინტერესოა აგრეთვე XVII საუკუნის წყაროებში დაცული ცნობა თეიმურაზ I ასულის — თინათინის მოკვლის შესახებ ფრანგ ავტორთან. ჟ. ტავერნიეს გადმოცემით იგი სიმთვრალის დროს თავისი დედის ჩაგონებით, რომელსაც სძულდა თეიმურაზის ასული, სატევარი ჩაურტყამს და მოუკლავს (91, 285). თეიმურაზის ასულის მოკვლის შესახებ ცნობა აქვთ რუს ელჩებსაც (49, 176), მაგრამ განსხვავებით ჟ. ტავერნიეს ცნობისაგან — თეიმურაზის ასული მოუშთიათ შაჰ აბას II ბრძანებით. ჩვენთვის ცნობილ სპარსულ წყაროებში არაფერია მითითებული ამის შესახებ. ანტონ კათალიკოსის თხრობით თეიმურაზის ასული თინათინი შაჰ სეფის ცოლად მიუცია ლორისტანის ვალისათვის და შემდგომ დაქვრივებული უნახავს ანტონ კათალიკოსის დედას. „... და შემდგომად მისცა ვალსა ლორისტანისასა, რომელიცა მგონიეს ახსოვდა იგი მცირედრე დედასა ჩემსა სიქრუესა შინა მისსა მოხუცებული ფრიად“ (6, 592). როგორც ანტონ კათალიკოსის მოგვითხრობს ჟ. ტავერნიეს და რუსული ელჩების გადმოცემა არ უნდა იყოს მართალი, მით უფრო როცა ისინი არ ეთანხმებიან ერთმანეთს.

ა. ოლეარიუსის მოგზაურობის წიგნში მოტანილია კიდევ ერთი საინტერესო ცნობა საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებით.

ა. ოლეარიუსი პირადად შეხვედრია საქართველოსი მოღვაწე რომის კათოლიკე მისიონერს. „7 მარტს (1637 წელი — ბ.ჯ.) ელჩებთან მოვიდა ერთი კათოლიკე ბერი ამბროზიოს დოს ანიოს (Ambrosios dos Anios), წარმოშობით პორტუგალიელი, ლისაბონიდან. მან გვიამბო, რომ იგი მოვიდა თბილისიდან, რომელიც მდებარეობს საქართველოში (Georgien) 10 დღის სავალზე შამახიდან (Schemachi) ავგუსტინელთა ორდენის მონასტრიდან, რომლის პრიორიც თვითონ ყოფილა“ (81, 440).

ა. ოლეარიუსის გადმოცემით, ამ მისიონერს შეუთავაზებია თავისი სამსახური ელჩებისათვის „მეწოდებინა ცნობები იმ (საქართველო — ბ.ჯ.) და სხვა ქვეყნებზე და ხალხებზე, რომელთა შორის ის 25 წელს ცხოვრობს. მართალია, და ბუნებრივიცაა, თავიდან ჩვენ მისი (ამბროზიო — ბ.ჯ.) არ გვეჯეროდა სავსებით, მაგრამ 10 დღის ყოველ-

დღიური სტუმრობის შემდეგ გულწრფელი საუბრებითა და სარწმუნო ცნობების თხრობით მან მოგვცა საბაბი დაგვესვენა, რომ იგი ჩვენთან სუფთა და კეთილი გრძობით მოვიდა. ამ ბერმა, განაგრძობს ა. ოლეარიუსი, გარდა თავისი მშობლიური ენისა და ლათინურისა, რომელ ენაზეც იგი ესაუბრებოდა ელჩებს, იცოდა ქართული, თურქული და სპარსული“ (81, 596).

იგივე ავგუსტინელი ბერი ამბროზიო მეორეთაც შეხვედრია ელჩობას ქალაქ რეშმანთან (Reschman) 1637 წლის 22 დეკემბერს (81, 690).

სამწუხაროდ, ა. ოლეარიუსი არაფერს გვეუბნება თავის მოგზაურობის წიგნში იმის შესახებ, თუ რა მოუთხრო მათ ავგუსტინელთა მონასტრის პრიორმა ამბროზიომ.

XVII საუკუნის 30-იან წლებში საქართველოში მოღვაწეობდნენ კათოლიკე ბერები, რომელთა შორის ავგუსტინელებს ფრიად საპატიო ადგილი ეკავათ. მათ გადმოსუცნებიან შირაზიდან საქართველოში ქეთევან დედოფლის ნეშტი, რის შესახებაც მოგვითხრობენ სხვადასვა მისიონერთა წერილები გაგზავნილი რომში, ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი, სომეხი ისტორიკოსი არაქელ დავრიფეცი, რუსი ელჩები და სხვანი.*

ქეთევან დედოფლის ნეშტის საქართველოში გადმოსვენების შესახებ გვაქვს თვით ნაშთის გადმომსვენებლის პორტუგალიელი ავგუსტინელი ბერის ამბროჯო დელი ანჯოლის (Ambrogio degli Angioli) წერილი გაგზავნილი რომში (1, ფონდი 60). ლისაბონში, 1972 წელს გამოცემული რობერტო გულბენკიანის წიგნიდან ჩვენთვის ნათელი გახდა, ახალი ცნობები ქეთევან დედოფლის შესახებ (166, 111-122). ამ წიგნში მოცემული ახალი ცნობები სრულ თანხმობაშია მ. თამარაშ-

* ზ. ავალიშვილი უარყოფს იმ ფაქტს, რომ ავგუსტინელებს მართლაც გადმოსვენებინათ ქეთევან დედოფლის ნეშტი, იგი ამ ამბავს სიყალბედ მიიჩნევს; მისი აზრით, ქეთევან დედოფლის ნეშტი საერთოდ არ არსებობდა. იგი ფერულად იქცა წამების დროს. ამდენად ავგუსტინიან ბერებს ეს სიყალბე უნდა ჩაედინათ იმისათვის, წერს ზ. ავალიშვილი, რომ შეექმნათ მკვიდრი ნიადაგი თავიანთი მოღვაწეობისათვის საქართველოში. ამ მიზნისათვის გამოეყენებინათ თეიმურაზი, ვის წინაშეც დიდი იქნებოდა ავგუსტინელთა დამსახურება, რომელთაც მისი დედის ნეშტი აღმოაჩინეს, შეინახეს და მიართვეს კიდეც. იხ.: ზ. ავალიშვილი, თეიმურაზ I და მისი პოემა „წამება ქეთევან დედოფლისა“, პარიზი, 1938, მაგრამ ჩვენთვის ამ კონკრეტულ შემთხვევაში საინტერესო ისაა, რომ ამ ბერებისათვის თეიმურაზს მამული უბოძებია გორში, სადაც ეკლესია გაუშენებიათ.

ვილის მიერ ვატიკანში „პროპაგანდა ფიდეს“ არქივიდან ამოკრეფილ ცნობებთან და ღონ კრისტოფორო დე კასტელის მიერ მოწოდებულ ცნობასთან.

რ. გულბერკიანის წიგნის მიხედვით, ქეთევან დედოფლის ნემსთის გადმომსვენებელი ავეუსტინელი ბერის სახელია ამბროზიოს დოს ანჟოსი (Ambrosios dos Anjes), რომელიც წარმოშობით პორტუგალიიდან, ლისაბონიდანაა.

ცნობების ეს დამთხვევა გვაფიქრებს, რომ ა. ოლვარიუსის მიერ დასახელებული ამბროზიოს ღონ ანიოს (Ambrosios dos Anios) და ქეთევან დედოფლის ნემსის გადმოსვენებელი ამბროზიოს დოს ანჟოსი (Ambrosios dos Anjos), რომლის სახელი იტალიურ წყაროებში ამბროჯო დელი ანჯოლად (Ambrogio degli Angioli) იკითხება, ერთი და იგივე პიროვნება უნდა იყოს.

ამ მოსაზრებას სიმტკიცეს მატებს ისიც, რომ ავეუსტინელი ბერები ა. ოლვარიუსის ირანში მოგზაურობის დროს წასულან გორიდან^{*} ირანში იქ მყოფ ბერებთან, რაზედაც მოგვითხრობს ღონ ჯუზეპე ჯუდინე მილანელი (35, 58) და აგრეთვე მ. თამარაშვილი (128, 132), რომელიც ეყრდნობა სხვადასხვა მისიონის მასალებს. იგი მხოლოდ 1640 წლისათვის დაბრუნებულა საქართველოში, რაზედაც მეტყველებს ავეუსტინელთა მიერ რწმენის გამავრცელებელ კონგრეგაციამში „პროპაგანდა ფიდემი“ გაგზავნილი თავიანთი მოღვაწეობის ანგარიში, რომელიც დათარიღებულია 1640 წლის 17 ნოემბრით (1, ფონდი 68).

^{*} ა. ოლვარიუსის ნაშრომში შეცდომა უნდა იყოს დაშვებული, როდესაც მიუთითებს, რომ ავეუსტინელი ბერი იყო თბილისიდან, თბილისში ამ პერიოდისათვის ავეუსტინელთა ორდენის ეკლესია არ იყო, ავეუსტინელთა რეზიდენცია მდებარეობდა გორში, სადაც თეიმურაზ მეფემ უბოძა მათ მამული. ავეუსტინელთა ეკლესიის არსებობის შესახებ თბილისში, არაფერს ამბობს არც ერთი კათოლიკე მისიონერის ჩვენთვის ცნობილი რელაციები და არც მ. თამარაშვილი მიუთითებს ავეუსტინელთა ორდენის მონასტრის არსებობაზე თბილისში. კათოლიკე მისიონერმა დიონიჯო კარლიმ აღწერა XVII საუკუნის თბილისი, სადაც არაფერია ნათქვამი თბილისში ავეუსტინელთა მონასტრის არსებობაზე. იხ.: (12).

საქართველო ევროპულ რუკებზე

აღამ ოლგარიუსი XVII საუკუნის ცნობილი გეოგრაფია. იგი მოგზაურობის პერიოდში ადგენდა რუკებს. მას შეუდგენია, როგორც რუსეთის ასევე ირანის რუკა. ეს რუკები თან ერთვის მის მოგზაურობის წიგნს.


აღსანიშნავია, რომ ა. ოლგარიუსი პირადი დაკვირვებების საფუძველზე ადგენდა რუკებს. ძალიან ხშირად მას შესწორებები შეაქვს თავის წინამორბედთა მიერ შედგენილ რუკებში. მისი წინამორბედ ავტორებთან კასპიის ზღვა განედური განფენილობით გამოისახებოდა. ა. ოლგარიუსი შეეცადა შესწორება შეეტანა, მაგრამ ვერც ის აცდა შეცდომას. მან თითქმის კვადრატული ფორმა მისცა კასპიის ზღვას.

აღამ ოლგარიუსის რუკებზე გამოსახულია საქართველოც. ა. ოლგარიუსი საქართველოში არ ყოფილა, მას უნდა ესარგებლა ირანში მოგზაურობის დროს დაგროვილი მასალები საქართველოს შესახებ. იგი, როგორც უკვე ვთქვით, კარგად იცნობდა ანტიკურ საისტორიო მწერლობას. ასევე იცნობდა იგი საქართველოს რუკებს, რომელიც მოცემული არის XVI საუკუნესა და XVII საუკუნის დასაწყისში გამოცემულ ვეროპელ ავტორთა ჯ. ბოტეროს, ტ. მინდოის და ტ. პერბერტის წიგნებში.


ა. ოლგარიუსის მიერ შედგენილ რუკას აქვს გრადუსთა ბადე. დატანილია რამოდენიმე ქალაქი და მოცემულია მთებისა და მდინარეების განლაგება. მართალია ეს რუკა სხვა XVI-XVII საუკუნის ევროპელ ავტორთა რუკებთან ერთად, ვერ აკმაყოფილებდა მეცნიერულ და პრაქტიკულ მოთხოვნილებებს, მაგრამ ნათელი მაჩვენებელია იმისა თუ როგორი იყო წარმოდგენა უცხოელებისა საქართველოს შესახებ, თუ რამდენად იცნობდნენ ისინი ქართველი ერის ისტორიას და საქართველოს გეოგრაფიას; ამავე დროს ამ რუკებს აქვს გარკვეული მნიშვნელობა საქართველოს კარტოგრაფიის ისტორიისათვის. საესებით შესაძლებელია საქართველოს რუკების შედგენისას XVI-XVII საუკუნის ევროპელ მოგზაურთა და მეცნიერთა რუკებით ესარგებლა ცნობილ ქართველ გეოგრაფს ვახუშტი ბატონიშვილს, რომელიც გარკვეული პერიოდი რუსეთში მოღვაწეობდა, ხოლო ეს რუკები სხვა ავტორთა რუკებთან ერთად ინახებოდა პეტერბურგისა და მოსკოვის წიგნთსაცავებში დაცულ სხვადასხვა გამოცემებში.



საქართველო ადამ ოლეარიუსის მიერ შედგენილ რუკაზე



საქართველო ადამ ოლეარიუსის მიერ შედგენილ რუკაზე



რუკა ტომაზო მინაღლის წიგნიდან
 თურქ-სპარსელთა ომების ისტორია



საქართველო რუკაზე ტომაზო მინაღლის წიგნიდან
 თურქ-სპარსელთა ომების ისტორია

დასკვნა

გვიან შუასაუკუნეების საქართველოს ისტორიის მკვლევართათვის აუცილებელია ქართულ, რუსულ, აღმოსავლურ წყაროებთან ერთად ევროპული ნარატიული და დოკუმენტური წყაროების გათვალისწინება — ვინაიდან დღემდე ჩვენს ხელთ არსებული ქართული და აღმოსავლური წყაროები არ იძლევიან საქართველოს ისტორიის ზოგიერთი მომენტის ნათლად გაშუქების საშუალებას. ფრიად მნიშვნელოვანი ცნობების ამოკრება შეიძლება XVI-XVII საუკუნეების ევროპელ ქრონიკთა თხზულებებიდან საქართველოს შესახებ. მით უფრო XVII საუკუნის დასაწყისიდან ძლიერდება ევროპელთა ინტერესები აღმოსავლეთის ქვეყნების მიმართ. ამ პერიოდში მრავალი ევროპელი მისიონერი, დიპლომატი თუ თავგადასავლის მაძიებელი მოგზაური იყო ირანსა და საქართველოში, რომელნიც თავიანთ მოგზაურობის შთაბეჭდილებებს აცნობენ თავიანთ თანამემამულეებს და თანამედროვეებს ევროპაში. „უცხოელის თვალი და ყური, — წერს ივ. ჯავახიშვილი, — ისეთ რამეებსაც ადვილად ამჩნევს, რომელსაც ადგილობრივი დამკვირვებელი, ვითარცა ყველასათვის ცნობილს, არაერთარ ყურადღებას არ მიაქცევდა.“

უცხო მოგზაურთა ცნობები ისტორიკოსთათვის ძვირფასი, ყოველთვის შემავსებელი, ზოგჯერ კი ამა თუ იმ საკითხის გასაშუქებლად ერთადერთი არის ხოლმე“ (187, 118).

უკვე კარგა ხანია, რაც ქართველი ისტორიკოსების კვლევის ობიექტი გახდა საქართველოს ისტორიის ევროპულენოვანი წყაროები, მაგრამ არის ისეთი წყაროები რომელიც ჯერ კიდევ არ არის შემოტანილი ამ პრობლემის კვლევისათვის სამეცნიერო ბრუნვაში, ან კიდევ ნაკლებად არის შესწავლილი.

ასე რომ, საქართველოს ისტორიის კვლევისათვის უნდა გაფართოვდეს მისი წყაროთმცოდნეობითი ბაზა ამ და სხვა ევროპელ ავტორთა შრომებით, ვინაიდან ეს ავტორები უმეტეს წილად არიან თვითმხილველი თავიანთ შრომებში აღწერილი ამბებისა.

ბამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

წყაროები

1. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის სახელმწიფო ხელნაწერთა ინსტიტუტის მიქელ თამარაშვილის ფონდი № 66, 68, 74, 78, 85. კათოლიკე მისიონერთა მიერ რომში გაგზავნილი რელაციები.
2. Статейный список Римского посланника Алексея Романчукова, бывшего в Персии с Гольштинским послом. – ЦГАДА, фонд 77, год 1636, дело № 1.
3. Reisetagebuch Hans Hofmeisters von Trawemünde, von der Holsteinischen Gesandtschaft nach Persien. – Архив института Востоковедения АН России Ленинградского отдела, разряд 1. Опись 6, № 25 –1066. –118 с.
4. აგულეცი ზაქარია. დღიური, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ლ. დავლიანიძემ. თბ.: მეცნიერება, 1979, გვ. 122.
5. ავიტაბილე დონ პიეტრო. ცნობები საქართველოზე (XVII საუკუნე), შესავალი, თარგმანი და კომენტარები ბ. გიორგაძისა. თბ.: მეცნიერება, 1977. გვ. 167.
6. ანტონ კათოლიკოსი. თ თსა სექტემბრისა იგი დღესა, შესხმა და მოთხრობა ღუაწლისა და ვნებათა წმიდისა დიდისა მოწამისა ქეთევან კახთ დედოფლისათა, -წიგნში: საბინინი გ. პ. საქართველოს სამოთხე. თბ.: 1882, გვ. 639.
7. არაქელ დავრიეცი. ცნობები საქართველოს შესახებ, თარგმნა, შესავალი და კომენტარები კ. კუციასი. თბ.: მეცნიერება, 1974, გვ. 78.
8. არჩილი. გაბასება თეიმურაზისა და რუსთაველისა, წიგნში: ქართული პოემა, წიგნი I, თბ.: საბჭოთა საქართველო, 1983, გვ. 332-495.
9. ახალი ქართლის ცხოვრება (მეორე ტექსტი) წიგნში: ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ.: საბჭოთა საქართველო, 1959, ტ. II, გვ. 443-476.
10. ახალი ქართლის ცხოვრება (მესამე ტექსტი) წიგნში: ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის

- მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ.: საბჭოთა საქართველო, 1959, ტ. II, გვ. 477-540.
11. გორგიჯანიძე ფარსადან. ისტორია, გამომცემელი ს. კაკაბაძე – საისტორიო მოამბე, თბ.: ცენტრალური არქივის გამომცემლობა, 1925, წ. II, გვ. 198-316.
 12. დიონიჯო კარლი. თბილისის აღწერა, თარგმნა ბ. გიორგაძემ – მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი 29. თბ.: 1951, გვ. 198-316.
 13. ეგნატაშვილი ბერი. ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი – წიგნში: ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერების მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ.: საბჭოთა საქართველო, 1959, ტ. II, გვ. 326-442.
 14. ევლია ჩელები. მოგზაურობის წიგნი, თურქულიდან ტარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ. ფუთურიძემ, თბ.: მეცნიერება, 1971, გვ. 448.
 15. ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. – ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ.: საბჭოთა საქართველო, 1973, გვ. 1104.
 16. თეიმურაზ პირველი, თხზულებათა სრული კრებული, აღ. ბარამიძის და გ. ჯაკობიას რედაქციით, ტფ.: ფედერაცია, 1934, გვ. 320.
 17. იბრაჰიმ ფეჩევი. საქართველოს შესახებ, გამოქვეყნებული ს. ჯიქიას მიერ, – ენიშკის მოამბე, თბ.: 1940, ტ. V-VI, გვ. 369.
 18. ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ. სპარსული ტექსტი თარგმანითა და შესავლითურთ გამოსცა ვ. ფუთურიძემ, თბ.: მეცნიერება, 1969, გვ. 176.
 19. ისქანდერ მუნში. აბასის ქვეყნის დამამშვენებელი ისტორიის გაგრძელება, ცნობები საქართველოს შესახებ. სპარსული ტექსტის გამოკვლევა, ქართული თარგმანი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ნ. გელაშვილმა, თბ.: მეცნიერება, 1981, გვ. 112.
 20. ლამბერტი არქანჯელო, საქართველოს აღწერა, იტალიურიდან თარგმნა ა. ჭყონიამ, თბ.: ფედერაცია 1938, გვ. 208.
 21. მაკარი ანტიოქიელი. ცნობები საქართველოს შესახებ, არაბულიდან თარგმნა თ. მარგველაშვილმა – არმალანი, აღმოსავლური

- მწერლობის ნიმუშები, თბ.: საბჭოთა საქართველო, 1982, გვ. 88-122.
22. კასტელი ღონ კრისტოფორო. ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბ. გიორგაძემ, თბ.: მეცნიერება, 1976, გვ. 458.
 23. მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონომიკისათვის წიგნი I (X-XVII სს-ის ისტორიული დოკუმენტების მიხედვით) გამოსაცემად მოამზადეს დ. ალექსიძემ და შ. ბურჯანაძემ, თბ.: მეცნიერება, 1964, გვ. 284.
 24. მოკამედ თაპერის ცნობები საქართველოს შესახებ, ტექსტის თარგმანი და შენიშვნები ვ. ფუთურიძისა – მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი 30, 1954, გვ. 175-425.
 25. მუსტაფა სელიანიჩი საქართველოს შესახებ, გამოსცა ვ. ფუთურიძემ, – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, თბ.: 1960, ტ. გვ. 91.
 26. ნაიმა მუსტაფა. ცნობები საქართველოს და კავკასიის შესახებ, თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და შენიშვნებით გამოსაცემად მოამზადა ნ. შენგელიამ, თბ.: მეცნიერება, 1979, გვ. 533.
 27. სააკაძე ი. დიდმოურავიანი. წიგნში: ქართული პოემა. თბ.: საბჭოთა საქართველო, 1983, ტ. I, გვ. 510-575.
 28. სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს.), ტექსტების პუბლიკაცია, გამოკვლევები და საძიებელი ქრ. შარაშიძისა, თბ.: მეცნიერება, 1961, გვ. 184.
 29. ტავერნიეს მოგზაურობიდან, თარგმნილი ა. ჭყონიას მიერ – „მოამბე“, 1998, № 6, გვ. 1-10.
 30. ქართულ-სპარსული საბუთები, ტექსტი დაადგინა თარგმნა და შენიშვნები დაურთო ვ. ფუთურიძემ, თბ.: მეცნიერება, 1955, გვ. 528.
 31. სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ი. დოლიძემ, – ქართული სამართლის ძეგლები, თბ.: მეცნიერება, 1972, გვ. 785.

32. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს სიტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, თბ.: მეცნიერება, 1897, წიგნი II, გვ. 536.
33. შარდენი ჟ. მოგზაურობა სპარსეთში და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, (ცნობები საქართველოს შესახებ), ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მ. გვალაბლიშვილმა, თბ.: მეცნიერება, 1975, გვ. 430.
